„ჩვენ გვინდოდა ვისოლი არ ყოფილიყო მხოლოდ ავტოგასამართი სადგურების მფლობელი და ოპერატორი კომპანია. ამიტომ, მივიღეთ სტრატეგიული გადაწყვეტილება გაგვევითარებინა ასევე გაზ–გასამართი სადგურების სექტორი და წელს უკვე რამდენიმე სადგური გავხსენით. ამის პარალელურად, გადავწყვიტეთ უფრო ღრმად შევსულიყავით ბუნებრივი გაზის სფეროში და შევისყიდეთ ბუნებრივი გაზის დისტრიბუციის კომპანიები მარნეულისა და თელავის რეგიონებში, რომლებსაც საკმაოდ აქტიურად ვანვითარებთ. კომპანია ასევე შევიდა ავიასაწვავის ბაზარზე და განახორციელა საკმაოდ სოლიდური ინვესტიცია ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. 2008 წლის მარტის დასაწყისიდან პირველად საქართველოში ვისოლ ბუნკირება ლეგალურად სთავაზობს ბათუმის პორტში შემავალ გემებს საბუნკერე საწვავით გემის გამართვის სერვისს“ განაცხადა ვისოლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, სოსო ფხაკაძემ.

# WISSOL

Wissol Group, one of the biggest business groups in Georgia, is the leader in the energy sector and is presented on the market through its sub-brands: Wissol Petroleum, Wissol Gas, Air Wissol, Wissol Gas Distribution Company and Wissol Bunkering. Wissol is the first and only company in Georgian energy sector that received ISO 9000:2001 Quality Management Certificate.

"Our intention is to make Wissol a fully diversified company rather than just a sole petrol filling station owner and operator. In 2007 we have already opened several CNG filling stations and made a strategic decision to further intensify works in this direction for the next year. In 2007 Wissol also acquired natural gas distribution companies in Marneuli and Telavi regions. The company captured the air fuel market as well with Air Wissol and made a solid investment in the New Tbilisi International Airport. In particular, most modern and technologically advanced hydrant system infrastructure was created on the territory of the airport with the aim to provide aircrafts with jet fuel using a special cascade of pipelines. Starting from March 2008 Wissol launched WISSOL BUNKERING, and for the first time in many years at Black Sea Georgian port of Batumi Wissol offers bunker fuels for vessels entering the port." Dr. Samson Pkhakadze, Chairman of Wissol Board of Directors declared.












VELLAGIO
ADVERTISING

# EXCLUSIVE PLACES



ALL GAS STATIONS OF JSC WISSOL PETROLEUM GEORGIA NATIONWIDE



TBILISI INTERNATIONAL AIRPORT



BATUMI INTERNATIONAL AIRPORT

**BUILD YOUR SUCCESS WITH VELLAGIO**




> FULL SERVICE ADVERTISING AGENCY OFFERING INTEGRATED MARKETING COMMUNICATIONS SERVICES

> INNOVATIVE AND CREATIVE

> VARIETY OF PRODUCT OFFERINGS

> HIGHLY PROFESSIONAL, DEDICATED MANAGEMENT TEAM AND STAFF

**BUILD YOUR SUCCESS WITH VELLAGIO**

Since 2005

# ლუდსახარში ნატახტარი

## NATAKHTARI BREWERY

ლუდსახარშის ასაშენებლად მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტარის შერჩევა რამოდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ეკოლოგიურად სუფთა გარემო, დედაქალაქთან სიახლოვე და რაც მთავარია, ნატახტარის წყლის უნიკალური და იშვიათი თვისებები შესანიშნავ პირობებს ქმნიდა წარმატებული საწარმოს ასაშენებლად.

ქარხნის კოლექტივისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ გახსნას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო და წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც შემდეგ სამუშაო დევიზად იქცა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უახლესი ტექნოლოგიების, მართვის თანამედროვე და სრულიად დახვეწილი ფორმებისა და მეთოდების მიხედვით, ლუდსახარშს კავკასიის რეგიონში ანალოგი არ მოეპოვება.

პროდუქციის მიკრობიოლოგიური და ჰიგიენური უსაფრთხოების სრული გარანტია უახლესი აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორიაა. საწარმოში ტარა იონიზირებული ჰაერითა და ულტრაიისფერი სხივების საშუალებით სუფთავდება. პოლიეთილენის ბოთლები იფარება დამცავი გარსით, რაც პროდუქციის საშიში მინარევებისგან დაცვას და შენახვის ხანგრძლივობას განაპირობებს. პროდუქციის ხარისხს კი უნიკალური თვისებებით გამორჩეული ნედლეული და ტექნიკური პერსონალის დახვეწილი ოსტატობა უზრუნველყოფს.

ქარხანაში ლუდი იხარშება საყოველთაოდ ცნობილი გერმანული სიწმინდის კანონის მიხედვით, რომლის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: ლუდი უნდა მზადდებოდეს მხოლოდ სვიის, ალაოსა და წყლისაგან, ყველანაირი ქიმიური დანამატების გარეშე.

**ჩვენი მიზნებია:**

- ღირსეული ადგილის დამკვიდრება მსოფლიო დონის ლუდის მწარმოებელ კომპანიებს შორის
- ჩვენი პროდუქციის ხარისხის აღიარება და პოპულარიზაცია სხვადასხვა ქვეყანაში
- ინვესტირება და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა

**იურიდიული მისამართი:**

**სს „ლომისი“**
**საქართველო, ახალგორი, 0600. სანაპიროს ქ. №1**

**ლუდსახარში ნატახტარი**
**საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი**
**ტელ: (995 32) 26 16 61, 26 82 22**
**ფაქსი: (995 32) 26 11 37, 26 22 77**
**ელ-ფოსტა: info@lomisi.com; admin@lomisi.com**

**მარკეტინგის სამსახური**
**საქართველო, თბილისი, 0159. წერეთლის გამზ. №87ა**
**ტელ: (995 32) 35 72 25, 35 72 23**
**ფაქსი: (995 32) 35 72 25**
**ელ-ფოსტა: marketing@lomisi.com**



## OUR GOALS ARE:

- **TO TAKE AN HONOURABLE PLACE AMONG WORLD LEVEL BEER PRODUCING COMPANIES**
- **TO BECOME POPULAR WITH QUALITY IN THE WORLD**
- **TO INVEST IN PURCHASING AND IMPLEMENTATION OF MODERN TECHNOLOGIES**

## LEGAL ADDRESS:

**JSC "LOMISI"**
**0600 Akhalgori, Georgia. #1 Sanapiro str.**

**BREWERY NATAKHTARI**
**Village Natakhtari,**
**Mtskheta Region, Georgia. Telephone: (995 32) 26 16 61, 26 82 22**
**Fax: (995 32) 26 11 37, 26 22 77**
**E-mail: info@lomisi.com; admin@lomisi.com**

**MARKETING SERVICE**
**87a Tsereteli Ave, 0159 Tbilisi, Georgia**
**Telephone: (995 32) 35 72 25, 35 72 23**
**Fax: (995 32) 35 72 25**
**E-mail: marketing@lomisi.com**

Location of the brewery was not chosen accidentally. It was caused by ecologically clean surrounding, close distance from the capital and what is the most important by the unique spring water of Natakhtari.

The precious guest of the brewery presentation ceremony was the State's president Mr. M. Saakashvili and the words he pronounced became the working motto for the whole staff.

Brewery Natakhtari has no analogue in Caucasus region. Modern equipment, new and concise methods of management, computerized operational system optimizes the communication among of all components of the factory.

Fully modernized laboratory is a guarantee of product microbiological and hygienic protection. The containers are cleaned by ionized air and ultraviolet rays. Polyethylene bottles are covered with the protecting layer that supports long term preservation. High quality is reached by the unique raw materials and qualified staff.

Beer is brewed according to well known German Purity law: "Deutsches Reinheits Gebot" of 1516 that means a beer without any additional chemicals and enzymatic products behalf of malt, hops and water.





EuroPlant
GEORGIA



გაახარე და გაიხარე

www.europlant.ge

118 Tsereteli Ave., 0119 Tbilisi, Georgia
Tel/Fax: +995 32 355494
Corp. Mob.: +995 95 70 70 90
info@europlant.ge

„არასდროს უსმინოთ ყვავილების ლაქლაქს, მხოლოდ უყურეთ და მათი სურნელით დატკბით"

ანტუან დე სენტ ეკზიუპერი
„პატარა უფლისწული"

## ჩვენს შესახებ

„ევროპლანტ ჯორჯია" 2007 წელს დაარსდა. მებაღეობა, ლანდშაფტური დიზაინი, დეკორატიული და ფუნქციური მცენარეების მოშენება, მოვლა, ზოგადად ყველაფერი, რაც გარემოს გამწვანებას, გაჯანსაღებას, უკავშირდება „ევროპლანტ ჯორჯიას" საქმიანობის ობიექტია.

დარგი საქართველოსთვის მართლაც ახალია, სრულიად ახალგაზრდაა „ევროპლანტ ჯორჯიაც". მიუხედავად ამისა, ჩვენი კომპანია უკვე დღეს ქართველ მომხმარებელს ევროპულ ტრადიაციაზე დაფუძნებულ და ევროპული სტანდარტების მომსახურებას სთავაზობს. ამის ნათელი დასტურია კომპანიის ერთ-ერთი პირველი მუნიციპალური პროექტი – ავლაბრის სკვერი, რომელზეც „ევროპლანტ ჯორჯიას" ქართველ სპეციალისტებთან ერთად ევროპელი პროფესიონალები მუშაობდნენ და რომელიც საქართველოში ლანდშაფტური დაგეგმარების სრულიად განსხვავებულ, ახალ მიდგომებს ამკვიდრებს.

„ევროპლანტ ჯორჯიას" ერთ-ერთი დამფუძნებელი 70 წლის ისტორიის მქონე პოლონური კომპანია „გრაბჩევსცია", რომლის სანერგე 30 ჰექტარზეა გადაჭიმული და რომელიც მომხმარებელს მსოფლიოს 15 ქვეყანაში ყოველწლიურად 200 000-ზე მეტ მცენარეს სთავაზობს. ჩვენ უკვე მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სხვა ცნობილ ევროპულ ორგანიზაციებთან – ბერძნულ კომპანია „ალექსი პლანტთან", იტალიურ კომპანი-ებთან: „ლინია ვარდე", „რიგეტი პიანტე", „მანი პიანტე", რომლის განთქმული სანერგე, 40 ჰექტარზე დიდ ფართობს ფარავს.

„ევროპლანტ ჯორჯია" თავისი პარტნიორების მიერ წარმოებულ პროდუქტს შეუფერხებლად აწვდის ქართულ ბაზარს. აქ შეგიძლიათ შეიძინოთ ყველაფერი, ყვავილისა და ბალახის თესლიდან დაწყებული 400 წლოვანი ზეთისხილის ხეებით დამთავრებული. თითოეული მცენარე ევროპელი სპეციალისტების მიერ თანამედროვე აგროტექნოლოგიური სტანდარტების დაცვითაა მოვლილი, კონტეინერებში გამოზრდილ დეკორატიულ მცენარეებს, ხეხილს, წიწვოვან ნერგებს დაცული აქვთ ფესვთა სისტემა. აქვე მოგემსახურებიან უცხოელი და ქართველი ლანდშაფტის არქიტექტორები, გამოცდილი მებაღეები.

## კომპანიის ფილოსოფია

წარმოიდგინეთ გასხივოსნებული, მწვანე ქალაქი, სადაც სახლებს ერთმანეთისგან ბაღები აშორებს, სივრცე, რომელიც მთლიანად სიმწვანითაა დაფარული. ახლად გათიბული ბალახის სურნელი გარემოს ზაფხულის არომატით ავსებს. საღამოობით ყველა ოჯახი ბაღში ისვენებს: უფროსები წყნარად საუბრობენ, უმცროსები ხალისიანად თამაშობენ. პირქუში, ნაგვით სავსე, ქვის ქალაქების მაგივრად, მწვანედ დაბურული სივრცე, ურბანისტული რეალობისა და პასტორალური იდილიის გაწონასწორებული ურთიერთქმედება. ეს მოწესრიგებულობა, ეს ჰარმონია სოციალურ ყოფასაც დაალაგებს, ადამიანებს არსებობის სირთულეს შეუმსუბუქებს. სილამაზის ატმოსფეროში მცხოვრები მშობლები ზნეკეთილ ბავშვებს გაზრდიან, მათ სიცოცხლისა და ბუნების სიყვარულს ასწავლიან.

მეცნიერებმა უკვე დაამტკიცეს, რომ ეკოლოგიურად დაბალანსებულ, მწვანე სივრცეებში ადამიანის ფსიქოლოგიური სტატუსი ბევრად უფრო მდგრადია, კრიმინოგენული სიტუაცია მშვიდი. „ევროპლანტ ჯორჯიას" მთავარი მიზანი სწორედ ასეთი მწვანე ოაზისების შექმნაა: ქალაქში, აგარაკებზე, პრესტიჟულ რაიონებსა და სრულიად „არაპრესტიჟულ" გარეუბნებში, აივნებსა და სახლის სახურავებზე – ყველგან, სადაც კი მოისურვებთ.

„ევროპლანტ ჯორჯიას" თითოეული თანამშრომელი დარწმუნებულია, რომ სასარგებლო, უფრო მეტიც, სასიცოცხლოდ აუცილებელ საქმეს ემსახურება, ამიტომაც სჯერა საკუთარი წარმატების, ღიაა ნებისმიერი თანამშრომლობისთვის და ქართულ ბაზარზე არსებულ ყველა მსგავს ორგანიზაციასთან პოზიტიური ურთიერთქმედებისთვის არის მზად.

## მომსახურება

„ევროპლანტ ჯორჯია" გთავაზობთ:

- ლანდშაფტურ დაგეგმარებას, პროექტების რეალიზებას
- გამოცდილი მებაღეების, დიზაინირების მომსახურებას, კონსულტაციას
- ყვავილის, ბალახის თესლსა და სასუქებს
- ოთახის მცენარეებსა და დეკორატიულ ქოთნებს
- სპეციალურ კონტეინერებში გამოზრდილ წიწვოვან, ფოთლოვან, ბუჩქოვან ნარგავებს, სხვადასხვა სახის დეკორატიულ მცენარეს და ხეხილს დაცული ფესვთა სისტემით
- სამებაღეო ინვენტარს
- სარწყავ და განათების სისტემებს თქვენი ბაღებისთვის

მოკლედ ყველაფერს, რაც გარემოს, ესთეტიზაციას, გამწვანებასა და გაჯანსაღებას ისახავს მიზნად.

ევროპული ბაღები ქართულ ლანდშაფტებზე

დასავლური მოწესრიგებულობა და ქართული მუხტი

ასწლოვანი ტრადიცია და მუდმივი განახლების პროცესი

უახლესი ტექნოლოგიები კაცობრიობის უძველესი საქმიანობის სამსახურში

„ევროპლატ ჯორჯია" – ევროპული ხედვა და ევროპული სტანდარტი ქართველი მომხმარებლებისათვის!

# UPTOWN TBILISI
## in Digomi

www.rakeen.ge



## The Largest Business Center & Shopping Mall in Caucasia

- A Class Business Towers
- Residential Condominiums
- Shopping Mall – 100 000 sq meters

- Wide array of unique retailers
- High street shops of the famous brand names
- Hypermarket
- Cafes and restaurants on every floor
- Movie Theatre
- Underground parking for 4500 cars
- RAK Ceramics Showroom

rakeen
ركين

***Building Tbilisi of Tomorrow Today***

Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 27 73 73
Fax: +995 32 27 73 73
E-mail: sales@rakeen.ge

# ახალი უბანი მომავლის ქალაქში




## აფთაუნ თბილისი დიღომში

## გრანდიოზული სავაჭრო და ბიზნეს ცენტრი ამიერკავკასიაში




- ევროპული კლასის საოფისე ცათამბჯენები
- საცხოვრებელი შენობები
- 100 000 მ² სავაჭრო ცენტრი

- მაღაზიების ფართო არჩევანი
- ცნობილი ბრენდების გალერეა
- ჰიპერმარკეტი
- კაფე-რესტორნები
- კინოთეატრი
- მიწისქვეშა ავტოსადგომი 4500 მანქანაზე
- რაკ კერამიკსის საგამოფენო დარბაზი

www.rakeen.ge

გაყიდვების ოფისი: თელავის ქ. 20, 0103, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 27 73 73
ფაქსი: +995 32 27 73 73
E-mail: sales@rakeen.ge

rakeen

*ხვალინდელ თბილისს ვაშენებთ დღეს*


Since 1858
კორპორაცია
ფოთის საზღვაო ნავსადგური
კარიბჭე კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში
POTI SEA PORT
CORPORATION
GATEWAY TO CAUCASUS AND CENTRAL ASIA
ფოთის საზღვაო ნავსადგური, დაარსების დღიდან, რეგიონალური დანიშნულების სატვირთო-სავაჭრო ნავსადგურს წარმოადგენს. მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში რეგიონული ცნების მასშტაბები გაიზარდა და შესაბამისად, გაფართოვდა ჩვენი ინტერესის საზღვრებიც. ფოთის საზღვაო ნავსადგურის გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს სტრატეგიულ ინტერესს ევრაზიის კონტინენტის, კერძოდ ევროპას და ცენტრალურ აზიას შორის ტვირთბრუნვის მიმართ.
ფოთის პორტი 49 ჰექტარზეა განთავსებული და მთელი წლის განმავლობაში მუშაობს. ამჟამად პორტის მფლობელობაშია ტვირთის ტრანსპორტირების კომპლექსი, რომელიც 14 ნავმისადგომისგან შედგება და 2650 მეტრი სიგრძისაა. 11 ნავმისადგომი აღჭურვილია 6-40 ტონაზე გათვლილი პორტატული ამწეებით. ტვირთის ტრანსპორტირებისათვის საჭირო პირობები მორგებულია ყველანაირი ტვირთისა და თხევადი პროდუქტის გადასაზიდად. ტვირთბრუნვა ფოთის საზღვაო ნავსადგურში მუდმივად იზრდება. 7 ტერმინალი გაცემულია გრძელვადიანი იჯარით.
ფოთის საზღვაო ნავსადგურის ნაწილი უკავშირდება ილიჩევსკის (უკრაინა), ვარნის (ბულგარეთი) და კავკასიის (რუსეთი) პორტებს პირდაპირი საბორნე ხაზით და ნოვოროსიისკის (რუსეთი), ბურგასისა (ბულგარეთი) და რიზეს (თურქეთი) პორტებს პირდაპირი საავტომობილო საბორნე გადასასვლელებით.
დღესდღეობით, ცენტრალური აზიიდან ევროპისაკენ და პირიქით, ტვირთები გადაადგილდება ძირითადად სამი მიმართულებით: ჩრდილოეთის მარშრუტი, სამხრეთის მარშრუტი და ე.წ. „აბრეშუმის გზის“ გავლით, რომელიც საქართველოს ტერიტორიას მოიცავს. ჩვენი ქვეყნის უშუალო ინტერესს სწორედ „აბრეშუმის გზის“ მარშრუტის გაძლიერება წარმოადგენს. აღნიშნულის მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამ სატრანსპორტო კორიდორის მაქსიმალური ჰარმონიზაცია და უნიფიკაცია, რათა მინიმუმამდე შემცირდეს გადაზიდვისათვის საჭირო დრო, რის შედეგადაც ტვირთგადამზიდავებისთვის მნიშვნელოვნად გაიზრდება ამ მარშრუტის მიმზიდველობა.

**Since its foundation, Poti Sea Port has been a commercial port of regional importance. The ongoing process of world globalization has enlarged the regional borders and consequently the sphere of our interest has expanded. The geographical location of Poti Sea Port significantly determines our priority interest toward cargo turnover within the Euro-Asian continent and particularly between Europe and Central Asia.**

**As a result of economic development in the above-mentioned regions during the last 15 years, Europe has strengthened its consumer market power and Central Asian countries in addition to being suppliers of raw materials, have become the countries producing final goods. This process has resulted in the increased volume of shipments of raw materials as well as semi-finished and finished goods. Lately, our strategic interest has been stimulated by the fact that after Bulgaria and Rumania have joined EU, the Western coast of Black Sea became the closest border of European Union to our country as well as to the countries of Central Asia.**

**The volume of shipments between Europe and Central Asia is characterized by the dynamically growing tendency, which is positively reflected on the port throughput with an annual growth of 11-12%.**

**Nowadays, the cargo from Central Asia to Europe and vice versa moves mainly through the 3 corridors: “North”, “South” and the so-called “Silk Road” corridor, which runs via our country. Our success in becoming the major transit country in the region is highly determined by the further strengthening of the Silk Road corridor, and in order to accomplish it, the important task is to achieve the maximum harmonization and unification of the corridor in order to minimize the shipment time and consequently to increase the attractiveness of this route for the shippers.**

**We understand, that within the silk-road corridor, several alternative competitive routs function, that do not cross our country; in this competition, the existence of well-developed transport infrastructure, which will provide the possibility to handle the bigger tonnage vessels and offer the additional services to cargo forwarders (such as logistic centers, storage, packing and handling facilities, etc) is vital.**



Since 1858



# GEORGIA

# ისტორია








# HISTORY

# საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

# The Georgian National Anthem

## თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.

თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,

დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

## Freedom

Our icon is the homeland
Trust in God is our creed,
Enlightened land of plains and mounts,
Blessed by God and holy heaven.

The freedom path we've learnt to follow
Makes our future spirits stronger,
The morning star will rise above us
And lighten up the land between the two seas.

Glory to long-cherished freedom,
Glory liberty!



ლექსის ავტორი **დავით მაღრაძე**
მუსიკა **ზაქარია ფალიაშვილის**
ჰიმნად დაამუშავა **იოსებ კეჭაყმაძემ**

Text by **David Magradze**
Music by **Zakaria Paliashvili**
As Anthem edited by **Ioseb Kechakhmadze**
Translated by **Irakli Charkviani**

# საქართველო
# GEORGIA




**საქართველოს ესაზღვრება:** რუსეთი (ჩრდილოეთიდან), თურქეთი (სამხრეთ-დასავლეთიდან), სომხეთი (სამხრეთ-აღმოსავლეთიდან) და შავი ზღვა (დასავლეთიდან)

**გეოგრაფიული კოორდინატები:**
**400 - 470 E., 410 - 440 N.**

**ფართობი:** 69 ათას 500 კვ.კმ
**საზღვრის საერთო სიგრძე:** 1970 კმ
**სახმელეთო საზღვრის სიგრძე:** 1655 კმ
შავი ზღვის საქართველოს ნაწილის სიგრძე: 315კმ

**უმაღლესი მწვერვალები:**
შხარა – 5068 მ
ჯანგა – 5059 მ
მყინვარწვერი – 5047 მ

მსოფლიო რუკაზე, აღმოსავლეთის ნახევარსფეროს ევროპული ნაწილის სამხრეთში, შავსა და კასპიის ზღვებს შორის, კავკასიონის ქედის სამხრეთით მცირე სამკუთხედად მოჩანს საქართველო - დიდებული და, ამასთან, მეტად რთული და საინტერესო წარსულის მქონე ქვეყანა. საქართველო იყო ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის; აქ იკვეთებოდა კულტურების, ცივილიზაციებისა და ომების გზები.

საქართველო მდებარეობს ცენტრალურ კავკასიაში, ევროპისა და აზიის კონტინენტების მიჯნაზე. ქვეყნის ტერიტორია ამჟამად მოიცავს ზუსტად 69,5 ათას კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა შეადგენს 4 401,3 ათასს.













**Georgia is bordered by:** Russia on the north, Turkey on the south-west, Armenia on the south-east and the Black Sea on the west.



**Geographic coordinates:**
400-470 E., 410-440 N.



**Area:** 69,500 sq. km.
**Total length of the border:** 1970 km
**The length of the land frontier:** 1655 km
**The length of the part of the Black Sea in Georgia:** 315 km



**The highest summits:**
Shkhara - 5068 m
Janga - 5059 m
Mkinvartsveri - 5047 m



Georgia can be seen on the world map in the form of a small triangle to the south of the European part of the eastern hemisphere, between the Black Sea and the Caspian Sea, to the south of the Caucasus. It is a magnificent country, yet with hard and interesting past. Georgia was a bridge between the East and the West. Here was the crossroads of cultures, civilizations and wars.



Georgia is located in the central Caucasus, on the border of the continents of Europe and Asia. At present the territory of the country comprises exactly 69.5 thousand square kilometers. Its population makes up 4 401.3 thousand.















უძველესი ადამიანის ნაკვალევი საქართველოში ქვის ხანის ეტაპიდან ჩანს. სენსაციური იყო დმანისში აღმოჩენილი ადამიანის ქვედა ყბა თექვსმეტი კბილით, შემდეგ კი ორი თავის ქალა უძველესი ადამიანისა (ჰომოერექტუს). „დმანისელი ადამიანი“ დაახლოებით მილიონ რვაასი ათასი წლის აღმოჩნდა (დათარიღდა გერმანიაში).

წერილობით წყაროებში მოხსენებულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამი დიდი გაერთიანება: დიაოხი, კოლხა და სასპერები. კოლხური გაერთიანების ძლიერებაზე მოგვითხრობს ძველი ბერძნული ეპოსის ერთ–ერთი შედევრი – თქმულება არგონავტების შესახებ.

ქრისტეშობამდე IV საუკუნეში, ქვემო ქართლისა და მცხეთის ტერიტორიებზე, ჩამოყალიბდა ქართველ ტომთა დიდი პოლიტიკური ერთეული, რომლის ფარგლებში აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი შედიოდა. აქ დიდ როლს ასრულებდა მცხეთა. „დიდი მცხეთის“ ტერიტორია დასახლებული იყო ქრისტეშობამდე III–II ათასწლეულში. ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულში მცხეთაში გარკვეული ძვრები დაიწყო – აღმოსავლეთიდან შემოიჭრა კულტურის ძლიერი ნაკადი, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქალაქის ცხოვრება. მცხეთის თავისებურება გახდა მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე. ახ.წ.აღ IV ს–ის დასაწყისში სწორედ მცხეთაში გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად.

V საუკუნიდან ქართლის დედაქალაქი თბილისი გახდა. მცხეთამ შეინარჩუნა რელიგიური ცენტრის სტატუსი. შუა საუკუნეებში აქ აიგო მნიშვნელოვანი ქრისტიანული ძეგლები: ჯვრის მონასტერი (585/6–604 წწ.), სვეტიცხოველი (1010–1029 წწ.), სამთავრო (XI ს–ის 30–იანი წლები) და სხვა ნაგებობები, ფართოდ გაიშალა კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობა. სვეტიცხოველი დღესაც მართლმადიდებელი ქართული სამოციქულო ეკლესიის საკათედრო ტაძარია.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში I საუკუნიდან დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება, რაც დაკავშირებულია ანდრია პირველწოდებულის სახელთან. შემდეგ კი წმინდა ნინო კაბადოკიელმა დააგვირგვინა ეს საქმე. IV საუკუნის 30–იან წლებში მირიან მეფისა და ნანა დედოფლის შემწეობით ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. V საუკუნიდან ქართული ეკლესია დამოუკიდებელი (ავტოკეფალიური) იყო.











Trails of ancient man in Georgia date back to the Stone Age. The discovery of a human jawbone with sixteen teeth, and afterwards, of the two skulls of ancient man Homoerektus was a huge event. As it turned out, the “Dmanisi Hominin” was about one million and eight thousand years old; the age was determined in  Germany.

Three large unions on the territory of Georgia: Diaokhi, Colchis and Saspers are mentioned in written sources. The strength of the Colchis unity was reflected in one of the masterpieces of ancient Greek epic literature, the myth of the Argonauts.

In the IV century B.C., a large political union of Georgian tribes was formed on the territory of Kvemo Kartli and Mtskheta, which included a larger part of East Georgia. In this connection, Mtskheta played a big role. The territory of ,,The Great Mtskheta” was populated in the III-II millenium B.C. Certain changes took place in Mtskheta in the I millennium B.C.; a strong cultural flow came from the East, which greatly determined the life of the city. Ethnic diversity of population became a peculiar feature of Mtskheta. It was in Mtskheta that Christianity was declared a state religion in the beginning of the IV century.

Tbilisi became the capital of Kartli in the V century. Mtskheta retained the status of a religious center. Important Christian monuments were built here in the Middle Ages: Jvari Monastery (585/6-604), Svetitskhoveli (1010-1029), Samtavro (the 30s of the XI c.) and other buildings, where cultural and educational activity was substantially developed. Svetitskhoveli of Mtskheta remains the cathedral of the Georgian Orthodox Apostolic Church to this day.

The Spread of Christianity in West and East Georgia was connected with the name of St. Andrew  the First Called. Then the process was crowned by St. Nino from Capadocia. With the support of King Mirian and Queen Nana, Christianity was declared a state religion in the 30s of the IV century. The Georgian Church has been independent (autocephalous) since the V century.





რამდენიმე საუკუნის მანძილზე მტერთაგან შევიწროვებულ ქვეყანას, XI საუკუნეში მხსნელად მოევლინა დავით IV აღმაშენებელი (1089–1125 წწ.). 1104 წელს მეფემ ჰერეთ–კახეთი შემოიერთა. იმავე წელს, განძის ათაბაგის ერწუხის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, დავით აღმაშენებელმა აღმოსავლეთ პროვინციებზე  ძალაუფლება განიმტკიცა.

1121 წელს დავით IV-მ ძლევამოსილად დაამარცხა მუსლიმური ქვეყნების კოალიციური ლაშქარი დიდგორთან ბრძოლაში. 1122 წელს თბილისი საქართველოს ერთიან სამეფოს დაუბრუნდა და დედაქალაქიც ქუთაისიდან აქ გადმოიტანეს. დავით აღმაშენებლის მეთაურობით გაერთიანდა თითქმის მთელი კავკასია (ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგანამდე) და საქართველო მთელ ახლო აღმოსავლეთში ძლიერ და აღიარებულ სახელმწიფოდ იქცა.

დავით აღმაშენებლის პოლიტიკა განაგრძეს მისმა მემკვიდრეებმა: განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეფე თამარის მოღვაწეობა. XII საუკუნის 90–იანი წლები საქართველოს წარმატებებით აღინიშნა. ქართველები თურქთა წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ. შამქორისა (1195წ.) და ბასიანის (1203წ.) ბრძოლებში თამარმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. ასე რომ, XIII საუკუნის 20–იანი წლებისთვის საქართველო პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფო იყო.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ვახტანგ VI–ის მმართველობისას (1703–1711 წწ. გამგებელი; 1716–1724 წწ. – მეფე), საქართველო პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის გზას დაადგა. ორმხრივი ინტერესების საფუძველზე, ქართლის სამეფოსა და რუსეთს შორის სამხედრო–პოლიტიკური კავშირი დამყარდა. ირანის შაჰმა ვახტანგ VI გადააყენა და ქართლ-კახეთის მმართველობა კონსტანტინეს გადასცა, რომელმაც დაღესტნელთა დაქირავებული ჯარით 1723 წელს თბილისი აიღო. 1724 წელს ვახტანგ VI მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთს გაემგზავრა და იქ შეაფარა თავი.

1744 წელს ქართლის მეფედ თეიმურაზ II, ხოლო კახეთის მეფედ ერეკლე II იქნა დამტკიცებული. 1762 წელს, თეიმურაზ II–ის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლე II–მ თავი ქართლ–კახეთის მეფედ გამოაცხადა და ამ აქტით აღმოსავლეთ საქართველო ერთ სამეფოდ გაერთიანდა.

XVIII საუკუნის 70–80–იან წლებში ქართლ–კახეთის მდგომარეობა დამძიმდა. ერეკლე II დარწმუნდა, რომ საკუთარი ძალით დამოუკიდებლობას ვერ შეინარჩუნებდა, ამიტომ რუსეთს სთხოვა მფარველობა. 1783 წლის 24 ივლისს ქ. გეორგიევსკში დაიდო რუსეთ–საქართველოს ტრაქტატი, რომელიც რატიფიცირებული იქნა 1784 წლის 24 იანვარს. ამ ხელშეკრულების საფუძველზე საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა.

1798 წლის იანვარში ერეკლე II გარდაიცვალა და ტახტი მისმა მემკვიდრემ გიორგი XII–მ  (1798–1800 წწ.) დაიკავა. იგი შეეცადა ტრაქტატის განახლებას. რუსეთის იმპერატორმა პავლე I–მა თავისი ბრძანებით (მანიფესტით) ქართლ–კახეთის სამეფო გააუქმა და რუსეთს შეუერთა, რაც, ფაქტობრივად, ქვეყნის ანექსია იყო.





In the XI century, David Aghmashenebeli (1089-1125) became the savior of Georgia. In 1104, the king annexed Heret-Kakheti. In the same year, after defeating the Atabag of Gandza in the battle of Ertzukhi, David Aghmashenebeli strengthened his authority in the eastern provinces.

In 1121, David Aghmashenebeli defeated coalition troops of Muslim countries in the battle of Didgori. In 1122, Tbilisi was returned to the united state of Georgia and the capital was moved from Kutaisi to Tbilisi. Nearly the whole of Caucasus was united under David Aghmashenebeli from ,,Nikopsia to Daruband " and from ,,Ossetia to Aregana", and Georgia became a powerful and recognized state in the Near East.

The policy of David Aghmashenebeli was continued by his successors: the activity of Queen Tamar is especially important. The 90s of the XII century were marked by the success of Georgia. The Georgians started an assault against the Turks. Queen Tamar won a glorious victory in the battles of Shamkori (1195) and Basian (1203).Thus Georgia was a politically powerful state by the 20s of the XIII century.

In the first quarter of the XVIII century, during the rule of Vakhtang VI (1703-1711 as ruler; 1716-1724 as king), Georgia stood on the path of political and cultural revival. On the basis of mutual interests, a military and political union was formed between the Kartli kingdom and Russia. The Iranian Shah deposed Vakhtang VI and handed over the rule of Kartli and Kakheti to Konstantine, who occupied Tbilisi by means of mercenary Dagestani troops in 1723. In 1724, Vakhtang VI, accompanied by a large suite, traveled to Russia and took refuge there.

In 1744, Teimuraz II was proclaimed King of Kartli, and Erekle II became King of Kakheti. In 1762, after the death of Teimuraz II, Erkle II proclaimed himself King of Kartl and Kakheti and thus East Georgia became a united state.

In the 70-80s of the XVIII century, the situation in Kartl and Kakheti worsened. Erekle II became convinced that he was unable to retain independence on his own; so, he asked Russia for protection. On July 24,1783, a treaty was concluded between Russia and Georgia in Georgievsk, which was ratified on 24 January, 1784. On the basis of this agreement, Georgia went under the patronage of Russia.

In January, 1798, Erekle II died. His son George XII (1798-1800) succeeded to the throne. George XII tried to renew the Treaty. The Emperor of Russia Paul I abolished the Kartl and Kakheti Kingdom by his decree (the Manifesto) and included it as part of the Russian Empire, which was a factual annexation of the country.









## ᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ XIX ...

XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრი და, საერთოდ, პოლიტიკური მოძრაობა სოციალურ და ეროვნულ პრობლემებში ეხვევა. ამის გამო სოციალური და ეროვნული მოძრაობები ერთიანდება. XIX საუკუნის II ნახევარში ახალი ეროვნული მოძრაობის მედროშედ გამოდიან ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი, ე.წ. „თერგდალეულები“, რომელთა მოღვაწეობა რუსიფიკატორულ პოლიტიკასთან ბრძოლას ემსახურება.

XIX საუკუნის 70–იანი წლები საფაბრიკო–საქარხნო წარმოების აღმავლობის ხანაა. 1851 წელს ევროპელმა შტუსემ თბილისში მექანიკური ქარხანა აამუშავა. იმავე პერიოდში აქვე იხსნება თუჯის ნაკეთობათა ჩამოსასხმელი ქარხანა; 1858 წელს - თამბაქოს ფაბრიკა. 1872 წლის მეორე ნახევარში დაიწყო მატარებლების რეგულარული მოძრაობა ფოთი–თბილისის რკინიგზის ხაზზე. 1883 წელს დამთავრდა თბილისი–ბაქოსა და ბათუმ–სამტრედიას შორის რკინიგზის მშენებლობა. 80–90-იან წლებში მრეწველობის წამყვან დარგად მანგანუმის მოპოვება იქცა. ვითარდება მსუბუქი მრეწველობაც. 1870 წელს თბილისში დიდი საფეიქრო ფაბრიკა გაიხსნა. ამ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს დედაქალაქი თბილისი, რომელიც იმ დროის ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრად იქცა.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართველმა ხალხმა შეძლო მიეღწია კულტურული და ეკონომიკური აღმავლობისთვის. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით გაიზარდა სავაჭრო ფულადი კაპიტალი. 1828 წელს საქართველოდან ჩასულმა ვაჭრებმა ლაიფციგის ბაზრობაზე 10 მილიონი მანეთის პროდუქცია შეიძინეს. გაძლიერდა სავაჭრო კაპიტალის მრეწველობაში შეჭრის პროცესი. ეს იმ დროისათვის საკმაოდ გახმაურებული მსხვილი შესყიდვა იყო.

**უმდიდრესმა ვაჭრებმა - დავით სარაჯიშვილმა, იაკობ ზუბალაშვილმა, დავით ტერ-გუკასოვმა, დავით თამამშევმა, ტარიელ ლორის-მელიქოვმა და სხვებმა ტყავის, შაქრის, საპნის, სანთლის, ბამბის ფაბრიკა-ქარხნები, არყის სახდელი და სხვა საწარმოები დააარსეს.**












**THE COMPLICATED AND INTERESTING XIX CENTURY…**

Public opinion and political movement of the XIX century in general became involved in social and national problems. As a result, social and national movements were united. In the second half of the XIX century, Ilia Chavchavadze and his confederates, the so-called Tergdaleulebi, became the leaders of a new national movement. Their activity was connected with the struggle against the policy of Russification.

The 70s of the XIX century are a period of the revival of factory industry. In 1851, the European Shtusse put in operation engineering works in Tbilisi. In the same period, a cast iron foundry was opened in Tbilisi; in 1858, a tobacco factory was established. In the second half of 1872, regular railway traffic started on the section of the Poti-Tbilisi railway line. In 1883, construction of the railway between Tbilisi-Baku and Batumi-Samtredia was completed. In the 80s and 90s, manganese mining became a leading branch of industry. Light industry was also developing. In 1870, a large textile mill was opened in Tbilisi. The capital Tbilisi became particularly larger in this period. It became the administrative center of Transcaucasia of that period.

In the second half of the XIX century, the Georgian people succeeded in reaching cultural and economic revival. Trade money capital experienced an unusually rapid growth. In 1828, merchants from Georgia purchased a production of 10 million rubles at the fair in Leipzig. The process of intrusion of trade capital in industry became stronger. It was a huge purchase, which was a sensational event of that time.

**The richest merchants: David Sarajishvili, Jacob Zubalashvili, David Tergukasov, Davit Tamamshev, Tariel Loris-Melikov and others established a large number of leather, sugar, soap, candle, cotton, vodka distillation factories and plants.**






## „დიდი აბრეშუმის გზა“
## ,,THE GREAT SILK ROAD”



### საქარავნო ვაჭრობა

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეები საქართველოში ქალაქების – მსხვილი სახელოსნო-სავაჭრო ცენტრებისა და ვაჭრობა-ხელოსნობის ზრდის ხანას წარმოადგენს. ამ ეპოქაში ვითარდება საერთაშორისო ვაჭრობაც. საქართველოს იმჟამინდელ დედაქალაქ მცხეთაზე გადიოდა სხვადასხვა მხრიდან მომავალი სავაჭრო გზები, რომელთაც შორეულ აღმოსავლეთთან (ინდოეთიდან) დასავლეთის (რომის) სავაჭრო მაგისტრალადაც იყენებდნენ.

საგარეო ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ საქართველოზე გადიოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერთებელი ანტიკური ეპოქიდანვე ცნობილი დიდი სავაჭრო გზა. ინდოეთიდან და ჩინეთიდან კავკასიის გავლით ევროპისაკენ მიმავალ მაგისტრალს „დიდი აბრეშუმის გზა“ უწოდეს, რომლითაც რომისა და შემდგომ ბიზანტიის იმპერიებს ჩინეთიდან მაღალხარისხოვანი აბრეშუმი შეჰქონდათ თავიანთ ქვეყნებში.



ფართოდ იყო გაშლილი საქარავნო ვაჭრობა - მუსლიმანური ქვეყნებიდან და ბიზანტი-იდან საქართველოში შემოჰქონდათ სხვადასხვა საქონელი: ქსოვილები, ნელსაცხებლები, ცხენის აღკაზმულობა, შაქარი და სხვა. XII საუკუნის საქართველოში შალის ქსოვილისთვის მატყლს ეგვიპტიდანაც კი ეზიდებოდნენ. საქართველოდან გაჰქონდათ პური, ბამბა, აბრეშუმი, ბეწვეული, ღვინო, ენდრო, სელი, მაღალხარისხოვანი მატყლი. „ქართული აბრეშუმი“ დიდად ფასობდა წინა აზიისა და ევროპის ბაზრებზე. კავშირი იყო დამყარებული იმ დროისათვის მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებთან, როგორიცაა კონსტანტინეპოლი, ბაღდადი, ალექსანდრია.

### CARAVAN TRADE

The first centuries A.D. were the era of growth of the cities as large craftsman-trade centers, and of trade and workmanship in general. International trade was also developing in this epoch. Trade routes from various places crossed Mtskheta- by then the capital of Georgia. These routes were used as trade arteries extending from India in the Far East and Rome in the West.



The development of international trade was also facilitated by the fact that a big famous trade route connecting the West and the East crossed Georgia since ancient times. The big trade route from India and China through the Caucasus to Europe was called ,,The Great Silk Road”. This road was used by the Roman, and later by the Byzantine empire to import high quality silk to its countries.

Caravan trade was widely spread. Various goods like fabrics, ointments, horse harness, sugar, etc. were imported from Muslim countries and Byzantium to Georgia. In the XII century the wool for woolen fabric was carried to Georgia even from Egypt. Bread, cotton, silk, furs, wine, madder, flax, high quality wool, horses, etc. were exported from Georgia. ,,Georgian silk” was highly esteemed on the markets of West Asia and Europe. Georgia had relations with such important trade and economic centers of those days as Trabzon, Constantinople, Bagdad, Alexandria, etc.





## თბილისი... ვაჭართა დიდი გაერთიანებები

მოგვიანებით საქართველოს საშინაო და საგარეო ვაჭრობის ცენტრი გახდა ქვეყნის ახალი დედაქალაქი - თბილისი, თუმცა ფართო სააღებმიცემო საქმიანობაში სხვა ქალაქებიც იყო ჩაბმული. ვაჭრები მნიშვნელოვან სოციალურ შრეს წარმოადგენდნენ, ხოლო დიდვაჭრები ქალაქის პრივილეგირებულ ფენას განეკუთვნებოდნენ. ვაჭრებს თავიანთი გაერთიანება ჰქონდათ, რომელსაც სათავეში ვაჭართუხუცესი ედგა. მის მოვალეობას შეადგენდა ვაჭართა გამგებლობა და უცხო ქვეყნების ვაჭართა სათანადო მიღების ორგანიზაცია. იგი კონტროლს უწევდა საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობას.



## ქარვასლების ხანა

„დიდი აბრეშუმის გზის“ საკვანძო პუნქტს საქართველოს ტერიტორიაზე უზარმაზარი სავაჭრო ცენტრები, ამავდროულად სასტუმრო, დიდვაჭრების მოსასვენებლი ადგილი - ქარვასლები წარმოადგენდა, რომლებსაც განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა სატრანზიტო-საქარავნო ვაჭრობაში. მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში მკვეთრად იმატა ქარვასლების რაოდენობამ. 1850 წელს თბილისში 13 ქარვასლა იყო.

ქარვასლა შიგაეზოიანი და დარბაზული, დიდი შადრევან-აუზით დამშვენებული 2-3-4-სართულიანი ნაგებობა იყო - სარდაფებით, საწყობებით, დუქნებითა და სახელოსნოებით, საჯინიბოებით, სასტუმრო ოთახებითა და დარბაზებით, სადაც ზოგჯერ საპატიო სტუმრების საზეიმო მიღებაც ეწყობოდა.

1843 წელს მრეწველმა იაკობ ზუბალაშვილმა თბილისში დიდი ქარვასლა ააგო, რომლშიც 10 სავაჭრო მაღაზია, საწყობები, ღვინის სარდაფები და 71 სასტუმრო ოთახი იყო. ქარვასლები კომერციული ცხოვრების თავისებურ ცენტრებს წარმოადგენდა. თბილისის ქარვასლებში ინახებოდა და მერე მთელ ამიერკავკასიაში ნაწილდებოდა უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი. აქვე ხდებოდა სხვადასხვა სახის სავაჭრო გარიგებაც.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, სარკინიგზო ხაზის გაყვანის შემდეგ, ქარვასლამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა.



## TBILISI...LARGE TRADE UNIONS

Later, the new capital of the country, Tbilisi, became the center of domestic and foreign trade, though other towns were also actively involved in the purchase and sale activity. Merchants represented an important social group, and grand merchants belonged to the privileged groups of the city. They had their own union headed by a ,,Vatchartukhutsesi". His duty was to supervise local merchants and organize proper reception for foreign merchants. He oversaw caravan and transit trade.



## THE EPOCH OF ,,KARVASLAS"

Huge trade centers called ,,Karvaslas" were important junction points of the ,,Great Silk Road" on the territory of Georgia. They also served as hotels and places for recreation for grand merchants. They played a special role in transit caravan trade. At the end of the XVIII and the beginning of the XIX century, the number of ,,Karvaslas" sharply increased in Tbilisi. In 1850, there were thirteen ,,Karvaslas" in Tbilisi.

A ,,Karvasla" was a two, three, or four story building, embellished with a courtyard and a hall, a fountain and a pool; with cellars, warehouses, ,,Dukanis" (taverns) and workshops, stables, hotel rooms and halls, where festive receptions of honorable visitors took place from time to time.

In 1843, the industrialist Jacob Zubalashvili erected a large ,,Karvasla" in Tbilisi, which included ten trade shops, warehouses, wine cellars and seventy one guestrooms. First of all, ,,Karvaslas" in some way represented centers for commercial life. Goods brought from foreign countries were kept in ,,Karvaslas" and then were distributed throughout the whole of Transcaucasus. Various trade deals took place here as well.

,,Karvaslas" lost their importance after the construction of the railway line in the 70s of the XIX century.



# საუკუნის მეცენატები და "დიდვაჭრები"
# THE PATRONS AND GREAT MERCHANTS OF THE CENTURY



## ზუბალაშვილები – სტეფანე, პეტრე, იაკობი...

ქართველ მრეწველთა, სოვდაგართა, ქველმოქმედთა, მეცენატთა გვარი – ზუბალაშვილები მე-17 საუკუნიდან არის ცნობილი.

მე-19 საუკუნის 20-იან წლებში იაკობ ზუბალაშვილი იმ დროისათვის ერთ-ერთი მსხვილი მეწარმე გახლდათ. ზუბალაშვილების ოჯახის საჩუქარია თბილისის შაქრის ქარხანა; დედაქალაქის ყველაზე კეთილმოწყობილი სასტუმრო – ახლანდელი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი; სახალხო სახლი - ამჟამინდელი კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა, რომელიც ძმების - სტეფანე, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილების სახსრებით აშენდა.





## დავით სარაჯიშვილი

საქართველოსა და რუსეთში ქართული კონიაკის სამრეწველო წარმოების დამფუძნებელი, ცნობილი ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი დავით სარაჯიშვილი საქართველოს მეწარმეთა მეტრია, როგორც მეცენატი, მოქალაქე, პატრიოტი.

ღვინის სამშობლოდან, საქართველოდან, ევროპაში სწავლა-განათლების საზიარებლად ჩასული ახალგაზრდა დაინტერესდა კონიაკის წარმოებით. აქ მიღებულმა ცოდნამ და ქართული სამეურნეო კულტურის მიმართულებების გაანალიზებამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური გარემო და ვაზის მრავალი ჯიში საუკეთესო პირობებს ქმნის კონიაკის წარმოებისათვის და სწორედ ამ მიზნით, 1885 წელს თბილისში ააგო კონიაკის ცენტრი – საწყობი, სადაც აძველებდა საკონიაკე სპირტს, რასაც 1888 წელს ლოგიკურად მოჰყვა პირველი კონიაკის ქარხნის დაარსება, რომელიც მხოლოდ სამამულო ნედლეულის ბაზაზე მუშაობდა. დავით სარაჯიშვილის დაარსებულია, ასევე, ლიქიორის ქარხანა.

ეს იყო იმ დროისათვის ევროპასთან ინტეგრაციის ერთგვარი მცდელობა.

## BROTHERS ZUBALASHVILI: STEPANE, PETRE, IAKOB

The surname of the Georgian industrialists, traders, sponsors and patrons, Zubalashvli has been known from the XVII century.

In the 20s of the XIX century, Iakob Zubalashvili was one of the largest entrepreneurs of that time. The Tbilisi sugar factory; the most well-furnished hotel of the capital and the present State Museum of Fine Arts; and the Peoples' House, the building of the present K. Marjanishvili State Academic Theatre were the gifts of the Zubalashvili family and their construction was financed by brothers Stepane, Petre and Jacob Zubalashvili.



## DAVID SARAJISHVILI

The founder of commercial production of Georgian cognac in Georgia and Russia, the famous patron and public figure, Doctor of Chemistry and Philosophy, David Sarajishvili, was the tycoon of the Georgian entrepreneurs, a sponsor, a citizen, and a patriot. After going to Europe from the cradle of wine, Georgia, to receive education, the young man became interested in the production of cognac. The knowledge he acquired there and the analysis of the directions of Georgian economy led him to a conclusion that the soil, climatic conditions and a great variety of species of vine in Georgia create the best ground for the production of cognac; and it was with this aim that he built a cognac center in Tbilisi in 1885. It was a warehouse where he aged spirits for cognac, which was logically followed by the creation of the first cognac factory in 1888; the factory was supplied only with domestic ingredients. David Sarajishvili also founded a liqueur factory.

It was an attempt to integrate with Europe of that time.



## შფოთიანი XX ...

ასე შეაბიჯა ეკონომიკურად მომძლავრებულმა და კულტურულად დაწინაურებულმა, რუსეთის მძლავრ მარწუხებში მოქცეულმა საქართველომ შფოთიან და კატაკლიზმებით აღსავსე XX საუკუნეში.

პირველი მსოფლიო ომის შედეგად დამყარებულმა ახალმა წესრიგმა ვერ უზრუნველყო საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება. 1920 წლის 16 დეკემბერს საქართველო არ მიიღეს ერთა ლიგაში. ყოველივე ამის შემდეგ ნათელი ხდებოდა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობას დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა, მით უმეტეს, რომ რუსეთს უკვე დაპყრობილი ჰყავდა ორი მეზობელი ქვეყანა - სომხეთი და აზერბაიჯანი.

1922 წელს დასრულდა ამიერკავკასიის ფედერაციული მოწყობა. კიდევ ერთხელ გადავიდა მეორე პლანზე დასახელება “საქართველო“ და 1922 წლიდან 1936 წლამდე საქართველო ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკების შემადგენლობაში მოექცა.

30-იან წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა მიგრაციული პროცესები. საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლდნენ რუსები, უკრაინელები, ოსები, გაიზარდა სომხების რიცხვი, ძირითადად სომხეთის რესპუბლიკიდან გადმოსახლებულთა ხარჯზე. 1939 წლისათვის, ხანგრძლივი მიგრაციული პროცესების შედეგად, ქართველების რაოდენობა საგანგაშოდ შემცირდა და პირველად ისტორიის განმავლობაში, წამყვანი ერი თავის ქვეყანაში 2/3-ზე ნაკლები აღმოჩნდა.

II მსოფლიო ომის შემდგომი მძიმე წლების შემდეგ ცხოვრება მაინც წინ წავიდა.

საბჭოთა პერიოდის ტოტალიტარულ მმართველობას, მკვეთრად უარყოფითი ფონის მიუხედავად, ერთგვარი გამოწვევის სახე ჰქონდა დანარჩენი მსოფლიოს მიმართ... და დაიწყო, ერთი შეხედვით, გრანდიოზული მშენებლობების ეპოქა. ეს შეეხო ერთიან საბჭოურ ქსელში ჩართულ საწარმოო ციკლებს, ფაბრიკა-ქარხნებს. საქართველოში ვითარდებოდა მძიმე ინდუსტრია, აშენდა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ამუშავდა თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, გაიხსნა ქუთაისის ავტომშენებელი ქარხანა, ფოთსა და ბათუმში აშენდა გემთმშენებელი ქარხნები, უდიდესი პომპეზურობით გაიხსნა თბილისის საავიაციო ქარხანა. შენდებოდა გრანდიოზული სპორტული კომპლექსები – სპორტის სასახლე, სტადიონები, ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლები, ბაღები, სკვერები, კინო-თეატრები. ერთი შეხედვით, ყველაფერი ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ეს იყო ბედნიერი, კომუნიზმის მშენებელი ქართული საზოგადოება. ერთგვარი მიღწევა იყო 1957 წელს პირველი ქართული ტელევიზია. 1965 წელს თბილისი რადიოსარელეო ხაზით საკავშირო სატელევიზიო გადაცემებში ჩაერთო. 1958 წელს ამუშავდა საჰაერო-საბაგირო გზა, 1966 წელს კი ქვეყნის დედაქალაქს უკვე მეტროპოლიტენი ჰქონდა.

## THE STORMY XX CENTURY…

Thus, after reaching economic strength and cultural progress while in bondage to Russia, Georgia stepped into the stormy and full of cataclysms XX century.

A new order, established after World War I, failed to retain the independence of Georgia. On December 16, 1920, Georgia was not accepted in the League of the Nations. After that, it became clear that the independence of the country would not last long, especially since Russia had already occupied the two neighboring countries of Armenia and Azerbaijan.

In 1922, the formation of Transcaucasia as a federation was completed. The name ,,Georgia" once again moved to the background; and for the period from 1922 to 1936, the country became a part of the Soviet Federation Socialist Republics of Transcaucasia.

In the 30s, migratory processes were especially active. Russians, Ukrainians, Ossetians migrated from the Northern Caucasus and settled in Georgia. The number of Armenians increased, mainly because of the migrants from the Republic of Armenia. By 1939, as a result of a long migration process, the number of Georgians decreased to an alarming level; and for the first time in its history, the leading nationality comprised less than 2/3 of the population of its own country.

Life kept moving on after the hard years of World War II.

Notwithstanding a sharply negative background, the totalitarian government of the Soviet period retained its defiant attitude toward the rest of the world…and an epoch of seemingly grandiose construction began. It affected industrial cycles, factories and plants involved in the united soviet network. Heavy industry was developed in Georgia; Rustavi Metallurgical Plant and Tbilisi Electric Locomotive Repairs Factory were built; Automobile Factory was opened in Kutaisi; Shipyards were constructed in Poti and Batumi; and Tbilisi Aviation Factory was opened with great pomp. Grandiose sports complexes like the Sports Palace, sports stadiums, appartment buildings of a new type, gardens, squares and movie theaters were built. At first sight, everything left an impression of a happy Georgian society building communism. The establishment of Georgia's first television in 1957 was a success; and in 1965 Tbilisi became involved in the all-union television programs by means of the line-of-sight pass. In 1958, air cable-way was put in operation; and in 1966, the capital of the country already had its underground.















## დისიდენტების ქვეყანა

80-იანი წლების დასასრული საბჭოთა კავშირის შესუსტების ხანად არის აღიარებული. ცალკეულ რესპუბლიკებში გაძლიერდა დისიდენტური მოძრაობა, რომლის ლიდერად და გენერატორად სამართლიანად არის მიჩნეული საქართველო. მთელ საბჭოთა სივრცეში იმდენი დისიდენტი არ ყოფილა, რამდენიც საქართველოში იყო.

ხანგრძლივი დისიდენტური მოძრაობის შემდეგ ახალ საქართველოში საფუძველი ეყრებოდა მრავალპარტიულობას. ხელისუფლებამ სრულიად მოულოდნელი შედეგი მიიღო. უზარმაზარი იმპერია ინგრეოდა და სისტემამ ნაცადი ბერკეტი აამუშავა: “მატრიოშკას“ პრინციპით მოწყობილ რესპუბლიკებს ერთი და იმავე სცენარით დაუპირისპირა მათი შემადგენელი ავტონომიური ერთეულები: მთიანი ყარაბახი აზერბაიჯანში, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოში და სხვ.

## ტოტალიტარიზმის დასასრული..

ამის მიუხედავად, სრულიად მოულოდნელად საბჭოთა კავშირმა დათმო პოზიციები. ტოტალიტარულმა რეჟიმმა, დასავლეთის ზეწოლით, თითქოს უმტკივნეულოდ დაუთმო ასპარეზი ეროვნულ მოძრაობას, თუმცა იყო სასტიკი და სისხლიანი 9 აპრილი, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ხანმოკლე პერიოდი, სამოქალაქო ომი, დროებითი საბჭო, რის შემდეგაც ქვეყანას, ახლა უკვე საქართველოს პრეზიდენტის რანგში, მოევლინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, რომლის თხუთმეტწლიან მმართველობასაც მოჰყვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, კორუფციის ზრდა, ნიჰილიზმი, უმძიმესი სოციალური პირობები და მოჩვენებითი სტაბილურობა...

მაგრამ ქვეყანაში უკვე არსებობდა ახალგაზრდა თაობა, რომელიც აღარ იყო თანახმა შეგუებოდა შუასაუკუნეობრივ, ავტორიტარულ, მკაცრ იერარქიასა და უსამართლობაზე დაფუძნებულ ცხოვრების წესს. ქვეყანაში უკვე არსებობდა მრავალპარტიული სისტემა და გახსნილი საზღვრების პირობებში გარედან შემოღწეული დემოკრატიული პრინციპები, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში თანდათან იკაფავდა გზას და ახალი ცხოვრების წესს ამკვიდრებდა.

უმძიმესი პრობლემებითა და უკეთესი მომავლის მოლოდინით შეაბიჯა საქართველომ 21-ე საუკუნეში...



## THE COUNTRY OF DISSIDENTS

The end of the 80s is known as the period of the weakening of the Soviet Union. In certain republics, dissident movement continued. Georgia is rightly considered to be the leader and generator of this movement

Georgia had the largest number of dissidents among the Soviet Republics.

გამომცემელი: შპს „მვპ“, მისამართი: ი. გამრეკელის ქ. №51, ტელ.: 20 24 24, ელ. ფოსტა: public@24hours.ge

# პოლიგრაფიული საწარმო

# შპს „მპპ"




ფერადი საგაზეთო ბეჭდვა
საქართველოში საუკეთესო ხარისხით






სრული პოლიგრაფიული
მომსახურება და
ფერდაშლა




შპს „მპპ", მისამართი: ი. გამრეკელის ქ. №51, ტელ.: 20 24 24, ელ. ფოსტა: public@24hours.ge

# თუ თქვენი სახლის სარკმლიდან თბილისი არ ჩანს, თბილისელებში გამოჩნდება!



თბილისი... თაბუკაშვილის ქუჩა... ყველასთვის ნაცნობი დიდი წითელი აბრა თეთრი წარწერით... ქუჩიდან შემოსასვლელი კარი, ისევე როგორც ჟურნალის გული ფართოდაა გაღებული ნებისმიერი თბილისელისთვის და მთელი საქართველოსთვის. ქუჩიდან შემოსულ ადამიანს შესაძლოა, თავბრუც კი დაეხვეს. გიჟური რიტმი, უამრავი ფურცელი, მოქოქილი ადამიანების ხმამაღალი საუბარი - ეს „თბილისელების“რედაქციაა. რას იზამ?! მატიანის წერა არც ისე იოლია!

“თბილისელები” შვიდი წლისაა. შვიდი - საკრალური რიცხვი, იღბლიანი რიცხვი. თუმცა იღბალი ყოველთვის იქ არის, სადაც ბევრს შრომობენ, ღამეებს ათევენ, სადაც ადამიანები ფუტკრებივით სტაბილურად, მაგრამ ქაოტურად, დიდ საქმეს აკეთებენ. დიდი საქმე კი თბილისის ისტორიის შექმნაა. ამიტომ “თბილისელები” კიდევ დიდხანს იარსებებს, რადგან მისი წარმატების საიდუმლო არა რიცხვებში, არამედ ადამიანებში, საქმისადმი დამოკიდებულებასა და მის სიყვარულშია. ჟურნალი ამ ქალაქის ისტორიის ნაწილია? არა, უფრო მეტი. ის მისი ამსახველიცაა. “თბილისელების” ნებისმიერი ნომრის ხელში აღება საკმარისია იმისთვის, რომ გაიგო, თუ რითი ცოცხლობდა დედაქალაქი, რა უხაროდა, რა აწუხებდა იმ კვირას, იმ დღეს, იმ საათსა თუ წამს. ვწერთ იმაზე, რასაც ადრე უბრალოდ ჰყვებოდნენ, რაზეც წლების წინ მხოლოდ უბნებში, მეზობლებში, ოჯახებში საუბრობნენ; რასაც ადამიანები ერთმანეთს უყვებოდნენ და ამბავს არჩევდნენ; რაზეც თავიანთ ეზოებში კამათობდნენ. იოლი არ არის, მიგიღოს თბილისმა და შეგისისხლხორცოს, თავისი ყოველდღიურობის ნაწილად გაქციოს, მაგრამ მან შეიყვარა ეს ჟურნალი. შედეგად კი, დღეს ყველა თბილისელის საქმიანი ორშაბათი დილა სწორედ “თბილისელებით” იწყება.

შვიდი წლის წინ, იმ დროისთვის თავზეხელაღებულმა, მაგრამ საკუთარ იდეაში ბოლომდე დარწმუნებულმა ორმა ადამიანმა დედაქალაქის და, შესაბამისად, მთელი ქვეყნის ისტორიის ყოველკვირეული ასახვა დაიწყო. თბილისი ხომ ერთი ჩვეულებრივი, რიგითი ქვეყნის რიგითი დედაქალაქი არ არის. ეს ურთიერთობების, ვნებების, ემოციების, ადამიანურობის კულტურული ცენტრია, რასაც კარგი მემატიანე სჭირდებოდა. მატიანეს წერა დაიწყო! თავზეხელაღებულობაც ამას ჰქვია. მაშინ ერთს ჯერ კიდევ ჰქონდა თავზე ქოჩორი, მეორე კი გამხდარიც იყო. ლამპის შუქზე, მათი ხელით (ამ სიტყვის არაგადატანითი მნიშვნელობით) შექმნილი ჟურნალი ნელ-ნელა იხვეჭდა პოპულარობას. პოპულარობასთან ერთად კი, თანამშრომლების რიცხვიც მატულობდა. დღეს თბილისის ისტორიას რამდენიმე ათეული ადამიანი აღწერს. ორი თავზეხელაღებული ადამიანის იდეამ გაამართლა. ისინი, ოდნავ შეცვლილები, ისევ ამ ჟურნალის სათავეებთან დგანან და ისევე როგორც 2001 წლის 7 იანვარს,

ქალაქის ისტორიის შემადგენელ თითოეულ ნიუანსს ხელშესახებად ახლოდან ადევნებენ თვალყურს.

ჩვენ ისევ თაბუკაშვილის ქუჩაზე ვართ, დედაქალაქის ცენტრში, ჭრელი და ნათელი ქალაქის შუაგულში, ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის თეატრის, ახალგარემონტებული სასტუმროებისა და მეგაკომპლექსების გვერდით. ვმუშაობთ სწორედ იმ ქუჩაზე, სადაც გოგი გეგეჭკორი, რაზო თაბუკაშვილი და მედეა ჯაფარიძე ცხოვრობდნენ; ვგრძნობთ ძველი და ახალი თბილისის შერეულ სურნელს. ჩვენ ვმუშაობთ იმ ადგილას, სადაც წლების წინაც დუღდა თბილისური ცხოვრება და დღესაც დუღს. ამ დუღილისგან მიღებულ შემოქმედებითი შედეგების შესახებ ჟურნალ „თბილისელებში“ყოველ ორშაბათს წაიკითხეთ.

ასე რომ, თუ თქვენი სახლის სარკმლიდან თბილისი არ ჩანს... “თბილისელებში” გამოჩნდება!

# If you cannot see Tbilisi from your window, you will see it in “Tbiliselebi”!

Tbilisi…Tabukashvili street…the familiar large red billboard with a white inscription…Just like the heart of the magazine, its entrance door is open for any Tbilisian and the whole of Georgia. An outsider might even get dizzy here. Crazy rhythm, innumerable sheets of paper, wired up people talking loudly: this is the editorial of “Tbiliselebi”. What can you do?! Writing annals is not that easy!

“Tbiliselebi” is seven years old. Seven is a sacral number, a lucky number. Though, luck is always where they work hard all night, where people accomplish great deeds working steadfastly, though chaotically, like bees. The great deed in this case is the creation of the history of Tbilisi. Therefore, “Tbiliselebi” is here to stay because the secret of its success lies not in numbers but in the people, their attitude toward work and their love for it. The magazine is part of the history of this town? No, it’s more than that: the magazine is a chronicler of the town’s history. Just browsing through any issue of “Tbiliselebi” will be enough to find out how the town lives, what gladdens or saddens it this week, this day, this hour or minute. We write about what used to be only spoken about; what years ago people talked about only in their neighborhoods or families; what they told another and what they discussed; and what they argued about in their front yards. It is not easy to be accepted and recognized as Tbilisi’s own, to become part of its everyday life. But Tbilisi came to love this magazine. And as a result, the busy Monday morning of every Tbilisian starts with “Tbiliselebi”.

Seven years ago, two totally confident in their idea desperados began a weekly revue of the town’s, and accordingly, the country’s history. For Tbilisi is not your regular capital of a regular country. It’s a cultural center of relationships, passions, emotions and decency that needs a good chronicler. And behold the chronicle began! So much for the desperados! Back then, one of them still had the hair and the other one was even skinny. The magazine, made literally with their own hands under the lamplight, gradually gained popularity. And with it, the number of employees increased. Today, several dozen people write the history of Tbilisi. The dream of the two desperados came true. They’ve changed a little, but they’re still in charge of the magazine; and just like on January 7, 2001, they closely observe every detail of the town’s chronicle.

We’re still Downtown, on Tabukashvili street, in the heart of the colorful and bright town, next to the Opera House, the Rustaveli Theater, the newly remodeled hotels and mega complexes. We work on the very street where Gogi Gegechkori, Rezo Tabukashvili and Medea Japaridze lived. We smell the mix of the aromas of the Old and New Tbilisi. We work on the very spot where Tbilisian life overflowed and continues to overflow. You can read about the fruits of this life in the magazine “Tbiliselebi” every Wednesday.

So, if you cannot see Tbilisi from your window, you can see it in “Tbiliselebi”!



3500 ლარი საპრიზო ფონდი
PEN კონკურსი

საქართველოს 7 საოცრება

SMS 1409
SMS-ის მეშვეობით განათავსეთ განცხადება
3 ლარი 3 ლარი
www.metrogeorgia.ge
გაზეთი მეტრო

საბავშვო კონკურსი

ფოტოკონკურსი



- პოლიტიკა
- ეკონომიკა
- გართობა
- კულტურა
- სპორტი

# მეტრო



## ყოველკვირეული უფასო საინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი

### გაზეთ „მეტროს“ - როგორც რეკლამის მატარებლის უპირატესობა

- პროფესიონალ მარკეტოლოგთა გუნდი
- შემოქმედებითი ჯგუფის განწყობა მოიპოვოს და გაამართლოს მკითხველის ნდობა
- საინფორმაციო და სარეკლამო საშუალებების მიწოდების ახალი ფორმები - ორიენტირებული მკითხველის მოთხოვნებსა და გემოვნებაზე.
- მკითხველთა აუდიტორიის უდიდესი ნაწილი განათლებული, აქტიური და მოტივირებულია.
- გათვალისწინებულია რეკლამის მომხმარებელთა სტიმულირება-წამახალისებელ ღონისძიებათა ორგანიზება, კუპონაჟი.
- მკითხველთა აუდიტორიასთან აქტიური ურთიერთობა კონკურსებისა და ვიქტორინების მეშვეობით.

ზოგიერთი ზემოთჩამოთვლილი მაჩვენებლები შეიძლება გააჩნდეს სხვა გამოცემებსაც.
გაზეთ „მეტრო“-ში ყველა უპირატესობა თქვენს განკარგულებაშია!

855 39 30 39
info@metrogeorgia.ge
22 38 08
www.metrogeorgia.ge

member of
ADVERTISING
GROUP

სარეკლამო ჯგუფი

მოსაშვილის ქ. 14

www.agg.ge

# ტრანსპორტი
# TRANSPORT



**ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საქართველო დღესაც ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე არსებული ბუნებრივი სატრანსპორტო დერეფანია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.**

**საქართველოს შავი ზღვის პორტები, კარგად განვითარებული სარკინიგზო სისტემა, ნავთობისა და გაზის მილსადენები, აეროპორტები უდიდესი ბაზრების და რეგიონების დამაკავშირებელ ინფრასტრუქტურას წარმოადგენს.**



## საქართველოს რკინიგზა

საქართველოს რკინიგზა შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ევრაზიის სატრანსპორტო არტერიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, რომელიც უმოკლესი გზით აკავშირებს ევროპასა და ცენტრალურ აზიას.

ამ ორი კონტინენტის სარკინიგზო ტრანსპორტით დაკავშირების იდეა XIX საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა, მისი განხორციელება კი 1865 წელს დაიწყო. 1871 წელს ფოთი-ყვირილას (ახლანდელი ზესტაფონი) მონაკვეთზე გაიხსნა სარკინიგზო მოძრაობა, 1872 წელს კი თბილისიდან ფოთში პირველი მატარებელი ჩავიდა. სწორედ ეს თარიღი ითვლება საქართველოს რკინიგზის „დაბადების დღედ“.

აქედან მოყოლებული, საქართველოს რკინიგზის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. აშენდა რკინიგზის ხაზის განშტოებები: რიონი-ქუთაისი (1877 წ), რიონი-ტყიბული (1887 წ.) და ზესტაფონი-ჭიათურა (1895 წ.). 1890 წელს დასრულდა წიფის ორლიანდაგიანი გვირაბის მშენებლობა, რომელიც იმ დროის უნიკალური ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნება.

**Due to its favorable geographic location, Georgia remains to this day a natural transport corridor between the East and the West on the crossroads of Europe and Asia.**

**The Black Sea ports, a well-developed railway system, gas and oil pipes, and the airports of Georgia represent an infrastructure connecting huge markets and regions**

## THE RAILWAY OF GEORGIA

The railway of Georgia represents one of the most important parts of the traffic artery of Eurasia connecting Europe and Central Asia in the shortest way.

The idea of connecting these two continents by means of railway transportation was born in the 30s of the XIX century, and its realization began in 1865. Railway movement began on the Poti-Kvirila: the present Zestaponi section in 1871, and in 1872 the first train arrived from Tbilisi to Poti. This date is considered to be the ,,birthday" of the railway of Georgia.

From this day on, a rapid construction of the railway of Georgia began. The branches of this railway: Rioni-Kutaisi in 1877, Rioni-Tkibuli in 1887 and Zestaponi-Tchiatura in 1895 were built. In 1890, the construction of the Tsipi double-track tunnel was completed; it represents one of the unique constructions of that time.






შპს “ეარ ვისოლი” არის სწრაფად მზარდი და მოწინავე კომპანია, რომელიც ახორციელებს უმაღლესი ხარისხის ავია საწვავის იმპორტს და დისტრიბუციას საქართველოს ტერიტორიაზე. კომპანიას სარეალიზაციოდ შემოაქვს ევროპული JET A1 და აზერბაიჯანული TS1 მარკის საავიაციო საწვავი და კვალიფიციური ტექნიკური პერსონალის მეშვეობით თავადვე ახორციელებს ავია ხომალდების საწვავით გამართვას.

კომპანიამ განახორციელა საკმაოდ სოლიდური ინვესტიცია ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. კერძოდ, პროექტი ითვალისწინებდა თანამედროვე ე.წ. ჰიდრანტის სისტემის ინფრასტრუქტურის შექმნას, რომლის დროსაც ავიალაინერების გამართვა სპეციალური ტიპის მილსადენებითა და მაღალტექნოლოგიური დანადგარებით ხდება. აღნიშნული სისტემის ანალოგი დღეისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მხოლოდ მოსკოვსა (ვნუკოვოს აეროპორტში) და ასტანაშია.

აღნიშნული ჰიდრანტის სისტემა არის ყველაზე თანამედროვე და წარმატებით ფუნქციონირებს მსოფლიოს დიდ კომერციულ აეროპორტებში. იგი გამოირჩევა თავისი უსაფრთხოებით და მომსახურების მაღალი ხარისხით.

ჰიდრანტის სისტემის პარალელურად “ეარ ვისოლი” უზრუნველყოფს ავია ხომალდების საწვავით გამართვას უახლესი ტიპის სხვადასხვა ტევადობის სპეცმანქანებით.

“ეარ ვისოლი”-ს საკუთრებაშია ნავთობ ტერმინალი, რომელიც განთავსებულია თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარედ და მასში არსებული საწვავის რეზერვუარების საერთო ტევადობა შეადგენს 5500 ტონას. კომპანიის ბაზა აღჭურვილია ყველაზე თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობებით და მსგავსად მსოფლიოს წამყვანი ნავთობტერმინალებისა, აკმაყოფილებს მკაცრ საერთაშორისო სტანდარტებს (ამერიკის საწვავის ინსტიტუტი (API) და გაერთიანებული საინსპექციო ჯგუფი (JIG)). ტერმინალი აგებულია საერთაშორისო უსაფრთხოების ნორმების და კრიტერიუმების ყველა მოთხოვნების გათვალისწინებით და მასში ფუნქციონირებს ყველაზე თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო და სისტემის გამმუხტველი აპარატურა. ბაზაში განთავსებულია ლაბორატორიაც, რომელიც პასუხისმგებელია სარეალიზაციოდ შემოტანილი საწვავის ხარისხზე.




# ეარ ვისოლი

Air Wissol L.t.d. is a progressive and fast growing company, which imports and distributes high quality aviation fuel on the territory of Georgia. Company offers European JET A1 type fuel as well as Azeri TS1 fuel and provides aircraft refueling services by qualified technical staff at Tbilisi International Airport.

Hydrant system is successfully implemented at the world's large commercial airports. It is known as the most safe and efficient for aircraft refueling.

Together with hydrant system Air Wissol provides airliner refueling services by its modern refuelers of different capacity. The project is also unique because we have system enabling to receive and store two types of aviation fuel - TS-1 and JET A-1. Both fuel types have independent systems starting from fuel unloading from railway car until its final loading into the aircraft.

Air Wissol operates tank farm with fuel reservoirs of 5500 tone capacity near Tbilisi International Airport. Alike worldwide leading terminals it corresponds to all international standards and strict requirements (American Petroleum Institute (API) and Joint Inspection Group (JIG)). Terminal is constructed according to all international safety criteria and it operates most modern firefighting and system discharging equipments. A laboratory at tank farm is responsible for fuel quality.

www.wissol.ge




### სამოქალაქო ავიაცია

საქართველოში ამჟამად მოქმედებს 4 ეროვნული და 13 უცხოური ავიაკომპანია, მათ შორის - „ავსტრიის ავიახაზები“, „ბრიტანეთის ავიახაზები“, „ლუფტჰანზა“, „თურქეთის ავიახაზები“... პირდაპირი რეისები ხორციელდება თბილისიდან ვენის, ციურიხის, ათენის, პარიზის, პრაღის, ბერლინის, მიუნხენის, ფრანკფურტის, სტამბოლის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის მიმართულებით. საჰაერო ტრანსპორტირების 98% თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ხორციელდება.

1994 წელს საქართველო გახდა საერთაშორისო სავიაციო ორგანიზაციის წევრი, 2005 წლიდან კი ჩვენი ქვეყანა ევროპის სავიაციო კონფერენციის წევრია.

### CIVIL AVIATION

At present, four national and thirteen foreign air companies function in Georgia, among which are ,,Austrian Airlines”, ,,British Airlines”, ,,Lufthansa”, ,,Turkish airlines”. . . Direct flights are carried out from Tbilisi to Vienna, Zurich, Athens, Paris, Prague, Berlin, Munich, Frankfort on the Main, Istanbul, Moscow and St. Petersburg. 98% of the air transportation is carried out at Tbilisi International Airport.

In 1994, Georgia joined the International Civil Aviation Organization (ICAO). Our country has been a member of the European Civil Aviation Conference (ECAC) since 2005.








## საქართველოს შავი ზღვის პორტები

**ფოთის საზღვაო ნავსადგური**

ფოთის საზღვაო ნავსადგური დაარსებიდან რეგიონალური დანიშნულების სატვირთო-სავაჭრო პორტს წარმოადგენს. მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში რეგიონული ცნების მასშტაბები გაიზარდა და, შესაბამისად, გაფართოვდა ჩვენი ინტერესის საზღვრებიც. ფოთის საზღვაო ნავსადგურის გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს სტრატეგიულ ინტერესს ევრაზიის კონტინენტის, კერძოდ, ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის ტვირთბრუნვის მიმართ.

ფოთის პორტის ნაწილი უკავშირდება ილიჩევსკის (უკრაინა), ვარნის (ბულგარეთი) და კავკასიის (რუსეთი) პორტებს პირდაპირი საბორნე ხაზით და ნოვოროსიისკის (რუსეთი), ბურგასისა (ბულგარეთი) და რიზეს (თურქეთი) პორტებს პირდაპირი საავტომობილო საბორნე გადასასვლელებით.

დღესდღეობით, ცენტრალური აზიიდან ევროპისაკენ და პირიქით, ტვირთები გადაადგილდება ძირითადად სამი მიმართულებით: ჩრდილოეთის მარშრუტის, სამხრეთის მარშრუტისა და ე.წ. „აბრეშუმის გზის“ გავლით, რომელიც საქართველოს ტერიტორიას მოიცავს. ჩვენი ქვეყნის უშუალო ინტერესს სწორედ „აბრეშუმის გზის“ მარშრუტის გაძლიერება წარმოადგენს. აღნიშნულის მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამ სატრანსპორტო კორიდორის მაქსიმალური ჰარმონიზაცია და უნიფიკაცია, რათა მინიმუმამდე შემცირდეს გადაზიდვისათვის საჭირო დრო, რის შედეგადაც ტვირთგადამზიდავებისთვის მნიშვნელოვნად გაიზრდება ამ მარშრუტის მიმზიდველობა.



## THE BLACK SEA PORTS OF GEORGIA

**Poti Sea Port**

The Sea Port of Poti has been a regional freight and trade harbor from the day of its foundation. The definitionof "regional" has acquired a broader meaning during the process of globalization, and the frames of our interests have respectively widened. The geographic location of the Poti sea harbor significantly determines the strategic interest of Georgia in relation to the turnover of goods of the Eurasian continent, in particular in respect of Europe and Central Asia.

A part of the Sea Port of Poti is connected with the Ilichevsk (the Ukraine), Varna (Bulgaria) and Caucasus (Russia) ports by means of a direct ferry line, and with the Novosibirsk (Russia), Burgas (Bulgaria) and Rize (Turkey) ports by direct automobile ferries.

Today, cargo is transported in three directions from Central Asia to Europe and vice versa: via the northern route, the southern route, and the so-called ,,Great Silk Road", which goes through the territory of Georgia. It is the reinforcement of the route of the ,,Great Silk Road" that is the direct interest of our country. With that end in view, one of the most important goals is the highest possible harmonization and unification of the abovementioned traffic corridor in order to minimize the time necessary for transportation, as a result of which this route will become significantly attractive for cargo carriers.





## "ვისოლ ბუნკირება" – ხომალდების საწვავით გამართვის სერვისის პირველი ლეგიტიმური მომწოდებელი საქართველოში

"ოქროს საწმისს" ეძებთ? "ვისოლ ბუნკირება" გამართავს თქვენს გემს მედეას მიწაზე მოსახვედრად. არგონავტები საქართველოში (მედეას სამშობლოში) ჩამოვიდნენ დაახლოებით ძვ.წ.აღ. 300 წელს და მას შემდეგ ქვეყანა, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, იზიდავს მნახველებსა და ინვესტორებს მსოფლიოს ყველა მხრიდან. საქართველოში თვლიან, რომ სტუმარი ღვთისაა და ქართველები განთქმულნი არიან თავიანთი სტუმართმოყვარეობით.

უკანასკნელ წლებში შეუძლებელი იყო საბუნკერე მომსახურებით სარგებლობა საქართველოს პორტებში. 2008 წლის მარტის დასაწყისიდან პირველად საქართველოში "ვისოლ ბუნკირება" ლეგალურად სთავაზობს ბათუმის პორტში შემავალ გემებს საზღვაო საწვავით გემის გამართვის სერვისს.

უზრუნველყოფილია რა ბათუმის პირველი კლასის ნავთობტერმინალით და ბარჟით, რომლის ტევადობა შეადგენს 1,620 კუბ. მეტრს, "ვისოლ ბუნკირებას" გააჩნია საშუალება გაუწიოს კლიენტს სათანადო მომსახურება მაღალი ხარისხის საზღვაო საწვავის მიწოდებით. „გემთან დაკავშირებული ოპერაციების უშუალო გამოცდილებამ ზუსტად გვიჩვენა ხარისხიანი საწვავის დროულად მიწოდების მნიშვნელობა." – ამბობს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი სოსო ფხაკაძე, ვისოლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

"ვისოლ ბუნკირება" ამჟამად სთავაზობს მაღალი ხარისხის MGO-ს კონკურენტუნარიან ფასებში. კომპანია MGO-ს მოიპოვებს აზერბაიჯანისა და თურქმენეთის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან. უახლოეს მომავალში "ვისოლ ბუნკირება" დაიწყებს გოგირდის მაღალი და დაბალი შემცველობის თხევადი მაზუთის მიწოდებას. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტებისგან იქნება ამგვარი მოთხოვნა, "ვისოლ ბუნკირება" გეგმავს მისი საქმიანობის საქართველოს სხვა პორტებშიც გაფართოვებას.

"ვისოლ ბუნკირების" მიერ შეთავაზებული საწვავი აკმაყოფილებს MARPOL-ის ნორმების მოთხოვნებს. საზღვაო საწვავი რეგულარულად მოწმდება SGS-ის ლაბორატორიებში.

„ეკოლოგიური საკითხები ჩვენთვის ყველაზე პრიორიტეტულია. ჩვენ ვაკეთებთ იმაზე მეტს, ვიდრე მხოლოდ ეროვნული და საერთაშორისო ნორმების დაცვაა. ბარჟასთან დაკავშირებით გარემოს დაცვითი ნორმები შეესაბამება ევროკავშირის გარემოს უსაფრთხოების ნორმებს და საერთაშორისო სტანდარტებს საწვავის გადმოღვრის რისკის გარეშე. ჩვენი კლიენტები ყოველთვის უზრუნველყოფილნი არიან პროდუქტის მაღალი ხარისხით და მომსახურებით". – ამბობს ნინო გედევანიშვილი, ვისოლის საბუნკერე ოპერაციების ხელმძღვანელი.

"ვისოლ ბუნკირების" კვალიფიცირებულ პერსონალს აქვს საერთაშორისო გემებზე მუშაობის 25 წლიანი გამოცდილება ნავთობმრეწველობის, გემების საბუნკერე საქმიანობის, სააგენტო მომსახურების და სხვა მიმართულებით. კომპანიის მენეჯმენტი და პერსონალი ორიენტირებული და მოტივირებულია დაიმკვიდროს საიმედო მომწოდებელის ადგილი საბუნკერე ბიზნესში.



# NEW WAY OF BUNKERING

## WISSOL BUNKERING - FIRST LEGITIMATE BUNKER SUPPLIER IN GEORGIA

Searching for the "Golden Fleece"? Wissol Bunkering will sail your ship to the Land of Medea. The Argonauts came to Georgia (the home of Media) in around 300 BC and since then the country at a crossroad of Europe and Asia attracts visitors and investors from around the world. In this country guests are considered to be a Gift from God and Georgians are distinguished by the level of their hospitality.

For all last years it was impossible to enjoy bunkering services at Georgian ports. Starting from March 2008 Wissol launched WISSOL BUNKERING, and for the first time in many years at Black Sea Georgian port of Batumi Wissol offers bunker fuels for vessels entering the port.

Supported by a first-class Batumi oil terminal and with company owned bunker barge with a capacity of 1,620 CBM, Wissol Bunkering has a strong commitment to deliver high quality customer service by supplying high quality marine fuels. "First-hand experience of ship operations has made us acutely aware of the importance of supplying quality fuels on time. " says Dr. Samson Pkhakadze, Chairman of Wissol Board of Directors.

As newly launched services, Wissol Bunkering currently offers high quality MGO at very competitive rates. The company is sourcing MGO from the refineries in Azerbaijan and Turkmenistan. Wissol Bunkering will start to deliver low and high sulphur FO very soon. If demanded so by the customers, Wissol Bunkering can expand its business to other Georgian ports as well.

Types of fuel offered by Wissol Bunkering satisfy the requirements of MARPOL Regulation. Quality control is a question of outmost importance for the company. Quality control system is based on the principle of multi-stage control. Quality of marine fuels is regularly tested at most modern third party laboratories. Before the bunker delivery to the vessel surveyor is engaged to test the fuel.

"Environmental issues are an important aspect of out work. We do more than merely complying with national or international regulations. Environmental properties of the barge correspond to European Union safety regulations and international standards with no risk of bunker spill. In choosing Wissol Bunkering our valuable customers will always find outstanding levels of service, quality and efficiency" says Nino Gedevanishvili, Head of Bunkering Operations of Wissol.

Wissol Bunkering enjoys highly qualified professionals at the barge. Team of qualified personnel with 25 years experience of working at international vessels have variety of industry related backgrounds in the oil industry, ship brokerage, agent services etc. The management and the staff are fully committed and motivated to bring Wissol Bunkering to the highest possible standards and emerge as a reliable supplier in the bunker trading industry.




www.wissolbunkering.ge





**ბათუმის საზღვაო ნავსადგური**

ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის ისტორია სათავეს ჯერ კიდევ რომის იმპერიიდან იღებს, როცა ადრიან III-ის მმართველობის პერიოდში ბათუმის ნავსადგური რომაელების სავაჭრო ქსელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად იქცა.

ბათუმის ნავსადგური დღესაც გამოირჩევა თავისი სტრატეგიული და ბუნებრივი უპირატესობებით, კერძოდ:

- ნავსადგური მდებარეობს ბუნებრივ ღრმაწყლიან უბეში, რაც დიდტონაჟიანი გემების მიღების საშუალებას იძლევა;
- კარგად არის დაცული სანაპიროდან;
- ნავსადგურში შემოსასვლელად არ არის საჭირო არხის გავლა, რაც გემთფლობელს ათავისუფლებს არხის მოსაკრებლის გადასახადისგან.

ბათუმის ნავსადგური სრულად აკმაყოფილებს კლიენტების მოთხოვნებს სხვადასხვა ტვირთებთან, გემებთან და მგზავრებთან მიმართებაში. ნავსადგურს გააჩნია 5 ტერმინალი - ნავთობის, მშრალი ტვირთების, საკონტეინერო, სარკინიგზე-საბორნე გადასასვლელი და სამგზავრო ტერმინალები, რომლებიც აღჭურვილია სათანადო ამწე-მოწყობილობებით, რაც ხელს უწყობს ტვირთების დროულ და ხარისხიან გადამუშავებას.

**Batumi Sea Port**

The history of the Batumi Sea Port dates back to the Roman Empire, when during the rule of Hadrian III, the Batumi harbor became one of the most important centers of the Roman trade network.

Today, the Batumi port is still notable for its strategic and natural advantages, in particular:

- The port is located in a natural deep-water gulf, which enables it to harbor high tonnage ships.
- It is well protected from the shore;
- There is no necessity to go through a canal in order to enter the port, which exempts the ship-owners from additional taxes.

The Batumi Sea Port fully satisfies a client demand in respect of various cargo, ships and passengers. The port has five terminals: oil, dry cargo, container, train ferry passage and passenger terminals equipped with proper lifting devices; all of the abovementioned  facilitates timely and quality cargo operations.



## შიდასაქალაქო ტრანსპრტი - კონკიდან მეტრომდე

საინტერესო დინამიკა აქვს შიდასატრანსპორტო ქსელს, ყოველწლიურად იზრდება შიდასატრანსპორტო პარკების რაოდენობა;

სამგზავრო ავტობუსები ძირითადად სახელმწიფოს მზრუნველობის საგანია და მათი რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, დედაქალაქში მთლიანად მოხსნილია მგზავრთა გადაადგილების პრობლემა.

ბოლო პერიოდში სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქალაქთაშორისო და რაიონული, დაბა-სოფლების მოსახლეობის სამგზავრო საშუალებებით უზრუნველყოფას.

### ტაქსოპარკები

გამარტივებული სალიცენზიო პროდუქტის წყალობით, ქვეყანაში მრავლადაა სამარშრუტო მიკრო ავტობუსები და ფუნქციონირებს რამდენიმე სოლიდური კერძო მფლობელობის ტაქსების პარკი.

დედაქალაქის სტუმრებისა და ეგზოტიკის მოყვარულთათვის ძველი თბილისური სატრანსპორტო საშუალება - კონკა ჩვეულებრივი გადაადგილების საშუალებაა.


"Konka" - st XIX - old urban transportation

### დედაქალაქის მიწისქვეშა ტრანსპორტი

**თბილისის მეტრო**

თბილისის მეტროპოლიტენის ისტორია გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. ეს იყო ყველაზე ამბიციური პროექტი. პატარა სახელმწიფოს დედაქალაქში მეტროს არსებობა ზედმეტ ფუფუნებად ითვლებოდა, მაგრამ საბჭოთა ეკონომიკას სჭირდებოდა თავისი ეპოქის გამოწვევები... საქართველომ „დასტყუა" კომუნისტურ ეკონომიკას ეს ძვირადღირებული სეგმენტი...

მშენებლობა ეტაპობრივად მიმდინარეობდა და ქალაქს დღეს საკმაოდ მოხერხებული, ლამაზი და კომფორტული მეტროს სადგურები და მაღალი დონის სერვისი აქვს.

**ქრონოლოგია:**

**1966 წლის 11 იანვარს** ექსპლუატაციაში იქნა გაშვებული პირველი რიგის უბანი საერთო სიგრძით 6,3 კმ და ექვსი სადგურით: „დიდუბე", „ელექტროდეპო", „ოქტომბერი" (შემდგომ „ნაძალადევი"), „ვაგზლის მოედანი", „მარჯანიშვილი" და „რუსთაველი".

**1967 წლის მარტიდან** ორგანიზებულ იქნა ორლიანდაგიანი მოძრაობა დიდუბე-ელექტროდეპოს მონაკვეთზე, მატარებელთა მობრუნებით სადგურ „დიდუბეში". ამავე წლის ნოემბერში სადგურ „300 არაგველამდე" ხაზის 4 კმ-ით გაგრძელების შემდეგ შესაძლებელი გახდა შემადგენლობის მობრუნება ხაზის მეორე ბოლოში. „ნაძალადევის" გადასარბენი გვირაბის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მთელ ტრასაზე ორლიანდაგიანი მოძრაობა გაიხსნა.

**1971 წლის მაისში** 2,5-კილომეტრიანი უბნის ექსპლუატაციაში გაშვებით სადგურ „სამგორამდე" დამთავრდა მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობა 11 სადგურითა და 12,3-კილომეტრიანი ტრასით.

**1979 წლის სექტემბერში** ექსპლუატაციაში შევიდა მეტროპოლიტენის მეორე ხაზი 5,8 კილომეტრის სიგრძით, რომელმაც სადგურის მოედანი საბურთალოს რაიონს დააკავშირა.

**1985 წლის ნოემბერში** ერთდროულად გაუშვეს ექსპლუატაციაში ორი უბანი: ერთი - 3,4-კილომეტრიანი „დიდუბის" სადგურიდან „გურამიშვილამდე" და მეორე - 2,0-კილომეტრიანი სადგურ „სამგორიდან" სადგურ „ვარკეთილამდე".

**1989 წელს** ექსპლუატაციაში შევიდა სადგურები - „სარაჯიშვილი" და „ახმეტელის თეატრი".

**2002 წელს** მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი უბანი „დელისი - ვაჟა ფშაველა", 1,2 კილომეტრის სიგრძით, ცალმხრივი მოძრაობით.








### LOCAL TRANSIT SYSTEM: from KONKA to Subway

The local transit system network has an interesting dynamics. The number of local transit system parks is growing annually.

Public transportation buses are primarely the state's concern. Their number grows every year. The problem of public transportation has been solved in full in the capital.

Lately, the state has been paying special attention to the provision of the population with the means of intercity, regional and countryside transportation.

### Taxi companies

Owing to a simplified licensing, there is a great number of regular minibuses and several private reputable taxi companies functioning in the country.

For the visitors of the capital and the lovers of exotics, the old Tbilisi vehicle ,,Konka" provides regular routes of transportation.




### The underground transportation of the capital

**Tbilisi underground**

The history of Tbilisi underground has its origin in the 60s of the last century… This was the most ambitious project. The existence of an underground in the capital of a small state was considered to be excess luxury, but the Soviet economy had to stand the challenges of its epoch… Georgia has tricked the communist economy into this expensive project…

The construction was carried out in stages, and today the city has quite convenient, beautiful and comfortable underground stations and a high level of service.

**Chronology:**

**On January 11, 1966** a top-priority section 6,3 km in length with six stations: ,,Didube", ,,Electrodepo", ,,Octomberi"(afterwards called ,,Nadzaladevi"), ,,Vagzal Square", ,,Marjanishvili" and ,,Rustaveli" was put in operation.

**In March, 1967** a double-track was built on the ,,Didube"-,,Elctrodepo" sector, with the turn at the ,,Didube" station. In November of the same year, after the lengthening of the line by 4 km to the ,,300 Aragvians" station, it became possible to turn the trains at the other end of the line. After the completion of the passway tunnel ,,Nadzaladevi" there was created an opportunity of opening a two-track movement along the whole line.

**In May, 1971** the start-up of a 2,5 km sector to the ,,Samgori" station marked the completion of the construction of the 12,3 kilometers-long subway with 11 stations.

**In September, 1979** the second subway line, 5,8 km in length, was put in operation, connecting ,,Vagzal Square" with the Saburtalo district.

**In November, 1985** two sectors: a 3,4 kilometers-long line from the ,,Didube" station to the ,,Guramishvili" station ,and a 2,0 kilometers-long line from ,,Samgori" to ,,Varketili" station were simultaneously put in operation.

**In 1989,** the stations: ,,Sarajishvili" and ,,Akhmeteli theatre" were put in operation.

**In 2002,** a 1,2 kilometers-long single-track section of the ,,Delisi-Vazha-Pshavela" was put in operation.



# თბილისის მეტრო
# METRO TBILISI LTD

1966 წლის 11 იანვარს საქართველო გახდა მსოფლიოში მე-18 ქვეყანა, სადაც აშენდა მეტრო - ეს ყველაზე სწრაფი და უსაფრთხო შიდა-საქალაქო ტრანსპორტის სახეობა. ექსპლუატაციაში იქნა გაშვებული პირველი რიგის პირველი უბანი საერთო სიგრძით 6,3 კმ და 6 სადგურით: “დიდუბე”, “ელექ-ტროდეპო”, “ოქტომბერი” (ამჟამინდელი “ნაძალადევი”), “ვაგზლის მოედანი”, “მარჯანიშვილი “ და “რუსთაველი”. დღეს კი მეტროს სადგურების რაოდენობა 22-ს შეადგენს.

მეტრო - ქალაქისათვის ეკოლოგიურად სუფთა, საიმედო და სწრაფი ტრანსპორტი, სამოქალაქო თავდაცვის ობიექტიცაა და უნიკალური მიწისქვეშა საინჟინრო ნაგებობაც. იგი თბილისისათვის ერთგვარ მთავარ არტერიას წარ-მოადგენს, არა მხოლოდ სატრანსპორტო თვალსაზრისით, არამედ მიწისქვეშა კომუნიკაციით, ქალაქის ერთი უბნის მეორესათან დაკავშირების კუთხითაც. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი მშენებლობის გა-გრძელებას. სწორედ ამიტომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება და დღეისათვის დაგეგმილია მშენებლობის განახლება “გოცირიძე-ვაჟა ფშაველას” გადასარბ-ენის მეორე გვირაბისა და სადგურ “უნივერსიტეტის” ექსპლუატაციაში გასაშვებად.

On January 11, 1966, Georgia became the 18th country in the world where the fastest and safest type of intracity transportation: subway was built. The first district of the first line was put into operation with total length of 6,3 km and 6 stations: “Didube”, Elektrodepo”, “October” (present “Nadzaladevi”), “Vagzlis Moedani”, “Marjanishvili” and “Ru-staveli”. Today there are 22 metro stations in Tbilisi.

Metro is an ecologically clean, reliable and quick transportation for a city; it also serves as an object of civil defence and it is a unique underground engineering construction. For Tbilisi it is some kind of main artery, not only as a means of transportation, but as a way of underground communication for connecting one district to another. Therefore, it is highly important to continue its building. Thus, the decision was made to renew the construction of the second tunnel of “Gotsiridze-Vazha-Pshavela” span and putting into operation of the metro station “Universiteti”.



თბილისის მეტრო
METRO TBILISI LTD

# პრიორიტეტული მიმართულებები

## მატარებლების მოდერნიზაცია

2005 წლის ბოლოს დაიწყო თბილისის მეტროს მოძრავი შემადგენლობის პარკის მოდერნიზაცია, რომელიც ითვალისწინებს არსებული ვაგონების თანამედროვე სისტემებით აღჭურვასა და მგზავრების უსაფრთხოებისა და კომფორტის გაზრდას. 2005-2007 წლებში აღნიშნული პროექტის დასაფინანსებლად ქ. თბილისის მერიის საქალაქო ბიუჯეტიდან 23,5 მლნ ლარი გამოიყო. 2007 წლის სექტემბერში დასრულდა მატარებლების მოდერნიზაციის I ფაზა. დღეისათვის მოდერნიზებული ვაგონების რაოდენობა 52-ს შეადგენს.

თბილისის მეტროს მოძრავი შემადგენლობის მთლიანი პარკის მოდერნიზაცია დასრულდება 2010 წლის ბოლოსთვის

## სადგურების რეკონსტრუქცია

თბილისის მეტროს სადგურების რეკონსტრუქციის პროექტი 2006 წლის თებერვალში დაიწყო და მის ფარგლებში მეტროს 7 განახლებული სადგური შეემატა: ისანი, ავლაბარი, წერეთლის გამზირი, თავისუფლების მოედანი, ახმეტელის თეატრი, ვარკეთილი და ნაძალადევი.

რეკონსტრუქციის შედეგად ყველა სადგურში შეიცვალა სადგურის ზედა და ქვედა ვესტიბიულის, დახრილი გვირაბისა და გამანაწილებელი დარბაზის დიზაინი, გამოიცვალა შიდა კომუნიკაციები, მოძველებული განათების სისტემა შეიცვალა თანამედროვე სანათებით, დამონტაჟდა სარეკლამო ბანერები და მონიტორები.












# პროექტები

## IT-ტექნოლოგიები

2007 წლის დასაწყისში დასრულდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანას მეტროს გვირაბებში შესაბამისი აპარატურული ნაწილით. აღნიშნული პროექტის მეშვეობით შესაძლებელი გახდა აღრიცხვიანობის ერთიანი სისტემის შექმნა და ონლაინ რეჟიმში მგზავრთა გადაზიდვის სტატისტიკური მაჩვენებლების შესწავლა.

- 2007 წლის III კვარტალში "თბილისის მეტრომ" მგზავრებს გადახდის მოხერხებული ფორმა – პლასტიკური (უკონტაქტო) ბარათები შესთავაზა. ამგვარი ტიპის ბარათები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული. სამომავლოდ იგი შეიძლება უნივერსალური გადახდის საშუალება გახდეს მთელ სატრანსპორტო სისტემაში. აღნიშნული სისტემის ექსპლუატაციაში გაშვების შედეგად, 2007 წლის 1 ივლისიდან "თბილისის მეტროში" შესაძლებელი გახდა დიფერენცირებული ტარიფის შემოღება, რომლის საშუალებითაც მგზავრებს შესაძლებლობა მიეცათ, თავად განსაზღვრონ მგზავრობის საფასური.
- დასრულდა მეტროს კავშირგაბმულობის მოძველებული ანალოგური სისტემის ციფრულ სისტემაზე გადაყვანა. გაიზარდა მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხი, შემცირდა მომსახურების დანახარჯები და ტექნოლოგიური განვითარების ხარჯზე მოხდა ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენება.

# დამატებითი მომსახურება

- 2006 წლის სექტემბერში დასრულდა მეტროს სადგურებში "საქართველოს ბანკის" სერვის-ცენტრების განთავსება. პირველად მეტროს არსებობის ისტორიაში მგზავრებს შესაძლებლობა მიეცათ, სადგურიდან გაუსვლელად მიიღონ სრული საბანკო მომსახურება – კომუნალური გადასახადების გადახდა, ანგარიშის გახსნა, ფულადი გადარიცხვები, ბანკომატიდან თანხის გამოტანა.
- 2006 წლის აგვისტოში "თბილისის მეტროს" მონაწილეობით დაფუძნდა ამხანაგობა "M რეკლამა", რომლის მიზანია მეტროში სარეკლამო საქმიანობის განხორციელება. შექმნიდან მოკლე დროის განმავლობაში ამხანაგობამ მეტროს სადგურებში განათავსა სხვადასხვა კომპანიების სარეკლამო პლაკატები, დაამონტაჟა თანამედროვე მონიტორები, რომელთა საშუალებით მგზავრებს სადგურებშივე შეუძლიათ თვალყური ადევნონ სარეკლამო რგოლებს.
- 2007 წლის 1 ივლისიდან თბილისის მეტროში კიდევ ერთი სიახლე დაინერგა – სააფთიაქო მომსახურება სადგურიდან გაუსვლელად. ფარმაცევტული კომპანიები PSP, "ავერსი", "სახალხო აფთიაქი" და "M ფარმა" სრულფასოვან სააფთიაქო მომსახურებას სთავაზობენ მეტროს მგზავრებს.
- 2008 წლის დასაწყისში მეტროს სადგურებში განთავსდა სწრაფი გადახდის ტერმინალები, სადაც მგზავრებს საშუალება ეძლევათ სადგურიდან გაუსვლელად გადაიხადონ კომუნალური გადასახადები და GSM-ოპერატორების მომსახურების ღირებულება.

აღნიშნული პროექტის განხორციელებით, თბილისის მეტრომ გაიმყარა ლიდერის პოზიცია სატრანსპორტო სფეროში, კიდევ უფრო მიმზიდველი, მოსახერხებელი და კომფორტული გახდა თბილისის მოსახლეობისათვის და დაამტკიცა, რომ მეტრო არის არამარტო ყველაზე სწრაფი გადაადგილების საშუალება დედაქალაქში, არამედ მგზავრთა მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული კომპანია.

www.metro.ge










GEORGIA

# ქართული ენერგომატარებლები
# GEORGIAN ENERGY CARRIERS



## ელექტროენერგია

**ისტორია**

საქართველოში ელექტროენერგეტიკის ისტორია XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება. თბილისში ელექტროგანათების განხორციელების საკითხი პირველად ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ დააყენა ქალაქის სათათბიროში, მაგრამ მაშინ ვერ მოხერხდა ქალაქის ქუჩების გაზის განათების ელექტროენერგიით განათების შეცვლის საკითხის დადებითად გადაჭრა. ელექტროენერგიის გამოყენების საკითხს სათანადო ყურადღებას აქცევდა დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. მისი ინიციატივით, პირველი მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური ქ. თბილისში 1887 წლის ბოლოს აამუშავეს და 1895 წლამდე ის საქართველოში ერთადერთი ელექტროდანადგარი იყო.

XIX საუკუნის ბოლოსათვის შვიდი თუ რვა სახაზინო საზოგადოებრივი და კერძო წვრილი ელექტროსადგური მოქმედებდა, რომელთა სიმძლავრე 2-3 ათეულ კილოვატამდე აღწევდა. 1902 წლიდან ქალაქში უკვე ჩნდება ელექტროენერგიის გაყიდვის მიზნით აგებული კერძო ელექტროსადგურები. 1912 წლისთვის თბილისში 22 ასეთი ელექტროსადგური იყო.

**ზაჰესი**

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო ჰიდროელექტროსადგურების ფართო მშენებლობა. 1927 წელს აშენდა ავჭალის ჰიდროელექტროსადგური „ზაჰესი“ (36.8 ათასი კვტ), 1928 წელს - აბჰესი, 1934 წელს - რიონჰესი. 1941 წლისათვის საქართველოს ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე 180 მგვტ. შეადგენდა. 1945-1960 წლებში ექსპლუატაციაში შევიდა 11 ჰიდროელექტროსადგური.

**ენგურჰესი**

საქართველოში ელექტროენერგიის დიდმა დეფიციტმა, ელექტროენერგიაზე მოთხოვნილების ზრდამ ქართველ მეცნიერებსა და ინჟინრებს საშუალება მისცა, უცხოელ სპეციალისტებთან ერთად განეხორციელებინათ ისეთი უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტება და მშენებლობა, როგორიცაა ენგურჰესი, რომელიც ექსპლუატაციაში 1978 წელს შევიდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ენერგეტიკის რეაბილიტაციის მიზნით, საქართველოში დაიწყო ენერგეტიკული სექტორის რეორგანიზაცია, რასაც მოჰყვა ელექტროენერგეტიკული სისტემის ცალკეულ დამოუკიდებელ სტრუქტურებად ჩამოყალიბება.



**დღევანდელობა და ხვალინდელი დღე**

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ქვეყნის ენერგეტიკული კომპლექსი ეფექტურად უნდა ჩაერთოს რეგიონში ენერგომატარებლების იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის ოპერაციებში. ამისათვის უნდა განხორციელდეს მეზობელი სახელმწიფოების ენერგეტიკულ სისტემებთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ახალი ელექტროგადამცემი ხაზების, ქვესადგურებისა და ბუნებრივი გაზის მილსადენების მშენებლობა.

საქართველო ენერგეტიკული რესურსების იმპორტიორი ქვეყნიდან თანდათან უნდა გადაიქცეს მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების მქონე, მდგრადი, კონკურენტუნარიანი და მოქნილი დამოუკიდებელი ენერგეტიკული შესაძლებლობების სახელმწიფოდ. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული და ენერგოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება.

**ჰიდრორესურსებით მდიდარი ქვეყნის პოტენციალი**

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში გრძელვადიანი პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას საკუთარი ჰიდრორესურსებით ელექტროენერგიაზე ქვეყანაში არსებული მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება წარმოადგენს, ჯერ იმპორტის, შემდეგ კი - თბოგენერაციის ჩანაცვლებით. ამ ამოცანის გადაწყვეტამდე თბოელექტროსადგურების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციამ უნდა შექმნას ბაზისური სიმძლავრის მყარი და საიმედო საფუძველი.



ქალაქის განათების ისტორია იწყება გაცილებით ადრე...

ჯერ ქალაქს ნავთის სანათებით ანათებდნენ, საუკუნენახევრის წინ კი 1866  წელს გამოჩნდა პირველი “ელვის” ტიპის გაზის ნათურები...

დენკელ კელინგი - XIX საუკუნის რუსი მწერალი და ჟურნალისტი წერდა - “თბილისის ხიდები, ქუჩები და მოედნები ნათდება 302 ფარნით, რომელსაც აქვს კაშკაშა სინათლე...”

ქალაქის განათებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა, ამის გამო მას  პარიზსაც კი ადარებდნენ...

თბილისში, ლანდშაფტისა და შენობის უნიკალურობის ხაზგასმა სწორედ გარეგანათებით ხდებოდა. ეს ყოველთვის განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა ქვეყნის დედაქალაქს...

ენერგოკრიზისის წლებში ჩამკვდარი ქალაქის გამოცოცხლება ძირითადად 2003 წლიდან იწყება.

ამ დროისთვის საწარმო “თბილქალქგანათება” უკვე დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და მის წილად მოდის მრავალწლიანი გამოცდილება, მაღალი კლასის პროფესიონალები, ქალაქის თითქმის ყველა უბნის განათება და  შენობა-ნაგებობების მხატვრული მინათებები.

“თბილისი სინათლის ქალაქია”- მის განათებაში ლომის წილი სწორედ კომპანია “თბილაქალაქგანათებაზე” მოდის.







**ბრენდი კონკურენტული უპირატესობებით**: ვისოლის მაღალი კლასისა და დიზაინის ავტოგასამართი სადგურები გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის ნავთობპროდუქტებსა და მომსახურებას როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ვისოლს ავტოგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელი აქვს საქართველოში. იგი ამ ეტაპზე 100–ზე მეტ ლიცენზიას ფლობს. ვისოლი იყო პირველი ნავთობკომპანია, რომელმაც საქართველოს ბაზარზე შემოიტანა კორპორატიული ჩიპური ბარათი და ფასდაკლების ბარათი ფიზიკური პირებისათვის. 2007 წლის სექტემბრიდან ვისოლი მომხმარებელს შეკუმშულ ბუნებრივ გაზს სთავაზობს და ერთადერთი ნავთობკომპანიაა, რომელმაც ინტეგრირებული ავტოგასამართი სადგურები დანერგა საქართველოში. 2007 წლიდან ვისოლი აღარ არის მხოლოდ ავტოგასამართი სადგურების ქსელი, იგი როგორც ავიასაწვავის, ისე გაზის და საზღვაო საწვავის სექტორშიც შევიდა და ეარ ვისოლი, ვისოლ გაზი, ვისოლ გაზის სადისტრიბუციო კომპანიები და ვისოლ ბუნკირება მნიშვნელოვან წილს იკავებენ შესაბამის ბაზრებზე.

ISO 9001:2000



www.wissol.ge

**BRAND WITH COMPETITIVE ADVANTAGES**: Wissol owns the largest network of service stations in Georgia bringing enhanced convenience to its customers. Currently the company has over 100 licenses. Innovation and creative thinking is the asset of Wissol. In 2001 the company pioneered Wissol chip-based card for its corporate clients to the Georgian market. From the 1st of October, 2007, first time in Georgia Wissol introduced cumulative discount card - PIRVELI Card that offers special loyalty schemes for individual clients. Compressed Natural Gas (CNG), the fuel of the future, is available at Wissol Gas since September, 2007. Wissol is the only oil company that pioneered the integrated service stations on the Georgian market. Furthermore, the company entered air fuel, marine fuel and gas distribution markets as well and Air Wissol, Wissol Gas, Wissol Gas Distribution Company and Wissol Bunkering already captured corresponding markets.


USAID
TRACO POWER





# სააქციო საზოგადოება

## ერისიმედი

### მრავალდარგოვანი სამშენებლო-სამონტაჟო კომპანია

ელექტრო-სამონტაჟო და განათების სამუშაოების სფეროში ორგანიზაცია შედის ქვეყნის საუკეთესო ათეულში.

**საქმიანობა**

მაღალი და დაბალი ძაბვის ხაზების ელექტრო-სამონტაჟო, კეთილმოწყობისა და გამწვანების, წყალმომარაგების, დეკორატიული, გარე და შიდა განათების სამუშაოები.

**კომპანიის დამკვეთები**

**სახელმწიფო სამსახურები**

**ს.ს. თელასი**

**ს.ს. ენერჯი ინვესტი**

**შპს თბილისის წყალი**

**კომპანიამ განახორციელა**

- გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია
- კულტურისა და დასვენების პარკების რეაბილიტაცია
- საბავშვო გასართობ-დასასვენებელი პარკების მშენებლობა
- საქართველოს დაცული ტერიტორიების სარეაბილიტაციო სამუშაოები
- თბილისის ძირითადი ქუჩების განათება
- მაღალი ძაბვის სამშენებლო სამუშაოები საავტომობილო ტრასებსა და გზატკეცილებზე

ს.ს. “ერისიმედი” განათების სამუშაოების სრულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებელს: თავდაპირველი საპროექტო სამუშაოები, უმაღლესი ხარისხის სანათი მოწყობილობის მონტაჟი და მათი მოვლა-ექსპლუატაცია.

**კომპანიის პარტნიორები**

| | |
|---|---|
| Osram | Art-Metal |
| Aga-Light | Troll |
| Plexiform | Световые Технологии |

**ერისიმედის საიმედო პარტნიორი**

**PHILIPS LIGHTING**



## ELECTRICITY

**History**

The history of the electric power industry of Georgia dates back to the 80s of the XIX century. The question of the provision of electric illumination for Tbilisi was first put forward by the famous public figure Niko Nikoladze at the advisory board of the city. However, the question of replacing gas illumination on the streets of the city by electric illumination was not solved. The matter of the utilization of electric power was of great concern for the great writer and public figure Ilia Chavchavadze. It was by his initiative that the first low power electric station in Tbilisi was put in operation at the end of 1887, and it was the only power equipment till 1895.

By the end of the XIX century there had been functioning seven or eight public and private electric stations, the power of which reached 20-30 kw. By 1912 there had been 22 such power stations in Tbilisi.

**ZAHES**

In the 20s of the XX century, a large construction of hydroelectric power plants began. In 1927, the Avchala hydroelectric power plant ,,Zahesi" (36.8 thousand kw) was constructed, and "Abhesi" and "Rionhesi" were built in 1928  and 1934 respectively. By  1941, the total power of the electric stations constituted 180 MW. In 1945-1960, 11 hydroelectric power plants were put in operation.

**Enguri hydroelectric power plant**

A large deficit in the electric power in Georgia and a growing demand for electricity provided an opportunity for Georgian scientists to carry out in cooperation with foreign specialists such unique design and construction of the hydroelectric power plant as Enguri Hydroelectric Station, which was put in operation in 1978.

After the achievement of independence, reorganization of the energy sector began with the latter's revivng as its goal; which was followed by the formation of independent structures of electric power system.

**Present day and tomorrow**

Due to the geographic location of Georgia, it is necessary effectively to involve the energy complex of the country in the operations of import and export and transit operations of the energy resources in the region. This goal requires the rehabilitation of the infrastructure connecting with the energy systems of the neighboring countries and the construction of transmission equipment, substations and natural gas pipes.

As a country importing energy resources, Georgia must gradually turn into a state of high technical and economical characteristics, possessing stable, competitive and flexible independent energy opportunities. The strategic interest of the energy sector of Georgia is the development of the energy and power transport infrastructure of the East and the West, the North and the South, connecting Europe and Asia.

**Potential of the country rich in water resources**

The main goal of the long-term policy in the electric power sector of the country is a thorough satisfaction of the demand for electric power, existing in the country, from its own water resources first by replacing import, and then by the substitution of heat generation. Before the solution of the given question, the infrastructure rehabilitation must create a stable and reliable ground for base power.








PHILIPS

იმგზავრეთ მშვიდად!
DRIVE WITH CONFIDENCE!




www.wissol.ge

ISO 9001:2000

## ნავთობი

**ისტორია**

პირველი ცნობები საქართველოში ნავთობის მოპოვების თაობაზე ჯერ კიდევ ბერძნულ მითოლოგიაში გვხვდება. ძველ დროში ნავთობის კუსტარული წარმოება მცირე რაოდენობით მხოლოდ იმ ადგილებში ხდებოდა, სადაც ადგილი ჰქონდა ნავთობის ზედაპირულ გამოსვლებს (საკუპრეები).

XIX საუკუნის II ნახევარში, მცირე სიღრმის ჭაბურღილების მეშვეობით, ნავთობის სამრეწველო მოპოვება დაიწყო გარე კახეთის რამდენიმე უბანზე (მირზაანი, შირაქი, ელდარი) და მისი წლიური მოპოვება 2000 ტონამდე ავიდა. მოპოვების უფრო მეტად გაზრდა შეუძლებელი იყო, რადგან სამუშაოები მიმდინარეობდა ნავთობიანი ტერიტორიების გეოლოგიური შესწავლის გარეშე და გამოყენებული პრიმიტიული ხერხები ვერ უზრუნველყოფდა ნავთობშემცველი უბნების რეალური პოტენციალის სრულ გამოყენებას.

50-60-იან წლებში ნავთობის მოპოვება მიმდინარეობდა 7 მცირე ზომის საბადოზე (მირზაანი, პატარა შირაქი, სუფსა, ნორიო, საცხენისი, ტარიბანა და აღმ. ჭალადიდი) და წლიური მოპოვება 20-55 ათასი ტონის ფარგლებში მერყეობდა.

### ჩვენი მიზანი

მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ხვალინდელი საქართველოს მშენებლობის პროცესში








# NEW ENERGY *Ltd.*

## TODAY WE BUILD THE WAY OTHERS WILL DO IN THE FUTURE

### THE MAIN FIELD OF ACTIVITY:

- Communications
- Gas pipe lines;
- Water pipes;
- Oil pipe lines;
- Drainage network;
- Design, diagnostics, construction of regulation and distribution systems.

- Projects successfully realized in Georgia, as well as beyond its borders;
- Successful and stable development of the company;
- A qualified and vigorous supervisory group;
- Highly qualified specialists;
- Huge practical experience;
- Continuous aspiration for the implementation of new technologies;
- Modern material and technical basis.

## OUR SIGNATURE FEATURE

Projects carried out in a timely, qualified and effective manner

## OUR AMBITION

Readiness to face new challenges

## OUR GOAL

significantly to contribute to the process of building the Georgia of tomorrow






ქალაქის იერსახის
გამოკვეთილი შტრიხი
და სილამაზე

ჩვენ ვქმნით ოაზისებს
დასვენებისა და ესთეტური
სიამოვნებისათვის

და კომპანია

- შადრევნების მოწყობა და მათი შემდგომი მოვლა-პატრონობა
- უახლესი ფრანგული, იტალიური, რუსული, გერმანული და სამამულო ტექნოლოგია
- მრავალწლიანი გამოცდილება
- მშენებლობა
- ობიექტების ელექტროფიკაცია, ქსელის მონტაჟი
- დიზაინი
- მხატვრული განათება
- ლანდშაფტის გამოკვლევა დაპროექტება
- საინჟინრო პერსონალის სწავლება-გადამზადება




AMBASADORI



# ელიტ ელექტრონიქსი
# ELIT ELECTRONICS

## 10 წელი *საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე*
## TEN YEARS ON THE GEORGIAN CONSUMER MARKET

| | | |
|---|---|---|
| Official distributor of BOSCH & SIEMENS in Georgia | 1998 | **BOSCH** & **SIEMENS** ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში |
| branch in Kutaisi | 1999 | ფილიალი ქუთაისში |
| Exclusive distributor of VESTEL household technique | 2000 | **ვესტელის** საყოფაცხოვრებო ტექნიკის ექსკლუზიური დისტრიბუტორი |
| Exclusive distributor of the company GEOCEL | 2000 | კომპანია **ჯეოსელის** დისტრიბუტორი |
| Central office of ELITA XXI in Tbilisi | 2001 | **ელიტა XXI**–ს ცენტრალური ოფისი თბილისში |
| Exclusive importer of VOGEL in Georgia | 2005 | **ვოგელის** ექსკლუზიური იმპორტიორი საქართველოში |
| Official distributor of SAMSUNG in Georgia | 2005 | **სამსუნგის** ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში |
| Official distributor of TEFAL, ROWENTA and MOULINEX, exclusive distributor of GORENJE and FAGOR in Georgia | 2006 | **ტეფალის**, **როვენტასა** და **მულინექსის** ოფიციალური, **გორენიესა** და **ფაგორის** ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში |
| Three ELITELLE shops in Tbilisi, Batumi and Kutaisi | 2007 | **ელიტელის** 3 მაღაზია თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში |


BOSCH

BOSCH

ბოში
ELIT ELECTRONICS










SIEMENS




SAMSUNG
BOSCH
SAMSUNG




ELIT ELECTRO



ELIT ELECTRONICS




BUILD YOUR SUCCESS WITH VELLAGIO

A MEMBER OF WISSOL GROUP

Adress: Mosashvili str. 24
Tel: (995 32) 24 36 36/37 Fax: 227737 E-mail: info@vellagio.ge

დეგაპრინტი
DEGAPRINT

ციფრული ოფსეტური ბეჭდვა

თბილისი. ვირსალაძის 8.
ტელ.: 99 50 07, 99 88 43
ფაქსი: 99 56 81
degaprint@caucasus.net

გამრეკელის 19 (ყოფილი კუტუზოვის)
ტელ.: 38 52 04, 38 52 05
dega@caucasus.net



www.degaprint.ge



სამშენებლო კომპანია

# იბერია

- 15 წლიანი გამოცდილება
- საიმედოობა
- ხარისხი



CONSTRUCTION COMPANY

# IBERIA

- 15 YEARS OF EXPERIENCE
- RELIABILITY
- QUALITY




GMT PLAZA
COURTYARD Marriott


№51 PUBLIC SCHOOL





# INTERPLAST

www.interplast.com.ge

კომპანია „ინტერპლასტი“ სამშენებლო მასალების ყველაზე დიდი და მასშტაბური ქარხანაა მთელს საქართველოში და არა მარტო საქართველოში, მსგავსი ტიპის ქარხანა არ არსებობს მთელს ამიერკავკასიაში.

„ინტერპლასტის“ ქარხნის მშენებლობა დაიწყო 2007 წლის თებერვალში, 2007 წლის სექტემბრიდან კომპანია უკვე აწარმოებს სამშენებლო მასალების ფართო ასორტიმენტს. „ინტერპლასტის“ საწარმოები განთავსებულია 7 ჰექტარ ფართობზე. კომპანია აერთიანებს წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის მილების, გათბობის ყველა სახის პლასტმასის მილების, მილგაყვანილობის ფურნიტურის, ლამინირებული პარკეტის, სენდვიჩ-პანელების, საიზოლაციო მასალა „პენოპლასტის“, მეტალო-კრამიტის სახურავის, კარ-ფანჯრის პროფილების, შეკიდული ჭერის, ღრუბლის და სამშენებლო ბლოკის საამქროებს.

ადგილზე წარმოებული პროდუქციიის მთავარ ღირსებას წარმოადგენს მაღალი ხარისხი და ბაზარზე არსებულ იმპორტირებულ პროდუქციასთან შედარებით დაბალი ფასები. პროდუქციის ტესტირება მიმდინარეობს ქარხანაში არსებულ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიაში.

2007 წლის 30 ოქტომბერს კომპანიას გადაეცა ISO 9001 სერთიფიკატი. კვალიფიციური მუშახელი, უმაღლესი ხარისხის ნედლეული და წარმოების პროცესების მუდმივი კონტროლი ხარისხის მთავარი გარანტია.

კომპანია „ინტერპლასტი“ შეავსებს არა მარტო ქართულ ბაზარს, არამედ უკვე ახორციელებს იმპორტს მეზობელ ქვეყნებში.

ხარისხის, ფასისა და გარანტიის გაერთიანებით „ინტერპლასტის“ მიერ წარმოებული პროდუქცია მარტივად დაიკავებს თავის ადგილს სამშენებლო მასალების ბაზარზე და ამასთან მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.

კომპანიამ დაასაქმა საქართველოს 1000 მოქალაქე, დასაქმებულთა რიცხვი ყოველთვიურად საგრძნობლად მატულობს. ჩვენ ვაკმაყოფილებთ საერთაშორისო სტანდარტებს. კომპანია „ინტერპლასტი“ მთლიანად ქართული ინვესტიციაა, რომელიც აუცილებლად მოხმარდება საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობას.

"INTERPLAST" LTD is the largest factory of building materials not only in Georgia but in the whole of the Caucasus. The company was established in February, 2007. Our buildings are stretched on 7 hectares. Since September, 2007, "INTERPLAST" produces different kinds of building materials: water and sewer pipes, plastic pipes and fittings, laminated floor, metal-tiles, sandwich-panels, foam plastic, foam rubber, PVC panels, metal-plastic doors and windows, gypsum board and building block.

On October 30, 2007, the company "INTERPLAST" received the ISO 9001 certificate. "INTERPLAST" LTD is located in Georgia and is always responsible for the quality of its product. Usage of highest quality raw materials, qualified stuff and constant control of production processes is the guaranty of the high quality of the products.

The company will satisfy not only Georgian market, but also Caucasus Region.

With unification of quality, price and guaranty the products produced by the company "INTERPLAST" can easily take place on the construction materials market, as well as our company will contribute to the progress and strengthening of country's economics. We employ 1000 citizens of Georgia and the number of the employees significantly grows every month. "INTERPLAST" is wholly Georgian investment which will be completely used for the welfare of the citizens of Georgia.












გამომცემლობა
უნივერსალი

ყოველთვის თქვენს სამსახურში

თბილისი, 0128, ი.ჭავჭავაძის გამზ. 19
☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge


GEORGIA

# სოფლის მეურნეობა








# AGRICULTURE







# კომპანია
# მარცვალი

- აგროტექნიკური მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიები
- მაღალტექნოლოგიური გადამუშავება
- ფართო სადისტრიბუციო ქსელი
- მდიდარი საწარმოო გამოცდილება

## MARTSVALI COMPANY

- Modern technologies for agro-technical service
- High level of technological treatment
- Wide distribution network;
- Huge production experience



## დამფუძნებელი კომპანიები

- შპს **ღვარები** - კომპანია სპეციალიზებულია სასოფლო-სამეურნეო პროფილის, მემცენარეობის პროდუქციის წარმოებაზე თანამედროვე აგროტექნიკური ტექნოლოგიების გამოყენებით
- შპს **მამული-96** - სპეციალიზებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალპროდუქციული სათესლე მასალის წარმოების პროფილით, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი აგრო-საინჟინრო სერვისით
- შპს **ბეგი კომპანი** - ფლობს რამდენიმე მსხვილ გადამამუშავებელ ქარხანას, რომელიც გამოიყენებს ადგილობრივ ნედლეულს. ასევე, აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას

## FOUNDING COMPANIES

- **GHVAREBI Ltd** – the company is specialized in the production ofagricultural products using modern agricultura technologies
- **MAMULI-96 Ltd** – the company is specialized in agricultural sphere with the profile of production of high productivity seed materials; equipped with modern technology for agro-engineering service
- **BEGI Company Ltd** – owns several large processing factories using local raw materials. It also manufactures agricultural products















# GEORGIA





# ძველი მიწათმოქმედი ხალხის სამყარო
# WORLD OF ANCIENT FARMERS



ქართველები ძველი მიწათმოქმედი ხალხია, რაც მხატვრულად არის ასახული ხალხურ მითოლოგიაში, ლეგენდებსა თუ ზღაპრებში, რომლის გმირი-ბუმბერაზები მხვნელი მიწისმოქმედნი არიან. ხალხური პოეზია უმღერის ხარს - სახვნელი იარაღის გამწევ ძალას, ქართველები სახვნელ იარაღს ციურ საჩუქრად მიიჩნევენ, მეზობელი ხალხები კი მის გამომგონებლად ქართველებს თვლიან: ოსები - ქართლელებს, სკვითები - კოლხებს; მემინდვრეობასთან დაკავშირებული მძიმე შრომის პროცესებს მეურნე სიმღერებით - „გუთნურითა“ და „ოროველათი“ იადვილებს. არც ისაა შემთხვევითი, რომ კოლხეთის ქალაქის სახელწოდება აია მიწათმოქმედების ღვთაების სახელია, ხოლო „ქართველთა“ სახელწოდება უკავშირდება ბერძნულ სიტყვას „გეორგოს“ - მიწის მუშაკნი.

საქართველო მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების მქონე მთიანი ქვეყანაა. კავკასიის ყელის შემადგენელი ხუთი ბუნებრივი ერთეულიდან საქართველო მოიცავს ოთხს: კავკასიონს, ამიერკავკასიის მთიანეთშორისს, მცირე კავკასიონსა და ამიერკავკასიის ზეგანს. საქართველოში შედის კავკასიონის შუა 500 კმ-იანი სიგრძის მთელი სამხრეთი ფერდობი და ჩრდილოეთ ფერდობის მაღალმთიანი ზოლი; 54% უკავია მთებს, 33% - მთისწინეთს, 13% - ვაკე-დაბლობს. საქართველოს ბუნებრივი სამეურნეო რაიონების ძირითადი ინდიკატორია ვერტიკალური ზონალობა. რელიეფის მიხედვით იგი იყოფა მაღალმთიან, ველობის და სამხრეთ ზეგანის ზოლად. სამეურნეო თვალსაზრისით, მთიანეთში მესაქონლეობას მისდევენ, ველობის ზოლში - მიწათმოქმედებას, ზეგანის ზოლში - შერეულად, მიწათმოქმედება-მესაქონლეობას. მემინდვრეობის რაიონები გვხვდება სხვადასხვა ბუნებრივ-სამეურნეო სარტყელში (სუბტროპიკული კულტურის, მევენახეობის, მებაღეობის, მემინდვრეობისა და მესაქონლეობის სარტყელშიც), რომლებიც მოიცავს სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს, დაწყებულს დაბლობიდან და ზღვის დონიდან 2500 მ. სიმაღლით. ამპლიტუდა მერყეობს 10 მ.-დან 2250 მ-მდე ზღვის დონიდან - ესაა მაღალმთიანი უშგულის დასახლება ზემო სვანეთში.

Georgians are people who have practiced agriculture since ancient times; it is artistically reflected in local folk mythology, legends and fables whose giant heroes are farmers. Folk poetry glorifies the bull as the driving force of arable equipment. The Georgians believe arable tools to be  gifts from heaven, and their neighboring peoples think that these tools were invented by the Georgians: the Ossetians point to the Georgians as the inventors and the Scythians to the Colchis. Songs like “Gutnuri”and “Orovela” lighten the burden of hard labour processes connected with field crop cultivation for a farmer. It is not coincidental that the Colchic city of Aia and the Goddess of agriculture share a common name and the name ,,Georgia” is connected with the Greek word “Georgos”: farmers, earth-workers.

Georgia is a mountainous country with multicolor natural conditions. Out of the five natural units comprising the Caucasus range, four: the Caucasus, Transcaucasia intermountain trough, the Lesser Caucasus and the Transcaucasian Plateau are located on the territory of Georgia. Georgia comprises the whole mid southern slope 500 km in length and the belt of the northern mountanous slope; 45% is occupied by mountains, 33% by foothills, 13% by plains and lowlands. Vertical zoning is the main indicator of the natural economic regions. In accordance with the relief, it is divided into mountainous, field and south plateau belts. because of economical considerations, they practiced livestock breeding in the mountainous zone, agriculture in the field belt, and a combination of agriculture and livestock breeding in the plateau zone. Regions of field crop cultivation are scattered in various natural and economic zones, even in the zones of subtropical cultures, viticulture, gardening and cattle-breeding. These zones, in turn, cover various geographic areas, starting from the lowland up to the highlands 2 500 m above sea level. Their amplitude varies from 10 m to the mountainous Ushguli settlement in Upper Svaneti at 2 250 m above sea level.





## „პური არსობისა“

საქართველო აღიარებულია კულტურული პურეულის სელექციისა და მიწათმოქმედების აღმოცენების ერთ-ერთ კერად. საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია VI-V ათასწლეულის კულტურული მცენარეულის ნაშთი. დღემდე ცნობილი ხორბლის 16 სახეობიდან, საქართველოში წარმოდგენილია 11, აქედან 6 ენდემურია. ქართველებში დასტურდება საუკუნოებრივი დაკვირვების საფუძველზე მიღებული ცოდნა პურეული კულტურების სელექციის, შერეული კულტურების, საგაზაფხულო და საშემოდგომო ხორბლის, მიწის დამუშავებისა და გაპატივების ხერხების შესახებ. დასტურდება სახნავ-სათესი მიწის მოპოვების, მიწის მოვლის საშუალებები: დასვენებით, დაჭაობებით, მორწყვით, მოლაბვით.

საქართველოში სათესად გამოყენებულ ხორბლებს მიეკუთვნება ასლი, მახა, ძველ-კოლხური ასლი, ზანდური, დოლის პური, იფქლი (ჩვენებური პური), დიკა, თავთუხი.

## DAILY BREAD

Georgia is acknowledged as one of the cradles of grain breeding and agriculture.  Remains of cultivated plants of the VI-V millennia B.C. have been found on the territory of Georgia.  Eleven of the sixteen species of grain known in the world are represented in Georgia; six of them are endemic.  Through centuries of experience, the Georgians have accumulated knowledge about grain breeding, mixed cultures, spring and fall types of wheat, and ways to acquire, cultivate and fertilize soil, such as resting, swamping, watering and gelating.

The types of grain cultivated in Georgia include: spelt, “makha”, old Colchic spelt, “zanduri”, “dolis puri”, “ipkli”, “dika” and “tavtukhi”.











## კოლხური კულტურა

მემინდვრეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველომ, რომელიც ისტორიული კოლხეთის ყოფიდან მიღებულ მემკვიდრეობად უნდა მივიჩნიოთ. დასავლეთ საქართველოში მოჰყავდათ ხორბალი, იფქლი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, ღომი, ბრინჯი, სიმინდი, მუხუდო, ცერცვი, ლობიო, კანაფი, სელი. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი პირობები ოდითგანვე საუკეთესო პირობებს ქმნიდა სამიწათმოქმედო კულტურის ჩასახვისა და აყვავებისათვის. აქ წარმოდგენილია მარცვლეული კულტურების ისეთი სახეობანი, რომლებიც გარდამავალ რგოლს ქმნიან ველურ და კულტურულ ხორბლეულებს შორის და ენდემური სახით მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება: ზანდური, კოლხური ასლი და მახა და უძველესი მარტივი იარაღი - სამკალი შნაკვი/შანკვი, რომლითაც ხდებოდა აღნიშნული პურეულის მოკრეფა..



## COLCHIC CULTURE

West Georgia has played a huge role in the development of field crop cultivation, which is a heritage from the historic Colchis.  They cultivated wheat, “ipkli”, barley, rye, millet, foxtail, rice, corn, peas, horse beans, haricot, hemp and flax.  It is known from special literature that natural conditions in West provided the best framework for breeding agrarian cultures.  Species of grain that represent a transitional link between wild and domestic wheat: “zanduri”, old Colchic spelt and “makha” are found only in Georgia in their endemic state.  These cultures were cropped with a simple ancient tool “shnakvi” or “shankvi”.



## შარდენის „აღმოჩენა“

დასავლეთ საქართველოს მემინდვრეობის სისტემაში ყველაზე მეტად იყო გავრცელებული ღომის კულტურა, რომელიც გარკვეულწილად პურის შემცვლელად ითვლებოდა. ჟან შარდენის ცნობით, შავი ზღვის ნაპირების ყველა მცხოვრები მხოლოდ და მხოლოდ ამ ცომით (ღომით) იკვებებოდა. XVII საუკუნის დასასრულამდე ღომის კულტურა ძირითადი საკვები იყო, ხოლო XVIII საუკუნეში იგი თანდათან განდევნა სიმინდის კულტურამ. 1890-იანი წლებიდან ღომის კულტურა იშვიათი საკვები გახდა, შემცირდა ღომის ყანები, ზოგან იგი სავსებით მოისპო. ამის მიუხედავად, ღომის სახელი, როგორც საუკეთესო საკვებისა, დღემდეა შემონახული. სიმინდისაგან „ღერღილისა“ და „ფქვილის ღომის“ დამზადება „ნამდვილი ღომის“ წესით სრულდება და იგი ღომის ღომის მაგივრობას ეწევა. ამ სახელწოდებით, ხალხი ერთმანეთისაგან განასხვავებდა ღომსა და ღომის ღომს, ისევე როგორც მჭადს და მჭადის მჭადს. ღომის ღომით გამასპინძლება ოჯახის სახელი იყო და სტუმრის განსაკუთრებულ პატივისცემად ითვლებოდა.

## SHARDEN’S ,,DISCOVERY”

In the field crop farming of West Georgia, foxtail was the most popular culture.  It was considered a substitute for bread.  According to Jean Sharden, all of the residents of the Black Sea coast used only this paste for food.  Foxtail was the main source of nourishment till the end of the XVII century; in the XVIII century, it was gradually replaced by corn.  Foxtail became a rare culture since the 1890s; its fields grew smaller and the culture was almost extinguished in some regions.  However, the name “foxtail” stands for the best food even today.  The production of “ghergili” foxtail and ground “ghomi” hominy from corn, which serve as a substitute for “ghomis ghomi”: foxtail porridge, proceeds in accordance with a real “ghomi” method.  This way, people separated “ghomi” foxtail from “ghomis ghomi” foxtail porridge like they did with “mchadi” flat cornbread and “mchadis mchadi”.  It was considered extremely respectful to treat a guest to “ghomis ghomi” and it was a matter of honor for a hosting family.









## არა მხოლოდ პურითა....

ხალხურ რწმენაში, ღომი გამრავლების, ბარაქის სიმბოლოდ იყო გამოყენებული: ქორწილის დროს, დედოფლის სახლში ფეხის შედგმისთანავე და კერიის ირგვლივ შემოვლისას სრულდებოდა ღომის მარცვლის მიმობნევის რიტუალი. დაფქვილ ღომს განსაკუთრებით იყენებდნენ დღესასწაულის დროს, აცხობდნენ რიტუალურ ტაბლას. ღომთან სრულ ტექნიკურ შესაბამისობაშია საცეხველი. ცეხვა შვიდი ან რვა ქალის დახმარებით ხდებოდა. ღომთან დაკავშირებული საქმიანობა ძირითადად ქალებს ეკისრებოდათ.

დასავლეთ საქართველოში XIX ს. ბოლომდე ითესებოდა ბრინჯი. მოჰყავდათ როგორც სველი, ისე მშრალი ბრინჯი და ბოჭკოვანი მცენარეები: სელი და კანაფი. ბერძენი მწერლები მიუთითებენ კოლხური სელის ხარისხზე, რომლისაგან კარგი თევზსაჭერი ბადეები, სახელგანთქმული სანაოსნო იალქნები მზადდებოდა. ანტიკურ სამყაროში განთქმული იყო სელის ტილო, რომელიც მეტოქეობას უწევდა ეგვიპტის საუკეთესო სელის ქსოვილებს. სელისა და კანაფისაგან ხდიდდნენ ზეთს.

კანაფი გავრცელებული იყო როგორც საზეთე მცენარე სვანეთში. კანაფის ზეთს იყენებდნენ საკვებად და სამკურნალოდ. კანაფის თესლს საკულტო მნიშვნელობაც ჰქონდა: დანაყილს და შეზავებულს ცომის მოსართავად იყენებდნენ. კანაფის გულიანი პურები დღესასწაულზე, ქორწილში, მიცვალებულისათვის განკუთვნილ დღეებში ტრადიციულ საკვებს წარმოადგენდა.

## NOT BY BREAD ONLY…

According to tradition, “ghomi”:foxtail was a symbol of fertility and prosperity; at weddings there would be a ritual spilling of “ghomi” around the fireplace after the bride stepped into the house. Ground “ghomi” was used at the time of festivities: they baked a ritual dish “table” with it. “Tsetskhva”: the process of grinding was carried out by women; mainly women were responsible for the activities connected with foxtail.

Rice was sown in West Georgia till the end of the XIX century. Here, wet as well as dry rice and fiber plants: flax and hemp were cultivated. Greek writers emphasized high quality of Colchic flax used to manufacture fishing nets and famous navigation sails. Georgian linen was famous in antiquity and it rivaled the best flax fabrics of Egypt. They produced oil from flax and hemp as well.

Hemp was spread in Svaneti as an oil plant. Hemp oil was used in food and medicine. Hemp seeds had a cult importance, too. Ground and seasoned hemp seeds were used in pastry as a flavoring. Bread with hemp filling was used as a traditional dish at festivities, weddings and funerals.



# საქართველო – ღვინის სამშობლო
# GEORGIA - MOTHERLAND OF WINE





საქართველოში ვაზის მოშინაურება ნეოლითის ხანიდან იწყება. ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა ძველთაგანვე მეტწილად მევენახეობაზე იყო დაფუძნებული, ამიტომაც შეურქმევია „ღვინობისთვე“ ქართველს წელიწადის ყველაზე ნაყოფიერი და დოვლათიანი თვისთვის. მასზე შექმნილია საგალობელ-სადიდებელი სიმღერები, სადაც გამოხატულია მზრუნველობა, სიყვარული და პატივისცემა მეღვინეობის მფარველი ღვთაებისადმი - „აგუნას გადაძახება“ კალანდა საღამოს გურიაში, „ჩაგუნა“ სამეგრელოში, „შიოობა“ – მარნის ზედაშის დღესასწაული რაჭა-იმერეთში, „ზედაშის“ კულტი კახეთში, ვენახის სადიდებელი ჰიმნი „შენ ხარ ვენახი“ და ა.შ. ქართველებმა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნეს მევენახეობა-მეღვინეობის მაღალი და ორიგინალური კულტურა მსოფლიოში საუკეთესო მრავალი ვაზის ჯიშისა და საქვეყნოდ განთქმული ქართული ღვინოების სახით.

500-მდე კულტურული ვაზის ჯიში დასტურდება საქართველოს ტერიტორიაზე. ბუნებრივი პირობების შესაბამისად ხდებოდა მევენახეობის ფორმების შემუშავება (დაბლარი, მაღლარი, ოლიხნარი, ტალავერი), ვაზის მოვლა-მოშენების ემპირიული და ღვინოების დამზადების ნაირგვარი ტექნოლოგიური წესების მიგნება. ქართული ღვინის დაყენების ხელოვნება იცნობს არა მარტო თეთრ (რქაწითელი) და წითელ (საფერავი), არამედ ბუნებრივად ტკბილ (ხვანჭკარა, ტვიში, უსახელოურო, ქინძმარაული) და ცქრიალა (ატენური, ჩხავერი) ღვინოების დამზადება-შენახვის წესებს.

ველური ვაზის სიუხვე, კულტურული ჯიშების მრავალფეროვნება, ვენახის გაშენება-მოვლისა და ღვინის დაყენების თავისთავადი მაღალი კულტურა, ქართველი ხალხის ყოფაში ვაზისა და ღვინის უდიდესი მნიშვნელობა ცხადყოფს, რომ საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთი უძველესი კერაა. მევენახეობა-მეღვინეობას ქართველების ყოფაში იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, რომ თემურ ლენგმა XIV ს. დამლევს და შაჰ-აბასმა XVII ს-ის დამდეგს, ქართველების ეკონომიკურად და სოციალურად დაძაბუნებისათვის, საქართველოში შემოჭრილ თავის ლაშქარს, უპირველესად, ვენახების აკაფვა უბრძანეს. რიგი დაბრკოლების მიუხედავად, ქართველებმა საუკუნეებს გამოატარეს ვაზის სიყვარული და ღვინის დაყენების ემპირიული კულტურა. ვაზი ქართველი კაცის სიცოცხლისუნარიანობის სიმბოლოა.





Domestication of vine in Georgia originated in the Late Stone Age. The economic prosperity of Georgia has depended on viticulture since ancient times. That is why the Georgians call November, the most fertile and fruitful month of the year, “Gvinobistve”: a month for winemaking. Hymns and chants of praise have been dedicated to vine. People’s care, love and respect for the patron deity of viticulture are reflected in songs and rituals: “Agunas Gadadzakheba” chanted on “Kalanda”/New Year’s Eve in Guria, “Chaguna” in Megrelia, “Shiooba”: the festival of wine cellar in Ratcha and Imereti, the “Zedashi” cult in Kakheti, the chant “Shen Khar Venakhi”, “Thou Art True Vine” in Georgian, dedicated to vine, etc. During their centuries-old history, the Georgians have created a unique viticulture and winemaking thanks to the best species of vine in the world and the famous Georgian wine.

There are more than 500 cultural types of vine on the territory of Georgia. The forms of viticulture: “dablari”, “maghlari”, “olikhnari”, “talaveri”, empiric rules of treatment and cultivation of vine, and discovery of various technical methods of winemaking are carried out in accordance with natural conditions. The art of Georgian winemaking comprises not only the rules of production and storage of white “Rkatziteli” and red “Saperavi” wines, but also of naturally sweet “Khvanchkara”, “Tvishi”, “Usakhelouro” and “Kindzmarauli” wines, and sparkling “Atenuri” and “Chkhaveri” wines.

Abundance of wild vine, diversity of cultural varieties, high level of vineyard planting, treatment and winemaking, and the immense importance of vine and wine in the way of life of the Georgian people: point to the fact that Georgia is one of the oldest centers of viticulture and winemaking. Winemaking and wine growing held an important spot in the way of life of Georgians. The first thing that Timur the Lame at the end of the XIV century and Shah Abbas At the beginning of the XVII century did while raiding Georgia, was ordering their troops to cut all the vineyards in the country in order to weaken the Georgians socially and economically. The Georgians have carried their love for vine and the empiric art of winemaking through the centuries. Vine is a symbol of a Georgian man’s vitality.





### „ომი და ლხინი კახისა მოსაწონია კაცისა“

ქართული ღვინის ღირსებასა და სმის კულტურაზე მიანიშნებდა საქართველოში მოხვედრილი ყველა უცხოელი მოგზაური. კავკასიის მეღვინეობის მკვლევარი პ. ძუბენკო, რომელმაც XIX ს. 80-იან წლებში იმოგზაურა საქართველოში, აღნიშნავს: „საქართველოში საშუალოდ არანაკლებ 1 ბოთლისა სვამენ ყოველდღიურად... სვამენ ზამთარ და ზაფხულ, სვამენ ყველგან და ყოველთვის, მაგრამ არავინ არ თვრება, ერთხელ დამთვრალი უკვე ლოთად ითვლება. სმას იქ არ ძრახავენ... მაგრამ ვაი თუ დაკარგეთ გრძნობა. უზომოდ მსმელს შერჩება წარუხოცელი დაღი ლოთობისა. ერთი სიტყვით, აქ ბევრს სვამენ... ამის მიუხედავად, არ ყოფილა შემთხვევები ლოთობის გაჩენისა, როგორც ეს ხშირად ხდება ჩრდილოეთში და არ არის სხვადასხვაგვარი დამბლა და პოდაგრები. პირიქით, ყველგან შეიძლება შეხვდეთ მოხუცებს 60-70 წლისას, რომლებიც მთელი სიცოცხლე სვამენ, მაგრამ შესანიშნავად - მხნედ და კარგად შენახულან“. ქართული ოჯახის სუფრას ყოველთვის ამშვენებდა ჩინებული ღვინო, მაგრამ ქართველები თავდაჭერილობასა და ზომიერებას იჩენდნენ ღვინის სმაში. ამიტომაც ხალხი სანაქებოდ მიიჩნევდა ამ თვისებას.

### ღმერთთან ნაზიარები

ქართველებში ულვინოდ არ სრულდებოდა არც ერთი რიტუალური წეს-ჩვეულება. ღვინის მეშვეობით ხორციელდებოდა ღმერთთან დაახლოება-ზიარება. ღვინო იყო მიცვალებულთა სულების უპირველესი მისაგებელი. ოჯახში ღვინით სავსე ჭური სიკეთის, ბარაქიანობის სიმბოლო იყო. ახალ წელსა და ნათლიღებას ღვინით ხელების გაბანა წასული წლის ყველა „ცოდვისაგან“ განწმენდას ნიშნავდა. ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა ქართველთა ცხოვრებაში - ახალი ფუძის ჩაყრა, ძეობა, ნიშნობა, ქორწილი, ტირილი ულვინოდ არ ჩატარდებოდა.

ქართველისათვის წუთისოფელი ჭირისა და ლხინის მონაცვლეობაა და ამ დროს მასში დიონისური სული ღვინოს შეჰქონდა თავისი მრავალფეროვანი მხატვრული სასმისებით, რომლებსაც მონაცვლეობით უფროს-უმცროსისთვის, ძეობისთვის, ქორწილისთვის, ჭირის სუფრისათვის, მშობლებისთვის, სამშობლოსათვის მოხდენილად იყენებდა.

ქართული ტრაპეზის წარმმართველია „თამადა“ - ოქროპირი, სიტყვა და საქმედაუნჯებული, ავტორიტეტი, სუფრის წესების მცოდნე. ქართულ სადღეგრძელოებში გამოხატულია ქართველთა ცხოვრების წესი, საფიქრალ-საზრუნავი და სალოცავ-საფიცარი.

ქართული სუფრაც ღმერთთან და ბუნებასთან ნაზიარებია: უხვი, ჟღერადი, მრავალფეროვანი და ნაკურთხი. „კურთხეულ იყოს ღვთისაგან ჩვენი სუფრა“, - ბრძანა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ტრაპეზზე, - „მშვიდობა თქვენდაო“. მშვიდობა და სიყვარულია დვრიტა ღირსეული ცხოვრებისა, შრომისა და ბედნიერებისა. „მადლობა უფალს“ - ასე იწყებოდა ქართული ტრაპეზი. ძველი წესით, ქართული სუფრა მღვდელს უნდა ეკურთხებინა.



### WAR AND REPAST OF THE KAKHIS ARE PRAISEWORTHY

All of  the foreign travelers who came to visit Georgia pointed out the merits of Georgian wine and the local culture of drinking.  The explorer of Georgian wine P. Dzubenko who traveled to Georgia in the 80s of the XIX century points out: “On average, they drink not less than a bottle a day in Georgia…They drink in the winter and in the summer, everywhere and always, but nobody gets drunk; once a person is drunk he is considered a drunkard.  They do not condemn drinking here…but it will be a problem if you fail.  One who drinks in excess may acquire a blemish of a drunkard.  In short, they drink a lot here…However, no case of hard drinking has been observed the way it is in the north, and there are no paralyses and gout.  On the contrary, one may meet sixty or seventy year old people everywhere who have been drinking all their life but who retain their vivacity and are well preserved.”  Meals of Georgian families have always been embellished with excellent wine, but Georgians have always revealed praiseworthy modesty and restraint in drinking wine.  That is why people consider this feature as commendable.









## HAVING COMMUNED WITH GOD

No ritual in Georgia has ever taken place without wine. The Holy Communion, this act of intimate closeness with God is done through wine. Wine is one of the foremost means of commemoration of the departed. A jug full of wine is a symbol of wellbeing and prosperity. The act of washing one's hands with wine on New Year's Eve and Theophany means cleansing of all sins. Every important event in the life of the Georgians, such as laying foundation of a new house, celebration of a son's birth, engagement, matrimony, funeral reception was carried out with wine.

Life is an alteration of misfortune and joy for the Georgians. At such moments, wine welcomed a Dionysian spirit with various artistic goblets and glasses skillfully used to drink to the respect of the elders by the young, to the birth of a son, to the celebration of weddings, to parents and the homeland.

A "tamada"/Master of Toasts is a person who conducts a Georgian repast. It is an orator, a person who has a gift for eloquence and proper behavior, and enjoys authority; the one who is acquainted with the rules of feasting. Georgian toasts reflect the Georgian way of life, concerns, prayers and vows of the Georgian people.

A Georgian feast is also a way of communion with God and nature. It is abundant, sonorous, diverse and sanctified. The Lord Jesus Christ gave thanks and blessed the meal at the Last Supper, "Peace be unto you". Peace and love are the foundation of a worthy life, labor and happiness…"Thank You, Lord!" this is how a Georgian meals begins. Traditionally, a Georgian meals is blessed by a priest.



## ყავის მაგივრადაც

ქართველებმა ამავე სიყვარულით შექმნეს ღვინის სმის მაღალი კულტურა, რიტუალური სასმისებითა და კოლორიტულ სადღეგრძელოთა მრავალფეროვნებით, რომელიც მეღვინეობის კულტზე მიგვანიშნებს. ქართველი ხალხი ვაზის შესანიშნავი ჯიშების გამოყვანისა და ღვინის განვითარებული ტექნოლოგიის გვერდით სუფრის დახვეწილ წესებს იმუშავებდა და ნაირგვარ სასმისებს ქმნიდა, რაც ესთეტიკური ტკბობის საშუალებას წარმოადგენდა. საქართველოში ღვინო გამოიყენებოდა არა მარტო სალხინოდ და სარიტუალოდ, არამედ როგორც საკვები პროდუქტი, პურ-ღვინოს თანაბარი კვებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა სიცოცხლის უზრუნველყოფისათვის, განსაკუთრებით მოხუცებში. ღვინით უზრუნველყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ ფიზიკურად მომუშავენი. ხალხის რწმენით, ძველი ღვინო წამლად გამოიყენება სისუსტის, სისხლნაკლებობის, უმადობის დროს. საკვებად გამოიყენებდნენ შავ ღვინოში დამბალ პურს, რომელიც „ბოღლიწოს" სახელითაა ცნობილი. მზადდებოდა შეჭამადები შავი ღვინისაგან, „თხლისაგან", „ისრიმისაგან", რომელიც ნიგვზით, ნივრითა და მარილით იკმაზებოდა და სხვა. ყურძნის წიპწას ახმობდნენ და მისგან ყავას ამზადებდნენ.



## INSTEAD OF COFFEE AS WELL

The Georgians have created a high-level culture of wine drinking with the same love, with ritual bowls and a diversity of toasts; which points to the cult of winemaking. Along with selecting excellent species of vine and developing a winemaking technology, the Georgians created refined forms of meals and a variety of drinks serving as a means of aesthetic pleasure. In Georgia, wine is used not only for enjoyment and rituals, but also as sustenance. Food and wine have equal importance for vitality. This applies to the aged especially. Wine is also provided for those practicing manual labor. People believed that wine was a remedy for fatigue, anemia and absence of appetite. They used bread soaked in dark wine for food and called it "boghlitso". Soups seasoned with walnuts, garlic, salt, etc. were made from dark wine. Grape stones were dried and used for making a coffee-like drink.





## ქართული საღვინე სახლი – მარანი

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილია საღვინე სახლის - მარნის ღია (დასავლეთ საქართველო) და დახურული ტიპი (აღმოსავლეთ საქართველო). დახურული ტიპის მარანი ქვის ნაგებობაა და საცხოვრებლის კომპლექსში შედის, მის პირველ სართულზეა მოწყობილი.

განვითარებულ მევენახეობას შეესაბამება ასევე განვითარებული საღვინე ჭურჭლისა და ინვენტარის მრავალსახეობა. ქართული მარნის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია საწნახელი, რომელშიც მამაპაპური წესით - ფეხით იწურება ყურძენი. აღმოსავლეთ საქართველოში ხის (ნავი), ქვისა და ქვითკირის საწნახელებია. დასავლეთ საქართველოსთვის კი ტიპურია ხის საწნახელი (ხორგო), რომელიც ცაცხვის მორისგან არის გათლილი.

## ქვევრი

ქართული მეღვინეობის კულტურის ყველაზე დამახასიათებელი ელემენტია ქვევრი/ჭური/ლაგვანი, ღვინის დასაყენებელი და შესანახი, მიწაში ჩამარხული თიხის ჭურჭელი. ქვევრებს ადგილობრივი ოსტატები (მექვევრე) ამზადებენ. საუკეთესოდ ითვლება იმერული ჭურები, რომლებსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეხვდებით. ქართული მეღვინეობის ინვენტარს ეკუთვნის, აგრეთვე, ჭაჭის წნეხები, ღვინის დარევის, გადაღების, ქვევრის სარეცხი, ყურძნის საკრეფი და სხვა მრავალრიცხოვანი წვრილი ხელსაწყო-ჭურჭელი. ღვინის გადასატანად იხმარებოდა თხის, ციკნის, მოზვრისა და კამეჩის ტყავისაგან დამზადებული, შიგნიდან მოკუპრული ტიკჭორა, ტიკი, კოლოტი და რუმბი.

## GEORGIAN WINE CELLAR “MARANI”

Two types of wine cellars are known on the territory of Georgia: open wine cellar in West Georgia and closed in East Georgia. A closed type of wine cellar is a stone building arranged on the ground floor of living quarters.

Well developed winemaking implements correspond to well developed viticulture. One of the main components of a Georgian wine cellar is a winepress where grapes are squeezed out by foot in accordance with the methods of the ancestors. In East Georgia there are wooden winepresses called “navi”, stone winepresses and those made from stone mixed with lime. For West Georgia, wooden winepresses called “satznakheli” and “khorgo” planed from lime logs are typical.

## KVEVRI

The most characteristic feature of Georgian winemaking culture is a large clay vessel for wine maturing buried in the ground and called “kvevri”, “tchuri” and “lagvani”. “Kvevris” are made by local craftsmen “mekvevres”. Imeretian “churis” are considered the best and one can find them in various corners of Georgia. Georgian winemaking implements include “tchatcha” (pressed grape skins) winepresses, equipment for stirring and pouring wine, equipment for washing “kvevris, equipment for collecting grapes, and a great number of other small devices and crockery. Wine is carried in winebags called “tiktchora”, “tiki”, “koloti” and “rumba”; they are tarred from the inside and are made of goat, kid, bull-calf or buffalo skin.







## ღვინის დაყენების ქართული წესი

საქართველოს ცალკეულ კუთხეებში გამომუშავებულია ღვინის დაყენების განსხვავებული წესები: ღვინის დაყენება ჭაჭაზე, დედით ღვინის დაყენება, ღვინის დაყენება უჭაჭოდ და უკლერტოდ, ჭარმაგი ღვინის დაყენება, მოგუდული ღვინის დაყენება, შუშხუნა ღვინის დაყენება, შამანი ღვინის დაყენება. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ღვინის დაყენების კახური წესი. მისი სპეციფიკა ის არის, რომ თეთრი ღვინის დადუღება წარმოებს მთელ ჭაჭაზე, მაშინ როდესაც საქართველოს სხვა კუთხეებში ტკბილი დუღს დაწურული ყურძნის ჭაჭის უმნიშვნელო რაოდენობაზე ან უჭაჭოდ. სპეციალისტების აზრით, ჭაჭაზე დაყენებული ღვინო უფრო გამძლეა, მდიდარია ტანინებით, სურნელოვანია და სქელი. ჭაჭაზე ღვინის დაყენება ქართული ღვინის დაყენების ადგილობრივ ტექნოლოგიურ წესად ითვლება.



## ჩურჩხელა – მხოლოდ ქართული და გემრიელი

საქართველოს მოსახლეობა ყურძნის ნაყოფს მრავალმხრივ იყენებდა და ოდითგან მისდევდა ყურძნის პროდუქტების დამზადებას. კახეთში, შენახვის მიზნით, რთველის დროს არჩევდნენ ყურძენს, წნელებზე ასხამდნენ და კიდებდნენ გამოსაშრობად. იცოდნენ გოდრებში ჯოხებით ყურძნის „ჯაგნების" ჩაკიდება, რომელსაც ჩალით გადახურავდნენ და ეზოში ხეზე დადებდნენ. ქართლში გავრცელებული იყო ყურძნის შენახვა ნახერხში. მიღებული იყო ყურძნის „დაჩამიჩება". მწიფე ყურძენს ძაფზე აასხამდნენ, მთელი ღამით თონეში ჩაკიდებდნენ და ამოღების შემდეგ ჩრდილში გაახმობდნენ. ყურძნის დაწურვის დროს ქვევრიდან იღებდნენ ტკბილს - წვენს, რომელსაც გადადუღების შემდეგ (ბადაგი) იყენებდნენ საჩურჩხელედ, სათათარედ. საქართველოში ცნობილია ყურძნის წვენისაგან დამზადებული პროდუქტის ორი სახეობა: აღმოსავლეთ საქართველოში „თათარა" (ყურძნის ტკბილითა და პურის ფქვილისაგან შემზადებული) და დასავლეთ საქართველოში „ფელამუში" (ყურძნის ტკბილისა და სიმინდის ფქვილისაგან შემზადებული). მათგან აკეთებენ ტყლაპებს, „ტკბილ-კვერს", ავლებენ ჩურჩხელებს.

ჩურჩხელას ოჯახის კვებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. იგი აუცილებელი და ყუათიანი საგზალი იყო მონადირეების, მწყემსების, გზათმიმავლებისათვის. ჩურჩხელა სალაშქრო საჭმელი იყო. ცნობილია, რომ ქართველი მეომარი ლაშქრობაში თავისი საგზლით - ჩურჩხელის მარაგით მიდიოდა. ძველი ჩვეულებით, მეზობლები სახლიდან მიმავალს ჩურჩხელებს უძღვნიდნენ. დროთა განმავლობაში ჩურჩხელამ ნაციონალური საკვების სახე მიიღო.





## GEORGIAN WAY OF WINEMAKING

There are different ways of winemaking in various parts of Georgia: winemaking from pressed grape husks called "tchatcha"; winemaking by means of wine yeast "deda"; winemaking without "tcatcha" and grape sprigs; making of old wine; airless method of production; making of sparkling wine, winemaking without yeast; etc. Among them, the Kakhetian way of winemaking is the most distinguished. The specific character of the Kakhetian method is that the settlement of white wine proceeds on the base of whole "tchatcha", while in the other parts of Georgia, the same process is done with a small amount of "tchatcha' or without it altogether. Specialists believe that wine made from "tchatcha" is more enduring, rich in tannin, flavorful and thick. Winemaking with "tchatcha" is considered an authentic technological method of Georgian viticulture.

## CHURCHKHELA: ONLY GEORGIAN AND TASTY

The population of Georgia has used grapes for different purposes and has pursued the production and usage of vine products since ancient times: in Kakheti, they would select grapes; then they would hang them on vine twigs to dry for storage. They would also hang bunches of grapes strung lengthwise in baskets called "jagani"; they were covered and placed on a piece of wood in the garden. In Kartli, it was popular to store grapes in sawdust. "Dachamchireba"/drying was widespread, too. Ripe grapes were threaded, hung overnight in a Georgian furnace called "tone" and dried in the shade after being taken out. At the time of winepressing, they took newly pressed sweet grape juice from "kvevri" and used for "churchkhelas" and "tatara" after settlement. Two types of product made from grape juice are known in Georgia: in East Georgia, newly pressed grape juice mixed with wheat flour and called "tatara" and in West Georgia, juice mixed with corn flour and called "pelamushi". "Tatara" and "pelamushi" are used to make "tklapi" and "tkbilkveri", and they dip "churchkhelas" in them.

"Churchkhela" plays an important role in the diet of a Georgian family; it is a necessary provision for hunters, shepherds and travelers. "Churchkhela" was taken in military campaigns as well. It is known that Georgian warriors would take a supply of "churchkhelas" with them. Neighbors supply a person going on a journey with "churchkhelas", as it was traditionally done in ancient times. In the course of time, "churchkhela" has turned into a part of Georgian cuisine.



## ქართული არაყი

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ყურძნის ჭაჭიდან სანაქებო არაყს ხდიდა, რომელიც „ჭაჭის არყი“-ს სახელით არის ცნობილი. ყურძნის დაწურვის შემდეგ ჭაჭას ჩაყრიან ქვევრში, დაასხამენ წყალს და გარკვეული დროის შემდეგ გამოხდიან. არყის გამოხდა ხდებოდა შემოდგომაზე ან გაზაფხულზე, უფრო - შემოდგომით (ოქტომბერ-ნოემბერში). არაყი იხდებოდა სპეციალურ „საარყე ქვაბში“, რომელსაც სპილენძისაგან ამზადებდნენ მექვაბეები. ქვაბის ზომა განისაზღვრება სათლებით, საშუალო ქვაბი - 12-14 სათლიანია. მისგან იღებენ 12-15 ლ. არაყს.

## არყის გამოხდა

ქვაბის დადგმა, გაწყობა, დუღილის პროცესის დაცვა დაკვირვებას მოითხოვს, ამიტომ არაყს გამოცდილი მეურნე ხდის. დუღილისას თავდაპირველად ორ ბოთლს წმინდა „წინწანაქრა“ არაყს იღებს, რაც კარგ არყად ითვლება, შემდეგ მოდის „ქაფიანი“, ბოლოს „საია“ „ნაბოლარა“, მღვრიე, რომელსაც მომდევნო ქვაბში ასხამს და ხელმეორედ ხდის. არყის ხარისხს შემდეგნაირად სინჯავენ: დაასხამენ ნაკვერჩხალს, ალი თუ მოეკიდება, არაყი ხარისხიანად ითვლება, თუ ჩააქრობს - უვარგისია.

## ქართული ლუდი

ღვინის გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში (ხევსურები, ფშაველები, თუშები, მთიულ-გუდამაყრელები და მოხევეები) „ნაციონალურ“ სასმელად გამოიყენებოდა ლუდი, როგორც საკულტო სასმელი. ლუდის მომზადება ძირითადად ჯვარ-ხატების მოვალეობას შეადგენდა. ისინი ფლობდნენ საგანგებო სალუდე ნაგებობებს, ხოლო სალუდე მეურნეობას ასრულებდა მთავარი მსახური - „ხუცესი“, სათანადო სამეურნეო პერსონალით. კალენდარული დღეობებისას ლუდის კოდის გახსნა უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენდა. სადღესასწაულო რიტუალში ლუდი წმინდა სასმელადაა გამოცხადებული. კოდის გახსნის და დალოცვის შემდეგ ლუდი „ჩხუტებით“ გამოჰქონდათ საჯაროზე და იწყებოდა საერთო სმა. ლუდის სარიტუალო დანიშნულება კარგადაა გამოხატული მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელ დღეებზე: „წლისთავი“ (ფშავი), „საქნარი“ (ხევსურეთი) და „წლის ალუდი“ (თუშეთი), რომელთა მიზანი მიცვალებულთა სულების პატივისცემაა. თუშეთში ალუდზე გამართულ ცხენთრბოლაში რამდენიმე ცხენოსანი ერთად დადგება, ლუდიანი თასებით გარდაცვლილთა შესანდობარს იტყვის და თან მცირეოდენ ლუდს ცხენის ფაფარს დააწვეთებს. დოღის შემდეგ იმართება დიდი პურობა სარიტუალო ლუდის სმით.

## GEORGIAN VODKA

The population of East Georgia made excellent vodka from grape husks known as “tchatchis araki”. After grapes are pressed, the husks are put into “kvevri”. They add water and in a week, vodka is distilled. Vodka distillation took place in the fall or spring, more often in the fall, in October and November. Vodka is distilled in a special van called “saarke kvabi” made from copper by coppersmiths. The size of a vat is measured in “satlis”. A medium size vat contains twelve to fourteen “satlis”, which makes about twelve to fifteen liters of vodka.

## DISTILLATION OF VODKA

It requires special attention to place a vat, adjust it and make sure the process of settlement is going well. That is why vodka is distilled by an apt person. During the settlement, they first take two bottles of pure “tzintzkara” vodka, which is considered good; then there come “kapiani” and finally, “saia”; on the muddy dregs called “nabolara” they pour another batch and distill the contents for the second time. The quality of vodka is checked by pouring it on ember. If it catches fire, vodka is considered good, and vice versa: it is bad if it puts out fire.





## GEORGIAN BEER

Besides wine, the highlanders of East Georgia: the Khevsurs, Pshavs, Tusha, Mtiul-Gudamakrians and Mokheves used beer as a national beverage and a cult drink. Brewing beer was the primary duty of “jvar-khatis”. They owned breweries where the process of making beer was led by a manager called “khutsesi” with a relevant household personnel under him. The opening of a beer keg called “kodi” at the time of festivities was the most important event. Beer was pronounced a sacred drink at a festive ritual. After the festive blessing of beer, they carried it out for public in “chkutas” and drinking began. The importance of beer is well expressed in the rituals commemorating the souls of the departed: “tslistavi” in Pshavi, “saknari” in Khevsureti and “tzklis aludi” in Tusheti. The purpose of these rituals is to pay homage to the souls of the dead. During a horserace arranged as part of the “aluda” ritual in Tusheti, several horseman stand next to one another with bowls of beer, propose a toast in memory of the departed and spill some beer on the main of their horses. A big feast with ritual drinking of beer takes place after the horserace.

# მეხილეობა
# FRUIT GROWING





მეხილეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. ჯერ კიდევ გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის ძეგლებში ბრინჯაოს სასხლავებისა და მოხრილი საბაღე დანების, უფრო გვიანი ხანისათვის ყურძნის წიპწების დადასტურება მეტყველებენ მეურნეობის ამ დარგის განვითარებაზე.

ძვ.წ.აღ. VI-IV სს. უძველესი ბერძნული ცნობებიც მიუთითებენ საქართველოში მეხილეობის ფართოდ გავრცელებაზე. კულტურული მცენარეულობიდან ასახელებენ მსხალს, ვაშლს, ლეღვს, ბროწეულს. ზოგიერთი ხეხილის ჯიში სხვა ქვეყნებშიც გაჰქონდათ. ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კოლხეთის ქალაქ კერასუნტიდან, რომაელებმა პირველად შეიტანეს ევროპაში ბალი, რომლის სახელი ევროპულ ენებში კერასუნტის სახელთანაა დაკავშირებული.

ძველ საქართველოში მებაღეობა-მეხილეობის განვითარებაზე საინტერესო ცნობებია დაცული როგორც უცხოურ, ისე ქართულ ისტორიულ წყაროებში. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მთელი იმდროინდელი საქართველო - დაწყებული ველებიდან, ზღ.დ. 1000-1200 მეტრ სიმაღლემდე - ვენახ-ხილიან ზოლად არის წარმოდგენილი. ქართველმა ხალხმა თავის ბაღ-ხილნარს „მტილ-სამოთხეები“ და „ბაღ-წალკოტები“ უწოდა, XVII ს. ქართულმა მწერლობამ კი ჰიმნი შეასხა - გარსევან ჩოლოყაშვილმა „ხილთა ქებით“, თეიმურაზ II-მ „ხილთა ბაასით“.

წმინდა ხილის ბაღები საქართველოში გავრცელებული იყო ქართლში, იმერეთში, სამცხეში. დღემდე ასწლოვანი ჯიშის ხეხილია მოღწეული ვალეში, უდეში, ხერთვისსა და კეხვში.



საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დგინდება მოსახლეობის ცოდნა ხეხილის მოვლა-პატრონობისა და სასელექციო საქმიანობის შესახებ. ქართველი მეურნე ხეხილის გაშენებისათვის მიმართავდა მიწათმოქმედების ისეთ რთულ ხერხებს, როგორიცაა „ტერასების მოწყობა“, „ჭაობის დაშრობა“, „შემობარვა“. ცნობილი იყო ხეხილის ჯიშების გამოყვანა-გამრავლების წესები: მყნობით, გადაწვენით, ლერწით, ფესვდაყოფით, თესლის წინასწარი დამზადებით, აგრეთვე,თესლის წინასწარი დამზადების და გასხვლის რიგის ხალხური წესები. მოსავლიანობის გადიდებისათვის მეურნე იყენებდა კენწეროების წაჭრის, დასერვის, დაბელვების წესებს, ხეხილის კარგად დაყვავილებისათვის – „კომლის ხრჩოლვის“ მეთოდს - ჭიაკოკონას.

მეხილეობის კულტურა კარგად ვლინდება ხილის საკრეფი და საშრობი ჭურჭლეულის მრავალფეროვნებასა და გამოყენების მრავალგვარობაში. ხილს ინახავდნენ მშრალად – ორმოში, ქვევრში, ჩირად გამოშრობის წესით, კერკად და ა.შ. ხილისაგან ამზადებდნენ საჭმელს, სასმელს – არაყს, სამკურნალო წამლებს და ქიმიურ საღებავებს. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დასტურდება ნედლად ხილის დიდი ხნით (10 თვემდეც) შენახვა, რაც განსაკუთრებულ ცოდნა-გამოცდილებას საჭიროებდა. ქართველ კაცს წესად ჰქონდა წელიწადის ყველა დროისათვის როგორც ნედლი, ისე ხმელი ხილის ოჯახში ქონა და ყოველ პურობაზე ჩაროზად დაყოლება.

საქართველოში, სხვა პროდუქტებთან ერთად, ხილს ქართველი კაცის ცხოვრებაში არსებითი ადგილი ეჭირა, რაზეც მეტყველებს ხალხური გამონათქვამიც: „თუ პური არ მოვა - ღვინო დაგვიხსნის გაჭირვებიდან, თუ არც ღვინო მოვა - ხილის მოსავალი გვიშველისო“... ამიტომაც მიწათქმოქმედების სხვა დარგებთან ერთად, მეურნე ათასწლეულის განმავლობაში ეძიებდა ველური ხეხილის შერჩევისა და კულტურაში გადმოტანის გზებს.



საქართველოში ისტორიულად დამოწმებული ხეხილის ჯიშებიდან განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ვაშლი, რომელიც პირველ ადგილზე იდგა მოსავლიანობისა და მოხმარების მხრივ. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ვაშლის ადგილობრივი ჯიშებიდან აღსანიშნავია ქართლში - აბილაური, თეთრი ადრეულა, ქართული სინაპი, გოგიაანთ კიტრა, ნისკარტა, ქაშა კიტრა, ძუძუ-ქალა, ხანდაკურა, კეხურა, თურაშაული, შაქარ-ვაშლი, ხომანდული, ყარყარა, ბორა და სხვ. მესხურ ჯიშებში: წითელი შაქარვაშლა, შაქარა, თეთრი შაქარა, რძე-ვაშლი, რაკრაკა, მეფის ვაშლი, ლამაზო, ქონავაშლი, მესხური თურაშაული, თეთრავაშლი, მსუქანა მესხური, ახალციხური კიტრა. კახურ ჯიშებში შედის: კახური თურაშაული, ძუძუვაშლა, კიტრანა. საქართველოში დასტურდება საადრეო, საზაფხულო და საზამთრო ვაშლისა და მსხლის ჯიშების მრავალსახეობა. XIX ს. მასალებით, ქართლში არსებობდა მსხლის 12 ჯიში: გულაბი, თავრიზული, გვერდწითელი, შავი მსხალი, თაფლამსხალი, ბორბალა, კალოს მსხალი. მსხლის ჯიშთა სიმრავლით გამოირჩეოდა დასავლეთ საქართველო, სადაც დადასტურებულია 40 ჯიში: ხეჭეჭურა, შავი მსხალი და სხვა. როგორც ვაშლის, ისე მსხლის ხე და მისი ნაყოფი განსაკუთრებული მრავალფეროვნებითაა გამოყენებული: პანტისგან ხდიან ცნობილ „პანტის არაყს“, ახმობენ ჩირს, ხალავენ და ფქვავენ, მისი ნაყოფისაგან ამზადებენ ჯემს, სდებენ მწნილად, ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას სარიტუალო დანიშნულებითაც.









## CHASING A DINNER WITH FRUITS IS TYPICAL OF THE NOBILITY

Fruit growing is the oldest branch of agriculture in Georgia. The discovery of bronze deshooting tools and bent gardening knives of the Late Bronze and Early Iron Ages as well as grape stones of later periods points to the development of this branch of agriculture.

Ancient Greek sources of the VI-IV centuries B.C. also indicate that fruit growing was widespread in Georgia. Among the domesticated plants they point out pear, apple, fig and pomegranate. Some species were exported abroad, too. Literary sources show that sweet cherry was first brought to Europe by the Romans from the city of Chersonesos in Colchis. The word “cherry” in European languages is connected with Chersonesos.

Both foreign and Georgian historical sources provide interesting information on the development of gardening and fruit growing in Georgia. According to Vakhushti Batonishvili, the whole of Georgia of those days from the lowland up to 1 000 – 1 200 meters above sea level represented a single belt of orchards. The Georgian people called their orchards “mtil-samotkheebi”/gardens of paradise and “bagh-tzalkotebi”/gorgeous gardens. In the XVII century, Georgian authors dedicated hymns of praise to them: Garsevan Cholokashvili wrote “The Praise of Fruit” and Teimuraz II created “Conversations on Fruits”.

Orchards with heavenly fruits were spread throughout Kartli, Imereti and Samtskhe. Centenary species of fruit trees have been preserved in Vale, Khertvisi and Kekhvi.

The science of orchard keeping and activities connected with selection among the population are evidenced by the ethnographical reality of Georgia. Georgian farmers used such sophisticated methods of agriculture as arrangement of terraces, drying up marshes, plowing up, etc. There were known various methods of growing and generation of fruit trees by way of inoculation, interbreeding, bridge grafting, cleft grafting, a national method of preliminary preparation of seeds, pruning, etc. Peasants used the methods of shearing, incision and pruning in order to increase the yield, and the methods of “komlis khrchola” and “tchiakokona” to improve the flowering of fruit trees.

The culture of fruit growing is well reflected in the diversity of crockery for fruit gathering and drying and various ways of its usage. Fruit was stored dry in a “kvevri” in accordance with the methods of drying. They made food, vodka, medicines and paints from fruit. Georgia’s ethnographical reality leads us to believe that fresh fruits were stored for a long time: up to ten months, which required special proficiency and experience. The Georgians had a tradition of serving fresh as well as dry fruits for dessert at the conclusion of every meal.

Fruit occupied a place in the life of a Georgian as important as any other product. The following proverb serves as a proof: “If bread fails to grow, vine will help us out; and if vine fails, too, then fruits will sustain us.” That is why while pursuing the other branches of agriculture, a farmer always looked for the ways of choosing and domesticating wild fruits.

Among the fruit trees historically evidenced in Georgia, apple was the most widespread. It held the first place in yield and usage. We should point out the following among local apple species spread in various parts of the country: Abilauri, White Adreula, Georgian Sinap, Gogiaant Kitra, Niskarta, Kasha Kitra, Dzudzu-Kala, Khandakura, Kekhura, Turashauli, Shakarvashli, Khomanduli, Karkara, Bora, etc. Among the Meskhetian species, we should name: Red Shakarvashle, Shakara, White Shakara, Rdze Vashli, Rakraka, Mepis Vashli, Lamazo, Konavashli, Meskhuri Turashauli, Tetravashli, Msukana Meskhuri, Akhaltsikhuri Kitra, etc. The Kakhetian species include: Kakhuri, Turashauli, Dzudzuvashla, Kitrana, etc. There is a great variety of early, summer and winter species of apple and pear in Georgia. According to the material of the XIX century, there were twelve species of pear in Georgia: Gulabi, Tavrizuli, Gverdtziteli, Black Pear, Taplamskhali, Borbala, Kalos Mskhali, etc. West Georgia is notable for the abundance of pear species; there are forty of them, including Khetchetchura and Shavi Mskhali. Both apple and pear trees are used in a great variety of ways: they distill a well known Panta vodka from panta, make ring-shaped cracknel from it, roast and grind it, produce jam from its fruit, pickle it. It has a big part in rituals, too.



# მესაქონლეობა-მეცხოველეობა
# LIVESTOCK AND SHEEP BREEDING











ქართველი ხალხის სამეურნეო საქმიანობაში მიწათმოქმედების კვალდაკვალ მთავარი ადგილი უჭირავს მესაქონლეობას. ისტორიულად საქართველოში ცნობილია მრავალდარგოვანი მესაქონლეობის არსებობა, რაც გულისხმობდა როგორც წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი, ფრინველი), ისე მსხვილფეხა მესაქონლეობის (ძროხა, კამეჩი, ცხენი, ჯორი, სახედარი) განვითარებას. საქართველოს ბარისაგან განსხვავებით, სადაც პრიორიტეტს მიწათმოქმედება ინარჩუნებს და მესაქონლეობა მიწათმოქმედების ხელშემწყობ მოვლენას წარმოადგენს (გამწევი ძალით უზრუნველყოფა), მთიანი მხარეების ეკონომიკაში მესაქონლეობა ჭარბობს სხვადასხვა ვარიაციებით: სვანეთში, მთიან რაჭასა და ხევსურეთში – მსხვილფეხა მესაქონლეობაა განვითარებული; თუშეთში, ფშავში, ხევსა და მთიულეთ-გუდამაყარში - მეცხვარეობა. მესაქონლეობის განვითარების ინტენსიურ ხასიათზე მიუთითებს ქართველი ხალხის საჯიშე-სანაშენე საქმიანობაც. ჯერ კიდევ კლასიკური ეპოქის ავტორები აღნიშნავდნენ კოლხური დაბალტანიანი ძროხის სიკეთეს, რომელიც დიდი წველადობით გამოირჩეოდა. ამ შინაური ცხოველის ბონიტეტი ადამიანის ზემოქმედებით არის მიღწეული. საქართველოში ბუნებრივ ზონალობას ემორჩილება მესაქონლეობის ფორმები: მთური და ბარული. აღნიშნულ ამ ორი ფორმის მესაქონლეობას მისდევდა ბინადარი მოსახლეობა და აქედან გამომდინარეობდა მათი ცხოვრების წესიც (ფსიქიკა, სოციალური ინსტიტუტი, საწარმოო ჩვევები, შრომის ორგანიზაციის ფორმები, ადათობრივი სამართალი, სოციალური და მატერიალური კულტურა).

ქართველმა ხალხმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია რძის პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიური ხერხების (ნაღების მიღება, კვეთის შემზადება, რძის შეყველების ტემპერატურის დაცვა, სიმჟავის ნორმალური დოზის შენარჩუნება და ა.შ.), სარძევე მეურნეობისათვის გამოსადეგი ჭურჭლის მასალის (ხე, თიხა, სპილენძი) ვარგისიანობის, ყველის შესანახი (გუდა, თიხა, ხე) ჭურჭლის მრავალსახეობის და სხვა მიგნება-გამოყენებაში. ქართველებმა კარაქის მისაღებად გამოიყენეს თიხის სადღვებელი, რომელიც ნაპოვნია ძვ.წ.აღ. IV ათასწლეულში და დღესაც იგივე ფორმით განაგრძობს არსებობას აღმოსავლეთ საქართველოს ბარში – ქართლ-კახეთში, რაც მოსახლეობის ბინადარი წესის უტყუარი მატერიალური ნიშანია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზოლში სადღვებლად გამოყენებულია მთლიანი ხის „ვარია“ და „ჩხუტ-ბრუნელი“. ხევსურეთში ხის ვარიასთან ერთად სპილენძის ვარიასაც იყენებდნენ.

სარძევე მეურნეობის განვითარების მაღალმა კულტურამ შექმნა ისეთი მიღწევები მესაქონლეობაში, როგორიცაა თუშური ყველი, მეგრული სულგუნი, იმერული ყველი, ხევსურული ერბო, აჭარული კარაქი. მესაქონლეობის ცალკეული დარგების გავრცელება ზონალობასა და რელიგიურ რწმენებს ექვემდებარებოდა. ცხვარი ყველგან ჰყავდათ. მეთხეობა ძირითადად  გურია-სამეგრელოში, კამეჩი მხოლოდ საქართველოს ბარში იყო გავრცელებული, მეღორეობა კახეთსა და სვანეთში. ღორს რელიგიური მოსაზრებით არ აშენებდნენ აჭარასა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. საკვებად არ გამოიყენებოდა უსურმაგის ხორცი (ცხენი, ჯორი, ვირი).

მესაქონლეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში. მისი ინტერესებიდან გამომდინარეობდა უძველესი სამეურნეო კალენდარიც. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მიაჩნიათ, რომ საქონლის ბაგურ კვებაზე გადასვლის შემდეგ იწყება ზამთარი (გიორგობის - ნოემბერის 10). საქონლის გამრავლების მიზნით, საახალწლო რიტუალში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭირა მეკვლის მიერ ცეცხლში მუგუზლის „შეჩიჩხინებას“ ნაპერწკლების ასავარდნად, „ამდენი ცხენი, ამდენი ძროხაო“, სარიტუალო კვერების გამოცხობას, საახალწლოდ საქონელზე მილოცვას. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მკითხაობდნენ კიდეც ციკან-ბატკნის ბეჭზე, ოჯახის დოვლათიანობაზე. მთელი რიგი ცერემონიებისა მიმართული იყო მეწველი საქონლის, მუშა საქონლის, გუთნის გატანის, წველა-დღვების გათვალვის წინააღმდეგ.

ქართველი კაცი ოდითგან მისდევდა მეცხოველეობას. საუკუნეების განმავლობაში წარმოებული ხალხური სელექციით, ადგილობრივი გარემო-პირობების გათვალისწინებით შეიქმნა ისეთი ჯიშები, როგორიცაა იმერული და თუშური ჯიშის ცხვარი, მეგრული თხა, ხევსურული და მეგრული ჯიშის ძროხა, კახური ღორი, თუშური და მეგრული ჯიშის ცხენი, ქართული აბრეშუმის ჭია.

გასულ საუკუნეში, მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ჯიშების გამოყენებით შეიქმნა ახალი ჯიშები: მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში - მერძეულ-მეხორცული მიმართულების კომბინირებული კავკასიური წარბას ჯიში, დაიხვეწა თუშური ცხვარი, რომლის მატყლიც უხეშმატყლიან ცხვრებში საუკეთესოდ ითვლება ხალიჩების საწარმოებლად. ქართველი მეცხვარეების მიერ გამოყვანილი იქნა ნახევრად ნაზი და ნაზი ცხიმკუდიანი ცხვრის ახალი ჯიშები. ქართველმა სელექციონერებმა შექმნეს ახალი ჯიშის ჩალისფერი ინდაური, უნიკალური შავი ფერის ბოცვერის ჯიშური ჯგუფი, ტვირთმზიდავი ჯავახური ჯიშის ცხენი.

# სანაიას ყველი
# SANAIA'S CHEESE



თუ რამე საკრალური არსებობს სამეგრელოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველის "ამოყვანაა"- აქ ვერც სიტყვას "წარმოებას" ვერც "ფაბრიკაციას" ვერ მიუსადაგებ, არ მოუხდება...

დიახ ყველი "ამოყავთ" ნედლი და თოვლივით ქათქათა, შვილივით ნაფერები და ხელისგულში მოქცეული...

რამდენი ოჯახიცაა იმდენი გემოს და სახეობის ყველს შეხვდებით – შეიძლება კრებსითად ან "ჭყინტი" ერქვას ან სულუგუნი , მაგრამ გრადაციებს ვერ აცდებით.

ეს შინაურულად, საოჯახო ყველის დონეზე, მაგრამ თუ ყველის "საქმედ" ქცევაა გადაწყვეტილი და თან ამას შემოქმედებითი ბუნების ადამიანები კიდებენ ხელს, იქ უკვე ფანტაზიას საზღვარი არა აქვს –

ერთი რომ გემოს საიდუმლო რეცეპტს აგვირისტებს, მეორე დაუზარლად წნავს ყველის გვირგვინებს... რგოლებად აწყობს, ვარდებს ამსგავსებს...

ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივ პირობებში გამოყვანილი ქართული ყველის დაგემოვნება უკვე მოასწრო რუსულმა ბაზარმა და გზა დასვლეთ ევროპის ქვეყნებისკენაც გაიკვალა...

საწარმოს ქართულ ბაზარზე დაბრუნებაც გადაწყვეტილია – ძნელია განებივრებული ქართველი მყიდველის გაოცება ყველის ასორტიმენტით და მით უფრო გემოთი, მაგრამ ის, რასაც **სანაიას ყველი** შესთავაზებს ქართულ ბაზარს იქნება სასიამოვნო მოულოდნელობა.

If there is anything sacral on the territory of Megrelia, it is “raising of cheese”; the words “making” and “manufacturing” do not apply here, they just are not right...

Indeed, they “raise” cheese tender and white as snow, and cherish it like a child on the palm of a hand . . .

There are as many types of cheese as there are families here. A cheese might be stamped as “chkinti” or sulguni but it will have a distinct touch in every family.

That is concerning homemade cheese for domestic use, so to speak; but if highly creative people turn ordinary domestic «cheese making» into «cheese business», their fantasy has no boundaries. Some of them create a secret flavor formula and others twine cheese wreaths diligently . . . twist them in circles and shape them like roses. . .

Made in ecologically clean and natural conditions, Georgian cheese has already charmed the Russian market and now it is headed west to European countries.

Our company has planned to return on the Georgian market as well: of course it is very difficult to surprise a spoiled Georgian consumer with a variety of Georgian cheeses or their taste especially. But what **SANAIA’S CHEESE** has in store for the Georgian market will pleasantly surprise it.





# FLAVOR, SHAPE, FANTASY, VARIETY

# IN THE SECRET WORLD OF SANAIA’S CHEESE

სანაიას ყველი
SANAIA'S CHEESE

# გემო, ფორმა, ფანტაზია, მრავალფეროვნება სანაიების საიდუმლო ყველის სამყაროში!


























# სანაიას ყველი
# SANAIA'S CHEESE



Along with agrarian culture, livestock breeding holds the leading position in the economy of the Georgian people. Historically, livestock breeding has been diversified: its types include cattle breeding of cows and buffalos, as well as breeding of sheep, goats, pigs, poultry, horses, hinnies and donkeys. Unlike the lowland, where agriculture retains priority and cattle breeding is a supportive activity providing tractive force, variations of livestock breeding can be seen in the mountainous regions: in Svaneti, Highland Ratcha and Khevsureti, cattle breeding is developed, while in Tusheti, Pshavi, Khevi and Mtiuleti-Gudamakari, sheep breeding prevails. Activities of the Georgian people in the field of livestock breeding point to the high level of its development. Authors of the classical epoch emphasized the merits of Colchic short cow distinguished for its good milk producing ability. The types of livestock husbandry in Georgia depend on the zoning: there are mountain and lowland forms of breeding. The way of life: mentality, social institutions, skills, forms of organization of labor, traditional laws, social and material cultures of farmers depended on which of the abovementioned forms of livestock breeding they practiced.

The Georgian people have achieved considerable success in discovering technological means of dairy production: receiving cream, preparation of rennet extract, retaining the temperature of curdling milk, keeping acidity within limits, etc; and inventing relevant tools made from wood, clay and copper: crockery for cheese storage, leather sack “guda”, etc. A clay creamery used by the Georgians in the IV millennium B.C. has been excavated. This tool is used in the same form in the lowland of Georgia: in Kartli and Kakheti. In the mountains, they use whole wooden “varia” and “chkhut-bruneli” as a creamery. In Khevsureti, they also use copper “varia” along with wooden.



The high level of dairy production gave rise to such achievements in livestock husbandry as Tushetian cheese, Megrelian cheese, “sulguni” cheese, Imeretian cheese, Khevsurian melted butter and Adjarian butter. Prevalence of particular branches of livestock breeding depends on the zoning and local religious beliefs. They kept sheep everywhere. Goat breeding was mainly spread in Guria and Megrelia, buffalos were mostly herded in the plains of Georgia, and pig breeding was developed in Kakheti and Svaneti. They did not pursue pig breeding in Adjara and mountainous regions of East Georgia because of religious considerations. They did not use horse, hinny or donkey meat for food. Livestock breeding played an important role in the religious beliefs, customs and traditions of the Georgian people. The agrarian calendar also was arranged in accordance with economic activities of the Georgians. For example, in the mountainous regions of East Georgia, they believe that winter starts on St. George’s day, November 10 when they begin to feed cattle from cribs. In order to insure livestock’s fertility, the ritual of “shechichkhineba” was practiced: it consisted of mixing embers in the fireplace by “mekvle” while saying, “So many horses, so many cows”; other rituals include baking of ritual flatbread, wishing cattle Happy New Year, etc. They even told fortune on a shoulder blade of a kid or a lamb. A large number of rituals were performed in order to avert the evil eye put on milk cows, plow cattle, a plow itself and milking and buttering production.



The Georgian people have pursued livestock breeding since ancient times. Using centuries-old techniques of selection and taking into consideration local traditions, they have bred Tushetian and Imeretian sheep, Megrelian goat, Khevsurian and Megrelian cows, Kakhetian pig, Tushetian and Megrelian horses, and Georgian silkworm.

In the centuries past, based on scientific knowledge, new breeds were created with the use of local breeds: Caucasian “Tzarba” cow and Tushetian sheep, which is esteemed among coarse wool sheep to have the best for production of carpets. Georgian shepherds have bred new species of semisoft and soft greasy-tailed sheep. Georgian selectionists have bred a new straw-colored species of turkey, a new unique group of black rabbit, a Javakhetian load carrying breed of horse, etc.





# ქართული ჩაი
# GEORGIAN TEA

ქართულ მეჩაიეობას საუკუნენახევრის ისტორია აქვს. აქ მსოფლიოში აღიარებული ყველა ტიპის და სახის, აგრეთვე, ორიგინალური ქართული ჩაის წარმოება შეიძლება. ქართული ჩაის პროდუქციამ სხვადასხვა დროს სანკტ-პეტერბურგის, პარიზისა და მილანის საერთაშორისო გამოფენებზე ოქროს მედლები მოიპოვა.

საქართველოში ჩაი პირველად 1847 წელს, სოხუმის ბოტანიკურ ბაღში შემოიტანეს, საიდანაც გადაიტანეს ოზურგეთის საცდელ სადგურში. უფრო გვიან ჩაის ბუჩქები დარგეს ზუგდიდში, დადიანის ბაღში, და ოზურგეთის რაიონის სოფ. გორა-ბეჟოულში, ერისთავის მამულში. შემდეგ ოზურგეთის რაიონის სოფ. ზენობანში გაშენდა ჩაის პლანტაცია. ასე დაიწყო ჩაის ბუჩქის გაშენება გურიის სოფლებში. ჩაის პლანტაციების ფართობი 1000 ჰა-მდე აღწევდა.

1930 წელს ანასეულში დაარსდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ხოლო სოხუმში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. ქართველმა მეცნიერებმა მრავალი ნაშრომი მიუძღვნეს ჩაის პლანტაციის გაშენებისა და მოვლის, მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის, ფოთლის კრეფისა და გასხვლის, სელექციის მეთოდების კვლევას. საქართველოში ჩამოყალიბდა ჩაის ძირითადი მწარმოებლის კერა, რომელიც ჩაით ამარაგებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის დიდი ნაწილის მზარდ მოთხოვნილებას. ქართული ჩაი „კოლხეთი“ საუკეთესოდ იყო მიჩნეული. ჩაის ფაბრიკები მუშაობდა ნატანებში, ლანჩხუთში, სუფსაში, ინგირში, ორპირში, ლესიჭინეში, გუბში, ოფურჩხეთში.

ტროპიკული ქვეყნებისგან განსხვავებით, ქართული ჩაის პროდუქცია არ შეიცავს სხვადასხვა პესტიციდების ნარჩენებს, რადგან, ჩვენთან არსებული ზამთრის გამო, ჩაის ბუჩქებს არ სჭირდება მავნებლების წინააღმდეგ დამუშავება. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონა მთლიანად აკმაყოფილებს სამრეწველო მეჩაიეობისადმი წაყენებულ პირობებს და შესაძლებელს ხდის მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი ქართული ჩაის პროდუქციის განვითარებას.

ქართული წარმოების დაფასოებული 1კგ ჩაის გასაყიდი ფასი შიდა ბაზარზე 2-15 ლარს შეადგენს, ხოლო სხვადასხვა სახის დაფასოებული ჩაის 1კგ-ის ღირებულება, ხარისხისა და შეფუთვის შესაბამისად, 12-40 ლარის ფარგლებში მერყეობს. ცალკეულ შემთხვევაში, 1კგ. ელიტარული (მცირე რაოდენობით) ჩაის ფასი 90-100 ლარამდე აღწევს.

Georgian tea growing has a history of a century and a half. Here, it is possible to produce all the recognized types and species of tea as well as authentic Georgian tea. Georgian tea has won gold prizes at international exhibitions held in Saint Petersburg, Paris and Milan at different times.

Tea was first brought to Georgia in 1847, to the Sukhumi Botanical Garden, from where it was taken to the Ozurgeti experimental station. Later, tea was planted in the village of Gora-Bezhouli in the manor of the Eristavi. Then, a tea plantation was set up in the village of Zenobani. This way, cultivation of tea plant began in the villages of Guria. The total area covered by tea plantations reached 1 000 hectares.

In 1930, the All-Union Research Institute of Tea and Subtropical Cultures was founded in Anaseuli, and the Institute of Subtropical Economy was established in Sukhumi. Georgian scientists have dedicated a huge number of their researches to the study of the cultivation of tea, fight against pests and diseases, collection of tea leaves and deshooting, methods of selection. A main tea production center was formed in Georgia; it satisfied a large demand of the most part of the former Soviet Union. Georgian tea "Kolkheti" was considered to be the best. Tea factories operated in Natanebi, Lanchkhuti, Supsa, Inguri, Orpiri, Lesitchine, Gubi, Opurchkheti, etc.

In contrast with tropical countries, Georgian tea does not contain any remains of pesticides since due to our winter conditions, tea plants do not need processing against pests. The subtropical zone of West Georgia meets the requirements of industrial tea growing and provides an opportunity for the development of a high quality, ecologically clean and competitive production of Georgian tea.



The price of a kilo of tea produced in Georgia is between two and fifteen GEL on the domestic market; the price of a kilo of different sorts of packed tea varies between twelve and forty GEL, depending on the quality and packing; and the price of a kilo of elitist tea reaches between ninety and one hundred GEL.



**..როცა წმინდა ნინომ „მოაწია მთასა ჯავახეთისასა, სადაც იგი მიემთხვა ტბასა დიდსა... რომელსა ჰქვიან ფარავნა... და დაყო მუნ ორი დღე და ითხოვა საზრდეული მეთევზურთაგან.**

მეთევზეობას, როგორც სამეურნეო ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს, შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული. არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ზედა პალეოლითის შემდგომ ეპოქაში, მონადირეობასა და შემგროვებლობასთან ერთად, განვითარებული ფორმით გვევლინება მეთევზეობაც. ამის თაობაზე ცნობებს გვაწვდის უძველესი ისტორიული წყაროები. ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი (Iს.) აღნიშნავს, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ქართველ ტომთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეურნეო დარგი მეთევზეობაა.

გვიანდელი ფეოდალური ხანის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ყველა ფეოდალს ჰყავდა ყმა-მეთევზეები; მეფეთა კარზე „მებადურის" სპეციალური თანამდებობაც არსებობდა.

**When Saint Nino reached the mountains of Javakheti, she venerated the great lake called Paravna...And she tarried there for two days, and she asked the fishermen for food**

As one of the main branches of economy, fishing has its roots in the remote past. Archeological materials show that in the period after the Upper Paleolithic Age, fishing was as developed as hunting and gathering. The oldest historical sources point to the development of fishing. The Greek historian Strabo (I century) mentions that fishing was one of the main branches of the economy of the Georgian tribes inhabiting the Black Sea Coast.

Documents of the late feudal period show that every feudal lord had a servant fisherman; there was even a special position of the "mebaduri" fisherman at the king's court.





## თევზის ქართული ჯიშები

საქართველოს ტბებსა და მდინარეებში დასტურდება თევზის ჯიშები: მურწა, კოპოეტი, ხრამული, შამაია, ჭანარი, კალმახი, ფშანის თევზი, ორაგული, ზუთხი, ლოქო, ჭიჭყინა და სხვა. ცნობილია თევზის ჭერის სხვადასხვა წესი, როგორიცაა კონი, ფაცერი, ორჩხი, გოდრი, ჩანგალი, ბადე, ხელაობა, ყინულში თევზის ჭერა. მტკვრის ხეობაში მეთევზეობას მისდევდნენ ძირითადად ბადით, განსაკუთრებით გავრცელებული იყო სასროლი ბადე და ნავტიკი.

მეთევზეობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული შავიზღვისპირეთის მოსახლეობაში. შავ ზღვაში ბინადრობს 134 ჯიშის სარეწაო თევზი, რომელთაგან აღსანიშნავია კოლხური ზუთხი, შავი ზღვის ორაგული, შავი ზღვის ქაშაყი, ბარაბული, ქაფშია, ნაფოტა.

## SPECIES OF GEORGIAN FISH

The following species of fish inhabit the lakes and rivers of Georgia: "murtsa", "kopoeti", "khramuli", "shamaia", carp, trout, "pshani" fish, salmon, sturgeon, smelt, etc. various methods of fishing are known in Georgia, such as: "koni", "patseri" with a basket, "godri", "changali", "bade" with a net, "khelaoba" with hands, fishing on ice, etc. in the valley of the Mtkvari river, fishing with a net is practiced. A shooting net and a ferry on wineskins called "navtiki" are especially widespread.

Fishing is highly developed among the inhabitants of the Black Sea region. 134 species of edible fish can be found in the Black Sea, among them: Colchic sturgeon, Black Sea salmon, Black Sea herring, goatfish, "kapshua".

## შავი ზღვის სანაპირო ზოლი – სატბორე მეურნეობები

შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლის სიგრძე ფსოუდან სარფამდე 330 კმ-ს შეადგენს. შავ ზღვაში ბინადარი თევზების სახეობებიდან კომერციული ღირებულება 5 სახეობას ენიჭება: შავი ზღვის ქაფშიას, შავი ზღვის შპროტს, შავი ზღვის მერლანგს, ქიცვიან ზვიგენს და შავი ზღვის ბარაბულს. მათ შორის სამრეწველო თევზის ძირითად სახეობას შავი ზღვის ქაფშია წარმოადგენს. მისი ბიომასა საქართველოს ექსკლუზიურ ზონაში 200 - 250 ათას ტონას, ხოლო მაქსიმალური დასაშვები ჭერა (ქვოტა) 70-100 ათას ტონას შეადგენს.

საქართველოს შიდა წყლები ზოგადად მდიდარი ჰიდრობიოლოგიური რესურსებით ხასიათდება, რაც წყლის მაღალი ხარისხითა და ხელსაყრელი კლიმატური პირობებითაა განპირობებული. მაგრამ, ამის მიუხედავად, დღეს ტბებისა და წყალსაცავების პროდუქტიულობა ძალზე დაბალია. ამის მიზეზი ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე ინტენსიური ბრაკონიერული თევზჭერა და ხელოვნური აღწარმოების არარსებობაა. ამის შედეგად ინტენსიურად გამრავლებული თევზის სარეველა, მტაცებელი სახეობა კარჩხანა სპობს კობრისა და სხვა ღირებული თევზის სახეობის ქვირითსა და ლარეებს, რითაც არ აძლევს მათ ბუნებრივი გამრავლების საშუალებას.

საქართველოში დღეს დაახლოებით 80-მდე მცირე და საშუალო ზომის სატბორე მეურნეობა არსებობს. მათი ძირითადი საწარმოო სახეობებია: ჩვეულებრივი და სარკისებრი კობრი, თეთრი და ვერცხლისფერი სქელშუბლა, თეთრი ამური, წვერა. ამ მეურნეობებს შორის თავისი წარმადობითა და მეტ-ნაკლებად კარგი მენეჯმენტით აღსანიშნავია გეჯეთისა და ნოქალაქევის სატბორე მეურნეობები, აგრეთვე, კახეთის მცირე ოჯახური მეურნეობები, რომლებიც დღეს თბილისისა და ადგილობრივ ბაზრებს ცოცხალი თევზით ამარაგებენ.



## THE BLACK SEA COASTLINE POND ECONOMIES

The Black Sea Coastline stretches from Psou to Sapri and constitutes 330 kilometers. Among the 69 species of fish inhabiting the Black Sea, five are of commercial value: Black Sea "kapshia", Black Sea sprat, Black Sea "merangi", scaly shark and Black Sea goatfish. Their biomass in the exclusive zone of Georgia comprises 200-250 thousand tons, and the maximum allowable catch is 70-100 thousand tons.

The inland waters of Georgia are generally characterized by rich hydrobiological resources thanks to the high quality of water and favorable climatic conditions. However, in spite of this fact, the productivity of lakes and reservoirs is quite low today. The reason for this is intensive poaching fishing and nonexistence of artificial economy for the last twenty years. As a result, aquatic weeds abound, the predatory Crucian carp destroys the roe of sazan and other valuable species of fish depriving them of an opportunity of natural reproduction.

There are about eighty small and average size pond economies in Georgia today. Their main production species are: common and mirror sazan, white and silver carp, grass carp, barbell. Among these economies, we should mention the Gejeti and Nokalakevi pond economies with their productivity and relatively good management, as well as small household economies in Kakheti that supply Tbilisi and local markets with live fish.



## ქართული კალმახი

გარდა ამისა, დღეს საქართველოში საკმაოდ პოპულარული გახდა ცივი წყლის თევზის მეურნეობები, კერძოდ ცისარტყელა და „წინწკლებიანი“ კალმახის მოშენება. ბოლო წლების არაოფიციალური მონაცემებით, ასეთი მეურნეობების რაოდენობა 45-55 ერთეულამდე გაიზარდა, ხოლო საერთო პროდუქციამ 300 ტონას გადააჭარბა.

საკალმახე მეურნეობებს შორის წარმატებით ფუნქციონიერებს ალგეთის, ახალციხის, ბორჯომის, წალკის, დმანისისა და გორის საკალმახე მეურნეობები.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე თევზისა და თევზპროდუქტების მოხმარება 7 კგ-მდე შემცირდა, მაშინ როცა XX საუკუნის 80-იან წლებში ეს მაჩვენებელი სტაბილურად 19 კგ-ს შეადგენდა. ამის ძირითად მიზეზად ექსპერტები მოსახლეობის სყიდვითუნარიანობის საერთო შემცირებას ასახელებენ. დაბალი მოხმარების მიუხედავად, საქართველოს მეთევზეობის დარგი მაინც ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივი ბაზრების მოთხოვნილებებს თევზსა და თევზპროდუქტებზე. დეფიციტის შესავსებად ხორციელდება იმპორტი სხვადასხვა ქვეყნებიდან, ძირითადად: სომხეთიდან (დაუმუშავებელი, პრესერვები, მარინადები, გაყინული და შებოლილი კალმახი), აზერბაიჯანიდან (შებოლილი და გაყინული ზუთხი) და რუსეთიდან (სხვადასხვა სახეობები: გაყინული, პრესერვები, მარინადები და კონსერვები). იმპორტირებული თევზპროდუქტების საერთო ღირებულება ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იზრდებოდა 1,1 მილიონი აშშ დოლარიდან (1999წ.) 4,5 მილიონ აშშ დოლარამდე (2005წ.)

საქართველოს ჰიდრორესურსების მრავალფეროვნება, მეთევზეობის დარგის დაბალი რისკიანობა (1-2 წლიანი საწარმოო ციკლი) და ბაზარზე არსებული დეფიციტი ხელსაყრელ პირობებს ქმნიან მეთევზეობის სექტორში ინვესტირებისათვის, რაც, შესაძლოა, მომავალში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად ჩამოყალიბდეს, როგორც ეს ტრადიციულად იყო.



## GEORGIAN TROUT

Freshwater economies have become quite popular in Georgia today; in particular, the breeding of coast rainbow and speckled trout. According to unofficial data, the number of such economies has increased to 45-55 units and the total production has exceeded 300 tons in the recent years.

Among successfully functioning economies, we should mention the Algeti, Akhaltsikhe, Borjomi, Tzalka, Dmanisi and Gori trout economies.

In the last decade, the consumption of fish and fish products has decreased to seven kilos per capita, while in the 80s of the XX century, this indicator firmly constituted nineteen kilos. Experts name the overall purchase ability of the population as the main reason for this. Notwithstanding the low level of consumption, fishing does not satisfy the demand for seafood on the local market. In order to fill the deficit, import is carried out from various countries: untreated, tinned, pickled, frozen and smoked trout from Armenia; smoked and frozen sturgeon from Azerbaijan; and different sorts of frozen, canned, pickled and tinned fish from Russia. The overall cost of imported fish products experienced a stable increase in the recent years from 1,1 million US dollars in 1999 to 4,5 million dollars in 2005.

A great variety of hydrological resources of Georgia, a low level of risk and the existing deficit on the market create favorable conditions for investments in the fishing sector, which may become one of the main branches of agriculture in the future as it traditionally used to be.



# შინამრეწველობა
# HOME INDUSTRY





**შინამრეწველობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის ბუნებრივმა პირობებმა და მეურნეობის დარგების განვითარების დონემ, რამაც განაპირობა ყველა კუთხისათვის ინდივიდუალური ნაწარმის, ორნამენტის მრავალსახეობისა და უნიკალური სახეობების შექმნა.**

## „რკინის კაცები“

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მაგარი რკინის დამუშავება პირველად დაახლოებით ძვ.წ. XIV საუკუნეში მოხდა იმ ქვეყანაში, რომელიც მდიდარია რკინის მადნით, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებ ქართველთა ტომში - ხალიბებში. მაგარი რკინის პირველი დასახელება ეგვიპტელებმა შემოგვინახეს - ხაბალკინუ, რაც ხალიბების რკინას ნიშნავს. ძველი ბერძენი მწერლები ქსენოფონტე და ესქილე ხალიბებს მაღალი რკინის გამომგონებლებად თვლიან. ქართველთა წინაპრები რკინის მადნიდან მარგანეცის შენადუღის გზით იღებდნენ ფოლადს, რომლის ტექნიკა XIX საუკუნის მიწურულამდე მოიტანეს რაჭველმა „რკინის კაცებმა“. წედისის რკინის წარმოება ძველი ქართული მეტალურგიული ტრადიციების ნიშანდობლივი თვისებების მატარებელი ტიპური სახეა.



საქართველოს მიწის წიაღი, სხვა სასარგებლო წიაღისეულთან ერთად, რკინის მრავალ საბადოს შეიცავდა, რომელთაც სხვადასხვა დროსა და პირობებში ამუშავებდა მოსახლეობა: ჩახათის საბადო (აღმოსავლეთ საქართველო), წედისი (რაჭა), საწირე, კურსები (იმერეთი), შხიბარი (სვანეთი), ქართლის სარკინეთი (მცხეთის რაიონი). ადგილობრივი რკინისაგან მზადდებოდა მრავალნაირი სახისა და დანიშნულების ხელადი: იარაღი (სამუშაო, სანადირო), ხელჭურჭელი (სახელოსნო, საოჯახო, სამგზავრო).

საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული სპილენძის ხელადი. სპილენძის მადნეულის დამუშავების ცენტრი იყო ჭოროხის ხეობა და ალავერდის საბადოები. სპილენძის მოხელეები ფლობდნენ მისგან არა მარტო ჭურჭლის დამზადების ტექნიკას, არამედ ძველი სპილენძის გადამუშავების ხელოვნებასაც, რაც მელითონეობის მაღალ კულტურაზე მიუთითებს. საერთოდ, სპილენძის ჭურჭელი ქალის სამზითვო ნივთი იყო. იგი დიდ როლს თამაშობდა სხვადასხვა რიტუალებისა და საწესო ჩვეულებათა შესრულებისას.



**An important role in the development of home industry was played by natural resources and the level of the development of industries in the country, which was the basis for creation of articles peculiar to different parts of the country, and of diverse and unique ornamenting.**

## MEN WORKING ON IRON

Specialists believe that metalwork originated in the XIV century B.C. in a country south-east of the Black Sea that belonged to the Georgian Khalib tribe and was rich in iron ore.  The term for crude iron “khabalkinu”, which means “iron of the Khalibs”, was first coined by the Egyptians.  The Greek writers Xenophontus and Aescheles considered the Khalibs to be the inventors of high-quality iron.  The ancestors of the Georgians obtained steel by way of welding manganese from iron ore, the technique preserved by the “men working on iron” from Ratcha at the end of the XIX century.  The production of Tsedisi iron is a typical example of old Georgian metallurgical traditions.

Mineral wealth of Georgia, along with the other treasures of the earth, includes many iron deposits: the Chakhati deposit in East Georgia, Tsedisi in Ratcha, Satsire and Kursebi in Imereti, Shkhibari in Svaneti, Kartlis Sarkineti in the Mtskheta region.

From local iron they manufactured manual articles of various kinds and purposes: tools for work and hunting, crockery, tableware, household and traveling items.

Steel craftsmanship was widespread in Georgia.  The centers of steel metalwork were in the Tchkhorotzku valley and the Alaverdi deposit.  Steel masters knew not only the technique of making crockery but old methods of steel metalwork as well, which points to the high level of metallurgy.  traditionally, steel crockery was part of a woman’s dowry and it played an important role in the performance of various rituals and cult customs.









## ოქრომჭედლობა

მელითონეობის ერთ-ერთ საყურადღებო განტოტებას წარმოადგენდა ოქრომჭედლობა. ასურული, ებრაული, ბერძნული წყაროები აღნიშნავენ, რომ ქართველი ტომები - სასპირები, თობალები და ხალიბები განთქმულნი იყვნენ რკინის, სპილენძის და ვერცხლის წარმოებით. ისინი ფლობდნენ მათი დამუშავების მაღალ ტექნიკას, როგორიცაა: ამოკერვა, ჩამოსხმა, ჭედური, ძვირფასი თვლებით შემკობა, გრეხილი, ცვარა და სხვა. ქართველთა ყოფაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა ლითონის სამკაულები: საყურე, ყელსადები, სამაჯური, ღილი, ჩაფრასტი, ბეჭედი, ძეწკვი, ცერის ბეჭედი, ყაწიმი და სხვა მრავალი. ეს სამკაულები მზადდებოდა სხვადასხვა ტექნიკური ხერხების გამოყენებით. ოქრომჭედელი დადასტურებულია შინამრეწველისა და ხელოსნის სახით. შინამრეწველის სახით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ხევსურეთი, ლეჩხუმი, სვანეთი), ხოლო ხელოსნის სახით საქართველოს ქალაქებში, ძირითადად თბილისში, სადაც შინამრეწველობის დარგები ხელოსნობის ხასიათს ატარებდა. იქმნებოდა ამქრები, რომლებიც ხელოსნების აღზრდას მოთავეობდა. ამქრებში ერთიანდებოდნენ ქვის მთლელნი, კალატოზები, მეჩუქურთმეები, მეჭურჭლეები, მექვევრეები, ოქრომჭედლები. მათი ნაწარმი ბაზარზე გადიოდა.

## GOLDSMITHERY

Goldsmithery was one of the noteworthy branches of metalwork in Georgia.  Assyrian, Hebrew and Greek sources point out that Georgian tribes of the Saspeirs, Tubals and Khalibs were famous for iron, steel and silver production.  They mastered a high level of metalwork techniques, such as: foundry, embellishment with wrought metals, adorning with precious stones, doubling, “tzarva”, etc.  Metal jewelry: earrings, necklaces, bracelets, buttons, metal belts “chaprasti”, rings, beads, “tsvris bechdebi”, sword-knots and many more played a special and important role in the life of the Georgians.  These artifacts of jewelry were made with the use of various techniques.  A goldsmith was a domestic manufacturer and a craftsman: the former in various parts of Georgia: Khevsureti, Letchkhumi, Svaneti and the latter in the cities, mainly in Tbilisi where branches of domestic industry bore signs of craftsmanship.  There were special gilds where they tutored apprentice craftsmen.  Such gilds joined together stone dressers, masons, sculptors, potters, masters of “kvevri”, goldsmiths.  Their products were sold on the market.











## „ხე მარჩენალი“

ყოფაში ფართოდ გამოიყენებოდა ადგილობრივი წარმოების ნაირსახოვანი ჭურჭელი: ქოთან-ქილები, ჯამ-ლანგრები, დოქები და სხვა. ასევე, საოჯახო მეურნეობისათვის გამოიყენებოდა ხის მასალისგან დამზადებული სხვადასხვა სამეურნეო თუ საოჯახო იარაღ-ჭურჭელი. გლეხკაცი თვითონ იყო ყველაფრის მკეთებელი - ციცხვ-კოვზის გამომთლელიც და საოჯახო სამფეხა სკამის დამამზადებელიც, მაგრამ აკვანსა და გუთანს ყველა ვერ აკეთებდა, არც დედაბოძის მოჭრელება-მოქარგვა შეეძლო და არც ჭურჭლის „მოხოწვა“. ამიტომ ხის მოხელეობა სპეციალდებოდა: მეაკვნე, მეკოდე, გუთნის მთლელი და სხვა. ადგილობრივი ხელოსნები ამზადებდნენ ვარცლებს, ხის ჯამებს, კევრებს. ხის ჭურჭლის დამზადების მთავარ კერებად აღმოსავლეთ საქართველოში თუშ-ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი და ბორჯომის ხეობა ითვლებოდა.

ხის ჭურჭლის გამოთლას მისდევდნენ მწყემსებიც, რომლებიც საქონლის ძოვებისას თავისუფალ დროს თლიდნენ კოვზებს, ციცხვებს, პატარა წყლისა და ღვინის სასმისებს, ორნამენტებით ამკობდნენ კომბლებს. მწყემსების ნახელავი ხშირად ბაზარზეც იყიდებოდა.

## იარაღ-ჭურჭელი რქისაგან

საქართველოში ძველთაგანვე მისდევდნენ რქის დამუშავებას როგორც ჭურჭლად, ისე სამეურნეო დანიშნულებისათვის. განსაკუთრებით გავრცელებული იყო საქონლის რქის დამუშავება (ხარის, ძროხის, გარეული თხის, კამეჩის, ჯიხვის). უფრო დიდი მოთხოვნა იყო ჯიხვის რქაზე, რომელსაც სანადიმო სასმელად იყენებდნენ.

რქისაგან ამზადებდნენ საპნის კათხას, საკრავს (გუდა-სტვირს), რქის სადგისებსა და ქალამნის ჩხირებს, წამლის სანაყენებს, სათითეს, კოვზს, სავარცხელს, ხანჯლისა და დანის ტარებს, საპირისწამლეს, მათრახის ტარებს, რქის შვილდს. რქის იარაღ-ჭურჭელს ფართო გამოყენება ჰქონდა ძველი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო კულტურაში.

## BREADWINNER TREE

A great variety of local crockery: pots and jars, bowls and dishes, jugs, etc. were widely used in everyday life. Also, various types of wooden agricultural and household crockery and tools were used in housekeeping. A peasant always made everything himself. He would plane a big spoon and a household stool; but he could not make a cradle or a plow, he could not embellish or embroider the “dedabodzi” main pillar, neither could he engrave crockery. That is why craftsmanship was specialized: there were a master of cradles, a master of “kodas', a planer of a plow, etc. local craftsmen produced troughs, wooden bowls, threshers. The main centers for the production of wooden crockery in East Georgia were Tush-Pshav-Khevsureti, Mtiuleti and the Borjomi Valley.

Shepherds also pursued making of wooden crockery. While tending herds, they planed spoons, small water and wine bowls, decorated their clubs with ornaments in their free time. Shepherds often sold their works on the market.





## TOOLS AND CROCKERY MADE FROM HORNS

Since ancient times, horns were used in Georgia to make crockery as well as implements. Treatment of horns of ox, cow, goat, buffalo and Caucasian goat was widespread. There was a particularly great demand for Caucasian goat horns that were used to make vessels for drinking at feasts.

They manufactured soap dishes, musical instruments like bagpipes, horn awls and needles for knitting bast shoes, medicine mortars, thimbles, spoons, combs, handles and horn bows. Horn tools and crockery were widely used in the housekeeping of ancient population.





## ქართული ოქრომკერდი

შინამრეწველობამ განვითარების ადრეულ ეტაპზე ძალისა და უნარის შესაბამისად გამოკვეთა შრომის საზოგადოებრივ-სქესობრივი განაწილების ფორმა. ფეიქრობასა და შემგროვებლურ მეურნეობაში პრიორიტეტი დაიჭირა ქალმა. ხის, თიხის და მადნეულის დამუშავებაში - მამაკაცმა. თუმცა იყო გამონაკლისებიც - გიშრის დამუშავებაში ქალებიც მონაწილეობდნენ. სვანეთში დადასტურებულია ოქრომჭედელი ქალების მონაწილეობა, ხოლო სამცხეში ხალიჩების ქსოვაში - მამაკაცებისა.

შინამრეწველობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის ეკონომიკაში. მისი ნაწარმი გაცვლისა და ყიდვა-გაყიდვის საგანი იყო არამარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, არამედ ქვეყნის გარეთაც. რუსეთში დიდი რაოდენობით გადიოდა ბამბის ნართი და სხვადასხვა ხარისხის ბამბის ნაწარმი, თურქეთში  ტყავები, ოქროქსოვილები, ბალიშის მოქარგული გადასაფარებლები, ფარდაგები, ხანჯლები, ცხენის მოსართავები. განსაკუთრებით ფასობდა ქართული ოქრომკერდით ნაქარგი სუფრები, მუთაქები, დორები (ტახტის დიდი მუთაქები), ბოხჩები, ყაისნაღური, კლაკნური, კლერტული.

## GEORGIAN GOLD THREAD

At the early stage of its development, domestic industry determined forms of distribution of labor between social groups and sexes in accordance with their physical abilities and skills. Women enjoyed priority in weaving and procurement of edible plants. Men were responsible for treatment of wood, clay and metal. However, there were exceptions: women participated in the treatment of agate. There are evidences of women practicing goldsmithery in Svaneti, and of men taking part in knitting of carpets.

Domestic industry played an important role in the economy of the country. Its products were the subject of exchange and sale not only in various parts of Georgia but abroad as well. A large amount of cotton thread and cotton products of various qualities was exported to Russia. They exported leather, gilded fabrics, embroidered pillowcases, wall carpets, swords and horse harness to Turkey. Tablecloth embroidered with golden thread, round pillows “mutakas’, large sofa pillows called “doris”, knitting needles and others were especially valuable.











## მხატვრული ნიჭი

ქართული ნაქარგობა გამოირჩეოდა საღებავთა ჰარმონიული შეხამებით. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (თუშეთი, ფშავი, ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, ხევსურეთი) გავრცელებული მხატვრული ფარდაგების, ხალიჩების, ხურჯინების, ჩითების და სხვა კოლორიტი მიიღებოდა მცენარეული საღებავებით. მცენარეთა რიგი სახეობა გარკვეული მიკრორაიონის ფლორისათვის იყო დამახასიათებელი და, ამდენად, ამ მცენარის საღებავით მიღებული ნაწარმი ლოკალური ტრადიციების მატარებელიცაა.

ცნობილი იყო ლითონის მხატვრულად დამუშავების ტექნიკა (ჭედურობა, გრეხილი, სევადა, ახალციხური ფილიგრანი) და, ასევე - ხეზე კვეთილობისნაირსახეობა (დაჭრელებით ჩუქურთმა, რელიეფური ჩუქურთმა, დახრილი ჩაჭრით).

დღესაც მაღალხარისხოვნად ფასობს ლაზური, ხევსურული და სვანური ორნამენტებით შემკული ხელოვნების ნიმუშები, ხოლო ხესა და ქვაზე კვეთილობის განვითარების უმაღლეს საფეხურს მოწმობენ საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლები.





## ARTISTIC TALENT

Georgian embroidery is notable for a harmonious combination of colors. The coloring of artistic wall carpets, throw-over sacks called “khurjini”, printed cotton, etc. widespread in various parts of Georgia, such as: Tusheti, Pshavi, Khevi, Mtiul-Gudamakari and Khevsureti, was done with natural dyes made from plants. Some types of plants are characteristic for certain microregions, which means that the dye made from a particular plant bears local traditions.

Several techniques of artistic metalwork are famous: “tcheduroba”, “grekhili”, “sevada”, “akhaltsikhuri filigrani”, etc. as well as a variety of woodwork methods: “dachrelebit chukurtma”, relief ornamenting, “dakhrili chachrit”.

Today as well, pieces of art deco adorned with the Laz, Khevsurian and Svan alphabets are considered very valuable; and monuments of Georgian culture prove the highest level of wood and stone treatment in the country.








GEORGIA

# სამეგრელო - ზემო სვანეთი








# MEGRELIA - ZEMO (UPPER) SVANETI



# მთავრობა ქმნის ჯანსაღ ბიზნეს-გარემოს

# THE GOVERNMENT CREATES A HEALTHY BUSINESS

ჩვენ გვიწევს მოღვაწეობა იმ პერიოდში, როცა საქართველოს მთავრობას აღებული აქვს კურსი, სადაც ბიზნესს ნაკლებად სჭირდება საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა პირდაპირი გაგებით, ანუ მთავრობა ქმნის ჯანსაღ ბიზნეს-გარემოს, სადაც ყველაფერი გამჭვირვალე იქნება ისევე, როგორც ეს დემოკრატიულ ქვეყნებშია.

სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში თავისუფალი ბიზნეს-გარემო კი არის ჩვენი მთავარი პრობლემის, აფხაზეთის დაბრუნების ერთ-ერთი უმთავრესი გზა.

We happen to work in a period when the Georgian government has taken a course that puts the sphere of business in a lesser need of direct support from the government of Georgia; that is, the government creates a healthy business environment where everything will be clear as it is in democratic countries.

And a free business environment in the Samegrelo-Zemo Svaneti region is the most important way of solving our main problem, which is reclaiming of Abkhazia.



ზაზა გოროზია

**საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული ქ. ფოთის, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის რაიონებში**

**სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი**

**Zaza Gorozia**

**STATE REPRESENTATIVE OF THE PRESIDENT OF GEORGIA IN THE REGIONS OF POTI, ABASHA, ZUGDIDI, MARTVILI, MESTIA, SENAKI, CHKHOROTZKU, TZALENJIKHA AND KHOBI**

**GOVERNOR OF SAMEGRELO-ZEMO (UPPER) SVANETI**

# სამეგრელო-ზემო სვანეთი
# MEGRELIA-ZEMO (UPPER) SVANETI

სამეგრელო-ზემო სვანეთი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. რეგიონის ტერიტორია ქვეყნის ტერიტორიის 10.6%-ია, რაც შეადგენს 7.4 ათას კვ.კმ-ს. ამ მონაცემით სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს მეორე ადგილი უკავია საქართველოს რეგიონებს შორის. ტყეებს უკავია 3.01 ათასი კვ.კმ, ანუ რეგიონის მთლიანი ფართობის 40.7%.

დასავლეთიდან სამეგრელო-ზემო სვანეთს აფხაზეთი და შავი ზღვა, ჩრდილოეთიდან მთავარი წყალგამყოფი ქედი, ჩრდილო-დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონი (საზღვარი სვანეთის, ეგრისის ქედზე და ასხის მასივზეა), სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იმერეთის და გურიის რეგიონი ესაზღვრება.

ზემო სვანეთი საქართველოს „ჭერად“ ითვლება. მისი ტერიტორიის 96% ზღვის დონიდან 1000 მეტრზე, ხოლო 65.8% 2000 მეტრზე მაღლა არის განლაგებული. ზომიერი კლიმატი, ბუნებრივი სილამაზე და დაცული ფაუნა ზამთრისა და ზაფხულის ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა.

რეგიონში გაერთიანებულია შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები: აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა (დაბა ჯვარი) და ხობის რაიონები, ქალაქი ფოთი.



Megrelia-Zemo Svaneti is located in the central north-west part of Georgia. Its territory makes up 10.6% of the territory of the country, which is 7.4 thousand square kilometers. The region of Megrelia-Zemo Svaneti holds the second place in size among the regions of Georgia. Its forestry occupies 3.01 thousand square kilometers, that is 40.7% of the total area of the region.

Megrelia-Zemo Svaneti is bordered by Abkhazia and the Black Sea on the west; the main water dividing mountain range on the north; by the region of Ratcha-Letchkhumi-Kvemo Svaneti on the north-west and on the east with the border lying on the Svaneti and Egrisi range and the Askhi massif; and the Imereti and Guria regions on the south-east.

Zemo Svaneti is believed to be the “ceiling” of Georgia. 96% of its territory is located at 1 000 meters above sea level and 65.8% above 2 000 meters. The mild climate, natural beauty and protected fauna provide an opportunity for the development of winter and summer tourism here.

The following administrative units constitute the region: the Abasha, Zugdid, Martvili, Mestia, Senaki, Chkhorotzku, Tzalenjikha:Daba Jvari and Khobi districts, and the city of Poti.



## ისტორია

ადრინდელი საუკუნეებიდან ორი გეოგრაფიულად მეზობელი და ლანდშაფტურად განსხვავებული მხარე - კოლხეთი და სვანეთი (იმდროინდელი კოლხეთის სამეფოს და სვანეთის გეოგრაფიული და ტერიტორიული ნაწილები) ადრინდელ საუკუნეებში ერთი სამეფოს შემადგენელი ნაწილია და ძვ.წთ.აღ-ის IV-III საუკუნეებში (ძველი ქართული წყაროებით - ეგრისი) კოლხეთის სამეფოდ იწოდება, რომლის ეთნიკური სახელწოდება „კოლხი“ პირველად ძველ ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში იხსენიება. აღნიშნული კულტურის შემქმნელ კოლხურ ტომთა გაერთიანების ძლიერების ხანა აირეკლა არგონავტთა ლაშქრობის შესახებ ძველ ბერძნულ თქმულებებში (თქმულება არგონავტების შესახებ).

ადრინდელ საუკუნეებში სვანეთი ჯერ კოლხეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო, შემდეგ კი - ეგრისის სამეფოსი. მოგვიანებით, XI-XV საუკუნეებში სვანეთი საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა.

ძვ.წთ.აღ-ის IV-III საუკუნეებში კოლხეთის სამეფო თანდათანობით დასუსტდა, ხოლო ძვ.წთ.აღ-ის II-I საუკუნეების მიჯნაზე კოლხეთი დაიპყრო პონტოს მეფემ მითრიდატე V ევპატორმა და კოლხეთის ოლქების უმეტესობა რომის იმპერიის პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ მოექცა.

დასავლეთ საქართველოში პირველი ქრისტიანობის მქადაგებლები იყვნენ ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი (I ს.). დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის პირველი საუკუნეებიდან მომძლავრებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ უკვე ნიკეის - მსოფლიო საეკლესიო კრებას (325 წ.) ესწრებოდნენ ტრაბზონის ეპისკოპოსი დომნუსი და ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე.

სამეგრელოს და სვანეთის რეგიონებმა ჩვენი წელთაღრიცხვის სხვადასხვა პერიოდებში, სხვადასხვა სახელმწიფოებრივი სტატუსებით, გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში, რასაც ადასტურებს უცხოური თუ ქართული ისტორიული წყაროები და უძველესი კულტურისა და არქიტექტურის ის ნიმუშები, რომლებიც დღემდეა შემონახული.

ოქრომრავალი კოლხეთის მეფე აიეტი, ღმერთების ყოვლისშემძლე სვემ, აქ გააპატიოსნა - გვამცნობს დიდი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე კოლხეთში დაკრძალული აიეტის ეპიტაფიას. იმდროინდელ მსოფლიოში, არგონავტების ლეგენდიდან დაწყებული, მთელ ანტიკურ სამყაროში იყო გავრცელებული მითი კოლხეთის, როგორც „ოქროთი, ვერცხლით, რკინითა და სპილენძით“ მდიდარი ქვეყნის შესახებ, სადაც მეფე ოქროს კოშკში ცხოვრობს და ოქროს მუზარადს ატარებს (აპოლონიოს როდოსელი), ხოლო მდინარეებს ოქრო ჩამოაქვს, რომლებსაც მცხოვრებნი დახვრეტილი ვარცლებით, ცხვრის ტყავებით აგროვებენ (სტრაბონი, აპიანე ალექსანდრიელი) და კიდევ რამდენი: ოქროს საწმისი, სამოთხე-წალკოტში ცად აზიდული წმინდა მუხა, ცეცხლისმფრქვეველი ხარები, რძისა და ღვინის შადრევნები, ოქროს ქვაბში მოხარშული ჯადოსნური წამლები, სწრაფმავალი ხომალდები, სახვნელი და ა.შ., რასაც არაკად ყვებოდნენ ძველი ბერძნები. ასეთი იყო წარმოდგენა ძველქართულ კოლხურ კულტურაზე.







## HISTORY

In the early centuries, the two geographically neighboring and different in landscape regions of Kolkheti and Svaneti, which were geographical and territorial parts of then the kingdom of Colchis and Svaneti, constituted one kingdom referred to as the kingdom of Colchis in the IV-III centuries B.C. and called Egrisi according to old Georgian sources. Its ethnic name “Colchis” was first mentioned in antique and Byzantine sources. The golden era of the creators of the abovementioned culture, the tribal union of the Colchis was reflected in the ancient Greek myth about the campaign of the Argonauts.

In the early centuries, Svaneti first belonged to the kingdom of Colchis; then it became a part of Egrisi. Later in the XI-XV centuries, Svaneti was one of the “saeristavos” (duchies) of the feudal state of Georgia.

In the IV-III centuries B.C. the kingdom of Colchis gradually weakened, and at the turn of the II and I centuries, it was invaded by Mitridates VI Eupator, King of Pontus. Most of the districts of Colchis fell under the influence of the Roman Empire.

The first preachers of Christianity in West Georgia were the Apostles Andrew the First Called and Simon the Canaanite in the I century. The First Ecumenical Council of Nicea in 325 was attended by Domnus, Bishop of Trabzon and Stratophilos, Bishop of Pitiunt, which points to the strength of Christianity in West Georgia in the first centuries.

While possessing different statuses in different periods of our era, the regions of Megrelia and Svaneti have certainly contributed to the formation of Georgia as a state; it’s proved by foreign and Georgian sources and ancient cultural and architectural monuments that have survived to this day.

“The rich in gold King of Aeetes of Colchis resteth here in honor by the omnipotent decree of the gods”, says the epitaph on Aeetes’ grave in Colchis as quoted by the great Greek philosopher Aristotle. In the world of that time, along with the myth of the Argonauts, many other legends circulated about Colchis as a country “rich in gold, silver, iron and copper”; where the king lives in a golden castle and wears a golden helmet (Appolonius of Rhodes); where the streams of the rivers carry gold in their waters, and where the locals entrap gold dust with sieves and lamb’s fleeces (Strabo, Appian of Alexandria). The Ancient Greeks told fables about Colchis, such as the legends of the Golden Fleece; the Oak of Paradise reaching the skies; the Oxen that cast fire; the Fountain of wine and milk; magic potions brewed in a golden saucepan; the Fast Vessels; the Plough-Land; etc.

This is how the old Georgian Colchis culture was perceived in the world of that time.

## ეთნოგრაფიული სამეგრელო







**მეურნეობა**

კოლხეთი ადამიანის ხელით გაკაფულ ერთიან ტყეს წარმოადგენს, რომლის გარემოცვაშია მთელი სამეურნეო საქმიანობა - მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მონადირეობა. კოლხეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მეურნეობის სპეციფიკურობამ განაპირობა ტყის ტიპის მიწათმოქმედების დაწინაურება შესაბამისი სამუშაო იარაღების ნაირსახეობით. სამეგრელოში ითესებოდა ღომი, ფეტვი, ბრინჯი, ხორბალი (ნაკლები რაოდენობით). სიმინდის კულტურამ დიდი გარდატეხა შეიტანა გლეხის მეურნეობაში. იგი კარგად შეეგუა არსებულ კლიმატურ პირობებს, ნიადაგს, ღომთან დაკავშირებულ სამეურნეო საქმიანობებს და იგივე კვებითი ღირებულება შეიძინა. სიმინდი ოჯახის ფულადი შემოსავლის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ იქცა. მარცვლეულ კულტურებთან ერთად, ოჯახში მოყავდათ თამბაქო.

სამიწათმოქმედო კულტურის განვითარების უძველეს საფეხურზე მიუთითებს მასალები ხარის შესახებ. ხალხურ პოეზიაში ხარი წარმოდგენილია მიწათმოქმედების ფუძემდებლად, რომელიც სპილენძ-ბრინჯაოს ხანაში თავისი განვითარების უმაღლეს ფაზაში გადადის და გუთნის მიწათმოქმედებას ეყრება საფუძველი.

მეურნეობის დარგებიდან სამეგრელოში ფართოდ იყო განვითარებული მევენახეობა, რომელიც აქ მაღალი ჯიშის ყურძნის მოყვანითაა წარმოდგენილი. ძველკოლხური ვაზის ჯიშებიდან აღსანიშნავია იზაბელა, რომელიც იზაბელა გიბრის სახელითაა გავრცელებული მსოფლიოში, რადგან მის მიერ იქნა ნაპოვნი ველური ვაზი ამერიკის ტყეში. საქართველოში იზაბელა შემოვიდა ოდესის გზით, ამიტომ იგი კოლხურ კულტურაში ორი სახელითაა წარმოდგენილი - იზაბელა და ადესა. იგი კარგად შეეგუა ადგილობრივ კლიმატურ პირობებს, ნიადაგს; ნაკლებ კაპრიზული ჯიშია და არ ავადდება, ახასიათებს დიდი მსხმოიარობა. ამიტომ იზაბელამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი საოჯახო ყოფაში.

სამეგრელოში ფართოდ იყო განვითარებული მეტალურგიული წარმოება და, საერთოდ, ლითონის დამუშავების ხელოვნება. სამჭედლო „ოჭკადურე“ სახლის კარ-მიდამოზე იყო მოწყობილი. მჭედელი „ჭკადუ“ სოფელში საპატიო პირად და ღმერთის რჩეულად იყო მიჩნეული. მჭედლობა განსაკუთრებული გვარის ხელობად ითვლებოდა და მემკვიდრეობით გადაეცემოდა სოფ. დიდნეძში - კუტალიებს, სოფ. ობუჯში - კვარაცხელიებს, სოფ. ხაბუმეში - გოგუებს, სოფ. ჯიხასკარში - შენგელიებს, ლიაში - ჭკადუებს. მეგრელი მჭედლები ამზადებდნენ სატევრისპირებს, ხმლისპირებს, სახნისს, ნაჯახს, თოხს, წერაქვს, ნალს, სათევზაოს, კერიის ჯაჭვს, სადურგლო იარაღებს და ა.შ. რკინასა და რკინის საგნებს მიეწერებოდა მაგიური ძალა, იხმარებოდა ავგაროზებად. ასევე, საქორწილო მზითვის აუცილებელი ელემენტი იყო კერიის ჯაჭვი, სპილენძის ქვაბები და სხვ.

კოლხური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი და მნიშვნელოვანი ძეგლია „კოლხური ცული“, რომელიც გამოირჩევა ფორმის სინატიფით, პროპორციულობით და მრავალფეროვნებით. განათხარი კოლხური ცულები ხშირად შემკულია გრავიურებული, ხშირად პლასტიკური მაღალმხატვრული ორნამენტით. ცული მთავარი იარაღი იყო კოლხური სამიწათმოქმედო კულტურის წარმოებაში და განკუთვნილი იყო ტყის გასაკაფად.

დღეისათვის სოფლის მეურნეობა რეგიონის ეკონომიკის ერთ ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მის განვითარებაზე დიდადაა დამოკიდებული რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლების ზრდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში რეგიონში პრივატიზებულ იქნა 10 ათას ჰექტარზე მეტი სასოფლო სამეურნეო-სავარგული. ეს ნიშნავს იმას, რომ რეგიონის სოფლის მეურნეობაში დამატებით დამუშავებული მიწების რაოდენობა გაიზრდება 10 პროცენტით.

აღსანიშნავია, რომ სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონის ამ დარგში ინვესტიციებს ახორციელებენ მსხვილი ინვესტორები. ერთ-ერთი არის მსოფლიოში თხილის მსხვილი მწარმოებელი ფირმა „ფერერო“, რომელიც რეგიონში დაასაქმებს 2000-ზე მეტ ადამიანს და განახორციელებს ჰექტარზე 3 ათას დოლარზე მეტ ინვესტიციებს. რეგიონის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 2002 - 2007 წლებში თითქმის ორჯერ გაიზარდა.

ლეგენდებსა და ზღაპრებში, ქვასა და რკინაში გაცხადებული კოლხური კულტურის საიდუმლოებანი, გრანდიოზული ნაგებობანი, ნოქალაქევისა და სალხინოს ტაძრების ჩუქურთმოვანი ქანდაკებით შემკული კედლები, ჭყონდიდ-მარტვილის საეკლესიო საუფლო, სევდანარევი „მეგრული ნანა“ თუ მეთევზეთა ომახიანი შეძახილი „ჰელესა“ მეტყველებენ ხალხის დიდ ისტორიაზე, მის მწუხარებასა და სიხარულზე, იმ უდიდეს მონაპოვარზე, რომელიც ძველმა კოლხურმა კულტურამ შეიტანა ერთიან ქართულ საგანძურში.

კოლხი კაცის არსებობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი იყო მეთევზეობა. აქვაფაუნა დიდ როლს იკავებდა საკვებ რაციონსა და სავაჭრო ურთიერთობებში. მეთევზეობის განვითარებაზე მიუთითებს მრავალფეროვანი ტერმინოლოგია და სათევზაო იარაღის ნაირსახეობა. თევზი რომ კოლხეთის სიმდიდრე იყო, მეტყველებს ისიც, რომ პონტოს დამარილებული თევზი რომაელებისთვის დიდი ფუფუნების საგნად ითვლებოდა. თევზი, როგორც ნაყოფიერების მომნიჭებელი ძალა, მრავალი ეთნოგრაფიული ფაქტორითაა დადასტურებული: ლოცვა-ვედრება თევზისადმი, რომელსაც შვილიერებას შესთხოვდნენ. ლაზ-მეგრელების რწმენით, დიდ მდინარეებსა და ზღვებში ბინადრობს თევზებისა და მეზღვაურების მფარველი ლამაზი ქალი - წყლის დედა, რომელიც იცავს „ზღვის წესებს“. სამეგრელოში ცნობილია მეთევზეების მფარველი „ზებერდე“, რომლის დღესასწაული გაზაფხულის ბუნიობას (21 მარტი) ნაოსნობის დაწყების წინ იმართებოდა. ფოთის განაპირას, პალიასტომის ტბასთან, არსებობდა ორი სალოცავი ადგილი: ერთი ნავისთვის „ონიშე ოხვამურის“, მეორე - თევზისთვის „ოჩხომური ოხვამურის“ სახელმწოდებით. ეს უკანასკნელი, ხალხის თქმით, ზებერდეს სალოცავიც ყოფილა.

სამეგრელოში დასახლების ტიპს განსაზღვრავდა ბუნებრივი გარემო და საკარმიდამო სისტემათა ქსელი. აქ ერთ საკარმიდამო ტერიტორიაზე მოცემულია სახლი, სამზადი სახლი, ბეღელი, სასიმინდე, მარანი, აგვართა, სათხე, საქათმე, საღორე, წყარო, ხილი, ვენახი, სიმინდი, მარცვლეული, ტყე და სათევზაო აუზი.

საოჯახო ტრაპეზი იმართებოდა კერასთან. დადგამდნენ დაბალ მაგიდას (ტაბაკი/ტაბლა). ცალკე იყო სამამაკაცო - „საქომოლო ტაბაკი“, რომელსაც მამაკაცები ასაკის მიხედვით შემოუსხდებოდნენ, თავში იდგა ოჯახის უფროსის საუფროსო სკამი „საუნჩაშო“. მასზე, ოჯახის უფროსის გარდა, ვერავინ დაჯდებოდა. კერიის მეორე მხარეს დაიდგმებოდა საქალებო ტაბაკი/ტაბლა, რომელთანაც ქალები ასევე ასაკის მიხედვით სხდებოდნენ. ცალკე ტაბაკი იდგმებოდა ბავშვებისთვის.

ოჯახში ქალების სამუშაოს ხელმძღვანელობდა უფროსი ქალი - დიასახლისი. მას ებარა სურსათის განაწილების, კერძის მომზადების და სხვა შინასამუშაო საქმეები, რომლებსაც ოჯახის ქალებს შორის ანაწილებდა.

კერა სამეგრელოში წმინდა ადგილად ითვლებოდა. ოჯახის უფროსი მას შესთხოვდა ფუძის ბედნიერებას, გამრავლებას, ჯანმრთელობას. არ შეიძლებოდა კერაში ნაგვის ჩაყრა, წყლის დასხმა, ცუდი სიტყვის თქმა და ა.შ. ოჯახის ერთიანობის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საერთო-საოჯახო ლოცვები, რომლებიც სრულდებოდა კერასთან - წმინდა გიორგის დღის დადგომამდე სამი კვირით ადრე, საახალწლო რიტუალი კი მარანში - საზედაშე ქვევრთან „ოხვამური ლაგვანი“. მარანში სრულდებოდა ჯვრისწერის რიტუალიც.





## ETHNOGRAPHIC MEGRELIA

### Economy

Colchis is a land consisting of massive woods deforested by man. The entire economic activity: field husbandry, cattle breeding, beekeeping proceeds within these woods. The geographic location of Colchis and the specific character of its economy predetermine prevalence of a forest type of agriculture with a diversity of relevant implements. Foxtail, millet and rice were sown in Megrelia; also, wheat in lesser amounts. Introduction of corn was a huge turning point in Megrelia's agriculture. It took root well in the existing climatic conditions and soil; was adjusted to the economic activity connected with foxtail; and gained the same nutritional value. Corn became one of the main sources of financial income of a family. Along with grain, they cultivated tobacco as well.

Historic materials concerning the ox point to the earliest stages of the development of agriculture in Megrelia. In the folk poetry, the ox was represented as the founder of agriculture; this theme reached its climax in the Copper and Bronze Age, when plow was first introduced.

Viticulture was highly developed among the other branches of economy in Megrelia; it was characterized by the cultivation of high quality species of grape. Among the oldest Colchic types of vine, the Isabella grape is distinguished. It is known as the Isabella hybrid worldwide, after the name of her who found it in the wild forests of America. The Isabella grape came to Georgia through Odessa. That is why it has two names: Isabella and Odessa. It took root well in local climatic conditions and soil; it is a less capricious and disease resistant grape. That is why Isabella has firmly taken its place in local households.

Metal manufacture and the art of metal treatment on the whole were highly developed in Megrelia. A forge called "Otchkhadure" was arranged on the territory of a Megrelian farm. A blacksmith "Tchkadu" was reputed to be a respectable person and one chosen by God. Blacksmith's work was considered to be a special hereditary craft; for example, it was handed down from generation to generation within the Kutalias in the village of Didnedzi, the Kvaratskhelias in Obuji, the Goguas in Khabumeshi, the Shengelias in Jikhaskari, the Tchkaduas in Lia, etc. Megrelian blacksmiths manufactured dagger blades, poniard blades, shovels, axes, hoes, mattocks, horseshoes, fishing tackles, hearth chains, joiner's tools, etc. Iron and iron goods were ascribed magic powers and were worn as charms. Also, a copper hearth pot on a chain was a necessary item of a dowry.

One of the most characteristic and important monuments of Colchic culture is the Colchic axe, notable for its refined form, perfect proportions and diversity. Excavated Colchic axes have highly artistic plastic ornaments engraved on them. An axe was the main tool of deforestation in Colchic agriculture.

Today, agriculture is one of the major branches of the economy of the region. The increase of income of a substantial part of the population greatly depends on its development. In the last two years, more than ten thousand hectares of agricultural area were privatized in the region, which means that the size of the cultivated land will increase by ten per cent.

It should be noted that investments into this branch of the economy of Megrelia and Zemo Svaneti are made by large investors. Among them is the firm "Ferrero", one of the biggest producers of hazelnut in the world; the firm will employ more than two thousand people and carry out investments of more than three thousand dollars per hectare. Production of agricultural goods has nearly doubled in 2002-2007.

The mysteries of Colchic culture embodied in metal and stone; its legends and tales and monumental constructions; the walls of the Nokalakevi and Salkhino Cathedrals embellished with ornamented sculptures; the Tchkondid-Martvili church complex; the "Megruli Nana" lullaby with a touch of sadness; and the valorous hail of fishermen "Helesa": they all bear witness to the great history of the people, their sorrow and joy, and to the huge contribution made by Ancient Colchic culture into the treasury of All Georgia.



Fishing was a big part of the way of life of a Colchic man. Seafood held an important place in his diet and trade. Diverse terminology and a great variety of fishing tackles point to the development of fishing in Colchis. The fact that the Romans considered salted fish from Pontus a luxury leads us to believe that fish played a huge role in the welfare of Colchis. Many ethnographic items reveal that fish were considered a force that granted fertility: people prayed to fish interceding for their little ones. The Laz-Megrelians believed that the protectress of fishermen and sailors lived in big rivers and in the sea in the form of a beautiful maiden; she was believed to be the mother of waters who kept "the law of the sea". The festival in honor of the male protector of fishermen "Zeberde" took place on March 21, during the vernal equinox, before navigation resumed. At the Lake Paliastomi on the outskirts of Poti there were two shrines: one was called "Onishe Okhvamuri" and was meant for prayers for one's boat; the other one was "Ochkhomuri Okhvamuri" and they prayed for the abundance of fish there. According to tradition, the latter was also a shrine dedicated to "Zeberde".



A settlement's type in Megrelia was determined by natural environment and a network system of farms. A single unit of a farm consisted of a house, a separate building for cooking, a barn, a storage for corn, a wine cellar, a hen house, a sheep pen, a pigpen, a stream, a orchard, a vineyard, a corn field, a piece of forest land and a fish pond.

Formal family meals took place at the fireplace called "kera". They would set up a low table called "tabaki" or "tabla". "Sakomlo tabaki", a table for men was arranged separately. Men would sit at it according to their age; at the head of the table there stood a special chair for the head of the family. No one but he had a right to sit there. On the other side of the "kera" there was a "table" set up for women who also sat at it according to their age. There was a separate table for children, too. All of the housework in the family was distributed by the eldest woman, the housewife. She was responsible for distribution of provisions, preparation of meals and other household activities, which she distributed among the other females in the family.



The "kera" was considered to be a sacred place in Megrelia. The head of the family would entreat it to bring happiness, fertility and health to his kin. It was prohibited to dump trash and pour water into the "kera"; or to swear near to it. Common family prayers at the "kera" three weeks before St. George's day; a ritual in the wine cellar on New Year's Eve; the ritual of "Okhvamuri Lagvani" at the "kvevri", a large wine jug buried in the ground: all of these played an important role in the deed of consolidation of a family.

## ტურიზმი



სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ბუნება დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ზუგდიდიდან (რეგიონის სამხარეო ცენტრი) უშგულამდე (სვანეთი), რომელიც ევროპაში ყველაზე მაღალ დასახლებულ პუნქტად ითვლება, ავტომანქანით სულ 7-8 საათის სავალია. შავი ზღვის საკურორტო ზონასა და მაღალმთიან სვანეთს შორის დაშორება ტურისტული მარშრუტის თვალსაზრისით საკმაოდ მცირეა. რეგიონში არის ხელსაყრელი კლიმატური პირობები, მრავალფეროვანი მცენარეული და ცხოველური საფარი, უძველესი კულტურა და ტრადიციები, რომელიც იწყება ჩვ.წთ.აღ-მდე IV-III საუკუნეებში და განვითარებას ჰპოვებს როგორც ადრექრისტიანულ, ასევე, შემდგომ პერიოდებში.





რეგიონში მრავლად აღინიშნება ამ პერიოდების არქიტექტურული და ხუროთმოძღვრების ძეგლები, კულტურული და ისტორიული ადგილები. უძველეს მნიშვნელოვან ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს ისტორიული ქალაქი ციხე-გოჯი (ძვ.წთ-აღ-ის III ს.) სენაკის რაიონში მდ. ტეხურის სანაპიროზე, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვით, აგებულია სვანეთის ერისთავის ქუჯის მიერ. აღნიშნული ქალაქი უფრო გვიანდელ ბერძნულ წყაროებში მოხსენიებულია არქეოპოლისის („ძველი ქალაქი“) სახელით, რაც ნოქალაქევს ნიშნავს და აქედან წარმოდგება მისი დღევანდელი სახელწოდებაც.

რეგიონში ასევე მრავლად არის ადრექრისტიანული პერიოდის ხუროთმოძღვრების ძეგლები. სამეგრელოს მთავართა დადიანებისეულ სასახლეში დაცულია მართლმადიდებლური სიწმინდეები - მარიამ ღვთისმშობლის კვართი, წმინდა გიორგის მუხლის ძვლის ნაწილი, წმინდა მარინეს მკლავი, ოქროსა და ვერცხლის სასწაულმოქმედი ხატები. მესტიის (სვანეთი) მუზეუმში დაცულია როგორც ადრექრისტიანული, ასევე შუასაუკუნეების ხატები, ოთხთავები, რომლებიც ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს წარმოადგენენ და შესრულებულია ძირითადად ოქროსა და ვერცხლში.

სვანეთის ბუნებითა და ლანდშაფტებით უცხოელი ტურისტების დაინტერესებაზე მიუთითებს იტალიელი მოგზაურის, ფოტოგრაფისა და მხატვრის ვიტორიო სელას (XIX ს.) მიერ გადაღებული სვანური ყოფა-ცხოვრებისა და ლანდშაფტების ამსახველი ფოტოები, რომელთა ორიგინალები, მხატვრის შთამომავალთა მიერ საჩუქრად გადმოცემული, გამოფენილია მესტიის მუზეუმში.

რეგიონს გააჩნია ტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალი, კერძოდ, კოლხეთის ნაციონალური პარკი, მესტიის შესანიშნავი მდებარეობა, ქალაქი ზუგდიდი თავისი ისტორიით, სასახლით, ეკლესიითა და ბევრი სხვა არქიტექტურული და ისტორიული ღირსშესანიშნაობებით. ტურიზმს გააჩნია პოტენციალი გახდეს რეგიონის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. ეს გამოიწვევს სამუშაო ადგილების გაჩენას. ტურიზმის განვითარებისათვის რეგიონში ხელი უნდა შეეწყოს სასტუმროების და რესტორნების ქსელის შექმნას, ასევე, ტურისტული მარშრუტების გახსნას ინდივიდუალური ტურისტებისათვის.

## TOURISM

The nature of Megrelia-Zemo Svaneti is distinguished for its diversity. There is only a seven or eight hours' drive from the regional center Zugdidi to the highest settlement in Europe, Ushguli in Svaneti. From the touristic point of view, the distance between the resort area of the Black Sea and the mountainous Svaneti is quite short. There are favorable climatic conditions, diverse flora and fauna, ancient culture and traditions that date back to the IV-III centuries B.C. and continued their development in the early Christian and later periods as well.



There are numerous architectural, cultural and historical sites of these periods in the region. The oldest important point of interest is a historical fortress city of the III century B.C. on the bank of the Tekhura river in the district of Senaki. According to historical sources, it was built by the Svanetian viceroy, Eristavi Kuji. Its present name Nokalakevi derives from Archeopolis, or a site of an ancient settlement, the term that later Greek sources used to describe the abovementioned city.

There are also a lot of architectural monuments of the early Christian era in the region. In the palace of the Dadianis, the princes of Megrelia, Orthodox holy relics are preserved, such as: the Robe of the Mother of God, a piece of St. George's knee bone, the arm of St. Marina, and miraculous gold and silver icons. Both early Christian and medieval icons and Gospels representing unique artifacts and performed mostly in gold and silver are deposited at the Mestia Museum in Svaneti.

Original photos made by the Italian traveler, photographer and artist of the XIX century, Vittorio Sella and handed over by his descendants as a gift depict the Svanetian way of life and the region's landscape. They are exhibited at the Mestia Museum and point to the interest of foreign tourists in the nature and scenery of Svaneti.

The region has the biggest potential for the development of tourism, to mention a few: the Kolkheti National Park, an excellent location of Mestia, the city of Zugdidi with its history, palaces, churches and many other architectural and historic sites. Tourism has a potential of becoming one of the main directions in the region's course. It will provide new employment opportunities. In order to develop tourism in the region, it is necessary to facilitate the creation of a network of hotels and restaurants and open tourist routes for individual visitors.

## მუზეუმები

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ფუნქციონირებს სამი სახელმწიფო მნიშვნელობის მუზეუმი:

- **ნოქალაქევი** ციხე-ქალაქ არქეოპოლისთან მდებარე მუზეუმი სენაკის რაიონის სოფ. ნოქალაქევში, სადაც ინახება არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული საინტერესო მასალები, როგორც ადგილობრივი წარმოშობის, ასევე უცხოურებიც, მათ შორის IV-VII საუკუნეების ამფორები, ბრინჯაოს სამაჯურები, მძივები, მონეტები; სამარხებში ნაპოვნი ხელოვნების იშვიათი ნიმუშები: ელინისტური კანთარისი, შავლაკიანი კერამიკული სასმისი. აღსანიშნავია ბიზანტიელი იმპერატორის მავრიკიოსის (582-622 წწ) სახელით მოჭრილი 23 ოქროს მონეტის განძი.
- **ზუგდიდის** დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი, სადაც ინახება მსოფლიო მნიშვნელობის სამუზეუმო ექსპონატები და მართლმადიდებლური სიწმინდეები. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი სამეგრელოს სასახლე-კომპლექსშია მოთავსებული (დედოფლის სასახლე, ნიკოსეული სასახლე, მთავრისეული ტაძარი და სასახლესთან არსებული დეკორატიული ბაღი).
- **სვანეთის** ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სადაც ინახება შუასაუკუნეების უნიკალური მართლმადიდებლური ხატები, ბიბლიის უძველესი გამოცემები, ოქროს და ვერცხლის ყდებით შემკობილი .

ზუგდიდის მუზეუმში ინახება უძვირფასესი ქრისტიანული რელიკვია - პატიოსანი სამოსელი (კვართი) ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა. გადმოცემის მიხედვით, ბიზანტიაში ლეონ დიდის (457-474 წწ) ზეობისას მეფესთან დაახლოებული პირები კონსტანტინეპოლიდან პალესტინაში გაემგზავრნენ წმინდა ადგილების მოსალოცად. ერთ-ერთ სახლში მათი ყურადღება საკმევლის სურნელებამ მიიპყრო. კეთილმსახურმა ქალმა სტუმრებს გაუმხილა, რომ იგი იცავდა ძვირფას სიწმინდეს - ღვთისმშობლის სამოსელს, რომლისგანაც მრავალი სასწაული აღესრულებოდა. ყოვლადწმიდა ქალწულმა მიძინების წინ ერთი თავისი შესამოსელი ამ ტომის ებრაელ ქალს აჩუქა და სთხოვა, რომ სიკვდილის წინ ის სხვა ქალწულისათვის გადაებარებინა. ასე გადაეცემოდა თაობებს სიწმინდე ამ ოჯახში.

469 წელს კიდობანში ჩაბრძანებული სიწმინდე პატივით იქნა გადმოსვენებული ვლაქერნაში. კიდობანში ჩააბრძანეს ღვთისმშობლის წმინდა ომოფორი და სარტყლის ნაწილი. დედა ღვთისას პატიოსანი სარტყელი, კვართი და ვლაქერნის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი სხვა სიწმინდეებთან ერთად ღვთის ნებით საქართველოში მოხვდა. პატიოსანი სამოსელი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა, სარტყელის ნაწილი და ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი სამეგრელოს უპირველესი სიწმინდეებად ითვლება. ყოველი წლის 15 ივლისს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კვართის შემოსვლის მსოფლიო დღეს, ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში ტარდება წირვა-ლოცვა და ხდება კვართის გადმობრძანება დადიანების მუზეუმიდან. დღესასწაულზე კვართის სამთხვევად ჩამოდის მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელი მრევლი.





## MUSEUMS

Three museums of state importance function today in Megrelia and Zemo Svaneti:

**Nokalakevi**: a museum near the fortress city of Archeopolis in the village of Nokalakevi, the Senaki region. Interesting works of both local and foreign origin, obtained as a result of archeological excavations, are deposited here, such as amphorae, bronze bracelets, beads and coins dating back IV-VII centuries; rare artifacts found on burial sites: a Hellenistic figure of the cantharis, a black varnished bowl, and a treasure containing twenty-three gold coins minted by the Emperor Maurice (582-622);

**The Zugdidi Historical and Architectural Museum of the Dadiani Palaces** boasts of its exhibits of world importance and sacred Ortodox relics. The museum is located within the Palace Complex of Megrelia along with the Queens Palace, Nikoseuli Palace, and the Palace Gardens;

**The Svaneti Museum of History and Ethnography** where unique medieval Orthodox icons and the oldest publications of the Bible adorned with gold and silver covers are preserved.

The most cherished Christian relic, the Venerable Robe of the Most Holy Mother of God is deposited in the Zugdidi Museum. According to tradition, during the reign of the Byzantine Emperor Leo the Great (457-474), the confidants of the emperor set out from Constantinopole to Palestine to venerate the holy places. In one of the houses, their attention was drawn by the aroma of incense. A maidservant told them that she was the guardian of a valuable relic: the Robe of the Theotokos, which performed many miracles and healings. One month before her Dormition, The Most Holy Virgin bequeathed one of her garments to a pious Jewish maiden, an ancestor of the maidservant, instructing her to leave it to another maiden after her death.gave her robe to one of the women of the maidservant's tribe and asked her to pass it on within the tribe. Thus, the relic was preserved in this family from generation to generation.

In 469, the relic was transferred with honor to Blachernae and deposited in a reliquary along with the Holy Omophorion of the Theotokos and part of her belt. By the will of God, the Venerable Robe, the Miraculous Blachernae Icon of the Mother of God and other sacred relics were eventually transferred to Georgia. They are cherished as the greatest holy treasures of Megrelia. Every year on July 15, on the day of the Entry of the Robe of the Most Holy Theotokos, the Divine Liturgy is served in the Zugdidi Cathedral dedicated to the Blachernae Icon of the Mother of god, and the Robe is transferred in a procession from the Dadiani Palace to the Cathedral. Orthodox believers from around the world arrive here to worship the Venerable Robe.









## ზუგდიდის დადიანების სასახლე

ზუგდიდი სამთავროს პოლიტიკური ცენტრი სავარაუდოდ ლევან I მოღვაწეობის პერიოდში, 1532-1572 წლებში უნდა გამხდარიყო, სწორედ მაშინ როცა სამეგრელოს გაძლიერებული მთავარი ლიხთ-იმერეთის პოლიტიკურ მესვეურობას ცდილობდა. ამ წლებშივე უნდა აეშენებინათ ზუგდიდის მთავარი სასახლე.

დადიანებს სამეგრელოში რამდენიმე რეზიდენცია ჰქონდათ, თუმცა მათ შორის ყველაზე გამორჩეული ზუგდიდისა იყო. დიდ ველსა ზედა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე გოდლიანი წერს ვახუშტი ბატონიშვილი,

ზუგდიდის დედოფლისეული სასახლის არქიტექტორი ედვიგ იაკობის ძე რაისი ყოფილა, რომელიც 1851-1852 წლებში ტიფლისში მეფისნაცვლის კარზე არქიტექტორის და სამოქალაქო კანცელარიის ხელმძღვანელის მოვალეობას ასრულებდა.

ამჟამად სასახლეში მუზეუმია განთავსებული, სადაც დაცულია 44 475 ექსპონატი, მათ შორის ძვ. წ. I ს.-ახ.წ. XIX საუკუნის ოქრომჭედლობის ნიმუშები (ხატები და საეკლესიო დანიშნულების სხვა ნივთები, ნატიფი ხელოვნების ნიმუშები), ანტიკური საბერძნეთისა და ძველი კოლხეთის კულტურის ამსახველი არქეოლოგიური მასალა, ქრისტიანული სიწმინდეების უმნიშვნელოვანესი კოლექცია, ევროპული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები (ბულეს, როკოკოს, ამპირის სტილი), სამეგრელოს მთავართა, საფრანგეთის, რუსეთის, ინგლისის, ესპანეთის საიმპერატორო ოჯახის წევრთა რელიქვიები, XV-XIX საუკუნეების ხელნაწერი წიგნები და სიგელ-გუჯრები, ნაპოლეონ I ბონაპარტესა (6000 ტომი) და დადიანების უნიკალური ბიბლიოთეკა, ევროპისა და აზიის საბრძოლო ხელოვნების ნიმუშები, რუსი „პერედვიჟნიკების“, ფრანგი ბატალისტებისა და ინგლისელი მარინისტების ფერწერული ტილოები, ფრანგული, გერმანული, საქსონური, ჩინური და რუსული გამოყენებითი ხელოვნების იშვიათი ნიმუშები.

## DADIANIS PALACE OF ZUGDIDI

It is supposed that Zugdidi must have become political center of Samtavro in 1532-1572, during the time of Levan I's activity; precisely when the strengthened ruler of Samegrelo was trying to achieve political patronage over Likht-Imereti. The Zugdidi Main Palace must have been built in the same years.

The Dadianis had several residences in Samegrelo; though, the Zugdidi Palace was the most distinguished among them. Vakhushti Batonishvili wrote, "Zugdidi is located on a great field; and there's the capacious Dadiani Palace with many rooms, fenced with the towered wall."

The architect of the Zugdidi Queen's Palace was Edvig Iakobis-dze Rice, who served as the Court Architect and the Head of the Chancellery of Civil Affairs in the Court of the Viceroy in Tiflis in 1851-1852.

Today, a museum is housed in the Palace, where 44 475 exhibits are preserved. Among them: the 1st century B.C. – the 19th century A.D. artifacts of jewelry, such as icons and other items intended for use in church; courtly works of art; archeological materials representing the culture of Ancient Greece and Ancient Colkheti; the most valuable collection of Christian holy relics; works of the Bulle, Rococo, and Imperial styles of Applied Art; art relics of the members of the family of Megrelia's rulers and imperial families of France, Russia, England and Spain; the 15th-19th centuries manuscripts and official documents; the unique libraries of Napoleon I Bonaparte (6 000 volumes) and the Dadianis; weapons of European and Oriental martial arts; paintings by the Russian "Peredvizhniki", French painters of battle scenes and English painters of marine landscapes; and rare artifacts of French, German, Saxon, Chinese, and Russian Applied Art are deposited here.



















### ᲙᲝᲠᲪᲮᲔᲚᲘ

სოფელ კორცხელში დგას ღვთისმშობლის სახელობის გუმბათიანი ეკლესია, აგებული სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის მიერ 1624-39 წლებში. 1815 წელს ეკლესია ნიკოლოზ დადიანმა შეაკეთა. ტაძარი მოხატულია უნიკალური ფრესკებით.

### ᲪᲐᲘᲨᲘ

ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი განლაგებულია ქალაქ ზუგდიდის სამხრეთ-დასავლეთით ათიოდე კილომეტრზე. იგი მდებარეობს კოლხეთის დაბლობთან მომიჯნავე მთების დასაწყისში. ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი XIII საუკუნის ბოლოსა და XIV საუკუნის დასაწყისის ხუროთმოძღვრების პირმშოა, ძირითადად მასში III სამშენებლო პერიოდი განირჩევა. აქვე გვხვდება უფრო ადრეული, კერძოდ, X საუკუნის და უფრო მოგვიანო, - XVII საუკუნის ხუროთმოძღვრების ნიმუშებიც.

### ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲐ

თუ როდის აშენდა წალენჯიხის თავდაპირველი ტაძარი, ძნელი სათქმელია. ამ თემაზე ზუსტი ისტორიული ცნობა არ არსებობს. ხალხური თქმულების მიხედვით, ეკლესია აქ თამარ მეფეს აუშენებია, თუმცა დღევანდელი ნაგებობა X-XI საუკუნეებით თარიღდება. წალენჯიხაში მოიჭედა და ხელახლა შეიმკო ალავერდის სახარება, აქვე ინახებოდა ქეთევან წამებულის პირადი ხატი. ტაძარში დღემდე შემორჩენილია სამეგრელოს მთავართა და დედოფალთა ფრესკული პორტრეტები.

### ᲮᲝᲑᲘ

საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ხობის ტაძარივით მდიდარი სავანე. აქ დაცული იყო: დავით აღმაშენებლის საწინამძღვრო ჯვარი; თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი; მისი დედის ბორდოხან დედოფლის კუთვნილი ხატი.

ტაძარი XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზეა აგებული, ოდიშის ერისთავთ-ერისთავის გიორგი I დადიანის ხანაში. ეკლესიაში საუკუნეების მანძილზე ინახებოდა ქრისტიანული სამყაროს უდიდესი განძი ღვთისმშობლის კვართი, რომელიც ამჟამად დადიანების სასახლეშია გადატანილი.

### ᲭᲐᲥᲕᲘᲜᲯᲘ

სოფელ ჯიხაშკარში დღემდე შემორჩენილია მონუმენტური ხუროთმოძღვრული ანსამბლი ჭაქვინჯის ციხე-სასახლე, რომელიც IV-V საუკენეებშია აგებული. შენობამ საფუძვლიანი გადაკეთება და განახლება XIII-XIV და XVI-XVII საუკენეებში განიცადა. ციტადელი მთის წვერზე დგას, კედლებში ოთხი გრანდიოზული კოლხური კოშკია ჩაშენებული.

### ᲜᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲕᲘ

სოფელ ნოქალაქევში მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე ძველი კოლხეთისა და ლაზთა სამეფოს დედაქალაქი, ციხე-გოჯი იგივე ნოქალაქევი (ბერძნულად „არქეოპოლისი“) დგას. მისი სახელწოდება ეგრისის ერისთავთან ქუჯისთანაა დაკავშირებული, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებში მოღვაწეობდა.

### KORTSKHELI

There is a domed church dedicated to the Theotokos in the Kortskheli village. It was built by the Ruler of Samegrelo, Levan II Dadiani in 1624-1639. In 1815, the church was renovated by Nikoloz Dadiani. The temple is decorated with unique frescoes.

### TSAISHI

The Tsaishi Arhitectural Complex is located about ten kilometers south-west of the city of Zugdidi. It's situated where the mountains, bordering the Colkheti Lowland, begin. The Tsaishi Architectural Complex is the firstborn of the architecture of the end of the 13th century and the beginning of the 14th century. There are mainly three architectural periods traced in it. Here, we come across of architectural monuments of an earlier period, namely, of the 10th century; and of a later period of the 17th century.

### TZALENJIKHA

It is difficult to determine when the original Tzalenjikha Temple was built. There are no exact historical data on this subject. According to tradition, Queen Tamar built this church here, though the existing building is dated 10th-11th centuries. The Alaverdi Gospel was metal-framed and re-adorned with jewelry in Tzalenjikha. Also, an icon belonging to the Great Martyr Ketevan was deposited here. Frescoes, depicting portraits of the rulers and queens of Megrelia are preserved in the temple to this day.

### KHOBI

It is hard to find a lavra in Georgia as rich as the Khobi Cathedral. King David's Abbot's Cross; Queen Tamar's Cross Necklace; and an icon that belonged to her mother, Queen Bordokhan were deposited here.

The temple was built on the verge of the 13th and the 14th centuries, in the time of the Eristavt-Eristavi (the Great Prince) of Odishi, George I Dadiani. The greatest treasure of the Christian world, the Robe of the Theotokos was preserved in this church for centuries; Currently, it has been translated to the Dadiani Palace.

### CHAKVINJI

In the Jikhashkari village, there is a monumental architectural ensemble preserved to this day; it is the Chakvinji Castle built in the 4th-5th centuries. The building went through reconstruction in the 13th-14th centuries and in the 16th-17th centuries. The Citadel stands on the top of a mountain, and there are four grandiose Colchic towers built in its walls.

### NOKALAKEVI

In the Nokalakevi village, on the left bank of the Tekhura River, there is the capital of the Old Kingdom of Colkheti and the Lazis, Tzikhe-Goji or Nokalakevi ("Archeopolis" in Greek). Its name is connected with the Eristavi of Egrisi Kuji's activities in the 4th-3rd centuries B.C.




















# რესტორანი ეგრისი

- კოლხური გარემო
- კუთხის ეთნოგრაფიული სურათი – კოფის სურნელი
- განთქმული მეგრული კარმიდამოს სტილიზებული მოდელი
- დარბაისელი მასპინძლები და უგემრიელესი კერძები

ნებისმიერ მეგრულ ოჯახში სტუმრობა, პატარა დღესასწაულია...
გამოთქმა "სტუმარი ღვთისაა" აქ განსაკუთრებულ რანგშია აყვანილი... მდიდარი კულინარიული ფონდი, გამორჩეული კერძები და სუფრის გაწყობის უნიკალური ხელოვნება, სპეციფიური ინტერიერის მოწყობა, სადაც აუცილებლად ჭარბობს ტრადიციული ელემენტები – შუაცეცხლი, დაბალი "ტაბლა" ბუნებრივი მასალებისგან დამზადებული ღვინის "ხაპები", ზედმიწევნით მოწესრიგებულობა, სიწყნარე და გულშიჩამწვდომი მეგრული სიმღერა - ერთნაირად სასიამოვნო გარემოს უქმნის სტუმარსაც და მასპინძელსაც.
როდესაც ამ "გამოცდილებით" ქმნი რესტორანს-წარმატება გარდაუვალი ხდება...
რესტორნის პოპულარობამ მფლობელებს ახალი იდეებისკენ უბიძგა და ამ ქსელის კუთვნილებაა დღეს აჭარის ულამაზესი რესტორანი "მეგრულ ლაზური".



# Restaurant EGRISI

- Colchic environment
- Ethnographic picture of the region/the fragrance of the way of life
- A stylized model of the famous Mengrelian household;
- Noble hosts and the tastiest dishes











# რეგიონის ეკონომიკა

რეგიონის საფინანსო სისტემაში არსებულმა პოზიტიურმა ტენდენციებმა შესაძლებელი გახადა მძლავრი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. 2006 წელს რეგიონში სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა საინვესტიციო პროექტების ღირებულებამ შეადგინა 60 მილიონი ლარი, ხოლო 2007 წელს - 120 მლნ. ლარი. შესაბამისად, ზუგდიდში 2006 წელს განხორციელდა 17 მილიონი ლარის, ხოლო 2007 წელს 40 მილიონი ლარის სახელმწიფო ინვესტიციები. ქალაქ ფოთში, შესაბამისად, 9 და 37 მლნ.ლარის, ხობის მუნიციპალიტეტში - 6 და 10 მლნ ლარის, მარტვილის მუნიციპალიტეტში - 2.1 და 10 მლნ. ლარის, სენაკის მუნიციპალიტეტში - 14 და 8 მლნ. ლარის, მესტიის მუნიციპალიტეტში - 1.7 და 2.1 მლნ. ლარის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში - 3.9 და 7.1 მლნ. ლარის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში - 1.7 და 3.6 მლნ. ლარის, აბაშის მუნიციპალიტეტში - 1.5 და 4.1 მლნ. ლარის ინვესტიციები.

2006-2007 წლებში რეგიონში განხორციელებული სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების ღირებულებამ 180 მლნ. ლარზე მეტი შეადგინა.



REGION EKONOMY

Positive tendencies in the financial system of the region provide an opportunity for carrying out substantial construction works. The value of the investment projects carried out by the state in the region in 2006 constituted 60 million GEL; and in 2007, it made up 120 million GEL. State investments of 17 million GEL were made in Zugdidi in 2006 and 40 million GEL in 2007. Respectively, investments of 9 and 37 million GEL were made in Poti, 6 and 10 million GEL in Khobi, 2.1 and 10 million GEL in the Martvili municipality, 14 and 8 million GEL in the Senaki municipality, 1.7 and 2.1 million GEL in the Mestia municipality, 3.9 and 7.1 million GEL in the Tzalenjikha municipality, 1.7 and 3.6 million GEL in the Chkhorotzku municipality, and 1.5 and 4.1 million GEL in the Abasha municipality.

The total value of the state investments made in the region in 2006-2007 comprises more than 180 million GEL.







## რეგიონის ტრანსპორტი

### საზღვაო ტრანსპორტი

რეგიონის საზღვაო ტრანსპორტს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომერციული თვალსაზრისით, რადგანაც ის მდებარეობს ევროპის სატრანსპორტო დერეფნის დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე, რომელიც შავი ზღვით, კავკასიონის და კასპიის ზღვით გადის ცენტრალურ აზიაში. რეგიონის ძირითად კომერციულ ცენტრს ფოთის საზღვაო ნავსადგური წარმოადგენს და ძალზე მნიშვნელოვანია მისი დანიშნულება ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებაში. ფოთის საზღვაო ნავსადგური რკინიგზით უკავშირდება ბაქოს, საიდანაც კავშირები მყარდება აზიის ქვეყნებთან.

რეგიონი ევროპას სწორედ ფოთის პორტის მეშვეობით უკავშირდება. მდებარეობს რა რეგიონის სამხრეთ-დასავლეთში, ფოთის საზღვაო ნავსადგურს შემოაქვს ტვირთი ევროპიდან ევროკავშირის ტრანსევროპული ქსელების შავი ზღვის ტერმინალების (ოდესა, ვარნა, ბურგასი, კონსტანცა) და შავი ზღვის რუსეთის პორტების მეშვეობით. როგორც დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის ერთ-ერთ მთავარ პორტს, ფოთს გააჩნია წელიწადში 7 მლნ. ტონა ტვირთბრუნვის შესაძლებლობა და აქვს როგორც საგზაო, ასევე, სარკინიგზო კავშირები. ფოთის პორტში 14 სპეციალიზებული ნავსაყუდელია ნავთობპროდუქტების, სარკინიგზო ვაგონების, კონტეინერების, დიდი რაოდენობით მარცვლეულის, მალფუჭებადი პროდუქტების, სასუქის, ლითონების, მილების და სხვა ტვირთების ჩამოსატვირთად.

### საჰაერო ტრანსპორტი

საჰაერო ტრანსპორტის სისტემის განვითარების მხრივ რეგიონს დიდი პერსპექტივები გააჩნია. აქ ფუნქციონირებდა ზუგდიდისა და ფოთის აეროპორტები, საიდანაც კავშირი მყარდებოდა თბილისთან, სოხუმთან, ქუთაისთან და მესტიასთან. აღნიშნული აეროპორტების აღდგენა ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება რეგიონში ტურიზმისა და, ზოგადად, ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

### რკინიგზა

რკინიგზის ხაზები მხოლოდ მხარის სამეგრელოს ტერიტორიას მოიცავს. სარკინიგზო ხაზების ჯამური სიგრძე 150 კმ-ია და რეგიონის რაიონების (აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, წალენჯიხა) ფარგლებს კვეთს. მთავარი სარკინიგზო კვანძია სენაკი, საიდანაც მიემართება ორი განშტოება - ერთი ფოთის, მეორე კი ზუგდიდი-სოხუმის მიმართულებით.

ბოლო წლებში მწყობრში ჩადგა ფოთი-ილიჩევსკის სარკინიგზო ბორანი. ცოტა ხნის წინათ შესაძლებელი გახდა ფოთის სარკინიგზო მაგისტრალის ყაზახეთთან დაკავშირება.





## REGIONAL TRANSPORTATION

### Sea Transportation

The region's sea transportation is assigned huge commercial importance because of its location on the west-east axis of the transportation corridor of Europe, extending to Central Asia via the Black Sea, the Caucasus and the Caspian Sea. The Poti Sea Port represents the main commercial center in the region and it plays an important role in the development of the Europe-Caucasia-Asia transportation corridor. The Poti corridor is connected with Baku by means of a railway, from where communication is established with the countries of Asia.

The region is connected with Europe by means of the Poti Port located in its south-west part. Load from Europe arrives in the Poti Sea Port via the Black Sea terminals of the Transeuropean network of the European Union: Odessa, Varna, Burgas and Constanza, and the Black Sea ports of Russia. As one of the major ports in West Georgia, Poti has the ability of handling 7 million tons of annual turnover of goods, and it possesses both road and railroad communications. The Poti Sea Port has fourteen specialized harbors for unloading oil products, railroad cars, containers, large amounts of grain, perishable goods, fertilizers, metal, pipes, etc.

### Air Transportation

The region has big prospects on the development of the air transportation system. The airports of Zugdidi and Poti used to provide communication with Tbilisi, Sukhumi, Kutaisi and Mestia. The reconstruction of these airports will be one of the factors facilitating the development of tourism and general infrastructure in the region.

### Railroad

Railroad lines in the region exist only on the territory of Megrelia. The total length of the railroad line is 150 kilometers and it crosses the borders of the regions of Abasha, Senaki, Khobi, Zugdidi and Tzalenjikha. The main railroad junction is Senaki with two branches: one in the direction of Poti and the other in the direction of Zugdidi-Sukhumi. The latter connected Georgia with Russia. This is also the only trunk railroad connecting Armenia with Russia. Today, the line is inoperative. However, the railroad communication between Sukhumi and Russia has been restored and negotiations concerning the revival of the railroad line are in progress between the governments of the two countries.

Since 1858

# კორპორაცია
# ფოთის საზღვაო ნავსადგური

## კარიბჭე კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში

ფოთის საზღვაო ნავსადგური, დღევანდელი მსოფლიოს სინამდვილეში, თავისი ისტორიული, გეოგრაფიული და ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე კავკასიური დერეფნის ერთ–ერთ საკვანძო პუნქტს წარმოადგენს. რიონის შესართავთან ნავსადგურის მშენებლობის აუცილებლობაზე, ჯერ კიდევ მე–19 საუკუნის დასაწყისში ამახვილებდნენ ყურადღებას. 1804 წელს კი ფოთის პორტის მშენებლობის შესახებ საუბარი ოფიციალურად დაიწყო და 1828–1829 წლებში სპეციალისტები რიონის შესართავთან არსებული მიდამოების გამოკვლევას შეუდგნენ.

1858 წელს ფოთი სანავსადგურო ქალაქად გამოცხადდა და სწორედ ამ დროიდან იწყება გარკვეული სამუშაოები ნავსადგურისა და შიდა აუზის შესაქმნელად.

1889 წელს ფოთის ნავსადგურის მშენებლობის ახალი ეტაპი იწყება. პროექტი სამხედრო სამინისტროდან გზათა მიმოსვლის სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა. პროექტის ხორცშესხმასა და პრაქტიკულად განხორციელებას შეუდგა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე. მისი ძალისხმევით 1899 წელს აღნიშნული პროექტი საბოლოოდ დამტკიცდა და დაიწყო მშენებლობა. ასევე ნიკოლაძის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით 1901 წელს დაიწყო ნავსადგურის ძირითადი ნაგებობების მშენებლობა, რომელიც 1905–1907 წლებში დასრულდა. თუმცა ნიკოლაძის დროიდან მოყოლებული ნავსადგურის რეკონსტრუქცია დღემდე გრძელდება.



## კავკასიური დერეფნის საკვანძო პუნქტი

### ახალი აკვატორია

ფოთის საზღვაო ნავსადგურის ექსტენსიური განვითარების გეგმა გლობალურ პროექტებს ითვალისწინებს. დაგეგმილია მდ. რიონის გადაკეტვა და ახალი აკვატორიის შექმნა. ნავსადგურის სამხრეთ ბოლოს რეაბილიტაციისათვის ჰოლანდიის მთავრობის, ევროგაერთიანებისა და შავი ზღვის ბანკის მიერ გამოყოფილია თანხა - 26 მლნ ევრო გრანტის სახით. აგრეთვე მიმდინარეობს მუშაობა ნავსადგურის ექსტენსიური განვითარების ზონაში ქარის გენერატორების დასამონტაჟებლად.

### ევროპის უახლოესი კარიბჭე

ფოთის ნავსადგურის მოდერნიზაციის პროექტში აქტიურადაა ჩართული ევროკავშირი და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნები. მათ საუცხოოდ აქვთ გაცნობიერებული ფოთის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ნავსადგურის სამომავლო როლი საერთაშორისო ტვირთგადაზიდვებში.

2003 წლის 26 აგვისტოს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურმა მიიღო ახალი ვერსიის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისობის ხარისხის მართვის სერთიფიკატი ISO 9001-2000 (გემების ჩატვირთვა-გადმოტვირთვა, ტვირთების შენახვა, ნავსადგურში გემების მომსახურება, გემის ეკიპაჟისა და ნავსადგურში მგზავრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა).

# POTI SEA PORT
## CORPORATION

CROSSROADS OF THE CAUCASIAN CORRIDOR

## GATEWAY TO CAUCASUS AND CENTRAL ASIA

Port of Poti with its historical and geographical location represents a crossroads of the Caucasian corridor. From the beginning of the 19-th century leading specialists stressed the necessity of building a major port at the mouth of the Rioni. In 1804 talks on the port construction officially started and in 1928-1829 specialists initiated investigation of the surroundings at the mouth of the river Rioni..

In 1858 Poti was declared sea port and since that time some works have been conducted for the port and inner basin construction.

Since 1889 a new stage of the port construction starts. The project of the port construction from the Military Department went under Road Department. In September of the same year Colonel Mayer submitted a new design of the port extension and reconstruction and later the other design was elaborated by Professor N. Voznesenski, a Senior Engineer of the Commercial Port Arrangement Commission. And this was the project Niko Nikoladze, outstanding public figure started to carry out. With his support the mentioned design was finally adopted in 1899 and construction commenced. Nikoladze initiated and personally participated in building of the port main constructions, which was completed in 1905-1907. Since that time the port reconstruction has been ongoing.

## NEW AQUATORIA

Poti Sea Port extensive development layout envisages global projects. Blocking of the river Rioni and creation of a new water area is planned. For rehabilitation of the south breakwater, the Dutch government, EU and the Black Sea bank allocated 26 million EURO. Works for installation of wind generator in the port extensive development area are ongoing.

## EUROPE'S NEWEST GATEWAY

EU and other foreign countries are actively involved in the port modernization process. They are well aware of Poti as a future port role in international carriage.

The port is equipped with modern cargo handling facilities and in line with the European standards. The port has open and closed warehouses, means of automobile and railway transportation, sorting substations and supportive constructions.

On August 26, 2003 Sea Port of Poti obtained "ISO 9001:2000 Quality Management System Certificate" (loading/unloading, storage, vessel service in the port, vessel, crew and passenger safety).













# სვანეთი








# SVANETI


GEORGIA





**„ის, რაც საქართველოში შეუქმნია ბუნების დიდ მხატვარს; ის, რაც უნიკალური მოდელებითაა განხორციელებული, განუმეორებელია და შემოქმედს აღარ ძალუძს მათი მსგავსის ხელახლა შექმნა“**

***ვიქტორ კერნბახი***

**“ლომთა ხეობა” და “ზურგის კარი”**

ადამიანს ამ ფერთა კონტრასტებმა შთააგონა მიწიერი ხელოვნების ზღაპრულ სამყაროსა და ბუნებასთან ურთიერთობაში სრულყოფილების მიღწევა.

ამ სრულყოფილების მოდელია მყინვართა მწვერვალებისა და სვანურ მურყვამთა ათასწლოვანი თანაარსებობა მაღალი მთის გრეხილებით ჩაკეტილ ხეობაში, რომელსაც მწერალმა „ლომთა ხეობა“ უწოდა და სიმბოლოდ არის კიდეც გამოსახული სვანი კაცის საფიცარ დროშა „ლემზე“. ამ ლეგენდად ქცეული ბუნების მკვიდრთ უმაღლეს ჯილდოდ ოქროს სიმრავლე და ოქროს მოპოვების საიდუმლოება, ხის მკვეთელობის მხატვრული ნიჭი და სილამაზის შეგრძნების უნარი, ბუნებით კი - ვაჟკაცობა, სილაღე და პატიოსნება ერგოთ. იგი საუკუნეებს ედგა ამაყად, მკაცრად, შეუვალი და გაუტეხელი. არ შეუშინდა არც ზამთრის სუსხს, არც წამლეკავი ზვავების შიშს, არც მტერს და არც შემოქნეულ ხმალს. საუკუნეებს ედგა სვანეთი თავაწეული, ხალხმრავალი, სულმაგარი, ხელხვავიანი, საქართველოს „არწივის კუთხედ“ და „ზურგის კარად“, რომლის მიწას, მამა-პაპათა სისხლითა და ოფლით გაჟღენთილს, წინაპართა საამაყო გარჯის ბეჭედიც აზის.

**What the Great Artificer of Nature has created in Georgia and what is realized in inimitable forms is unique; and no artist is able to re-create it.**

***Viktor Kernbach***

**„The Ravine of Lions" and "the Back Door"**

The contrast of colors between the fabulous world of earthly art and nature inspired a human being to achieve perfection in his relations with them.

An example of such perfection is a thousand-years coexistence of glacier peaks and Svanetian towers in the valley enclosed in the bends of high mountains, which the writer called "the Ravine of Lions". The ravine is even depicted on the Svanetian banner "Lemi"/Lion; and the Svans take an oath under this banner. The inhabitants of this legendary place were endowed with abundance of gold and secrets of its mining; an artistic talent for wood engraving and a gift to perceive beauty; and they were granted courage, valor and honesty. They have carried their pride, austerity, firmness and steadfastness through the centuries. They did not adjust themselves to winter frosts or the fear of all-demolishing avalanches; neither did they fear the enemy or a dagger raised against them. Svaneti has withstood time with its head lifted high as a populous and generous "Land of Eagles" and "the Back Door of Georgia", saturated with the blood and sweat of the ancestors and bearing the seal of their honorable labors.

## მარადიული თოვლის სამყარო

კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთას, მდ. ენგურისა და მდ. ცხენისწყლის აუზს შეფარვია ქართული ეთნოსის უძველესი შტო - სვანები, რომელთაც ისტორიული წყაროები ქვემო და ზემო სვანებად ასახელებენ. ქვემო სვანეთი ზღვის დონიდან 600-1500 მეტრზე მდ. ცხენისწყლის ხეობაში მდებარეობს და სადადიანო სვანეთის სახელითაა ცნობილი. ზემო სვანეთი ზღვის დონიდან 700-2000 მეტრზე ენგურის ხეობაში მდებარეობს და იყოფა ორ ნაწილად: ბალსზემო, ანუ უბატონო სვანეთი, რომლის თავისუფლებას, გადმოცემის თანახმად, მულახელთა ვაჟკაცობა და ლატალის სიმდიდრე განაპირობებდა და ბალსქვემო, ანუ საბატონო სვანეთი, რომელსაც დადეშქელიანები განაგებდნენ.

ზემო სვანეთშია ევროპაში უმაღლესი დასახლება - უშგულის თემი, რომელიც 2250 მეტრზეა ზღვის დონიდან. ყოველი მხრიდან მთაგრეხილებით შემოზღუდული სვანეთი სრულიად მიუვალია მთების სიმაღლის, ფიქალი კლდეებისა და მარადიული თოვლის გამო. იგი ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებით ბარს, ხოლო საუღელტეხილო გზებით ჩრდილოეთ კავკასიას უკავშირდება.



## LAND OF ETERNAL SNOW

The oldest Georgian ethnicity, the Svans have found their abode in the basins of the Enguri and Tskhenistzkali rivers on the southern slope of the main range of the Caucasus. They are mentioned as the Zemo/Upper and Kvemo/Lower Svans in historical sources. Zemo Svaneti is located in the valley of the Tskhenistzkali River at 600-1 500 meters above sea level and is known as Sadadiano Svaneti. Zemo Svaneti is located in the valley of the Enguri River at 700-2 000 meters above sea level and consisted of two parts: the area above Bal free from the rule of masters and the territories below Bal under the lordship of the Dadeshkelianis. According to tradition, the former owed its freedom to the bravery of the Mulakhels and the wealth of Latali.

The highest settlement in Europe, the Ushguli community is located in Zemo Svaneti at 2 250 meters above sea level. Bordered by mountain ridges from all sides, Svaneti is practically unreachable because of the high mountains, slate rocks and eternal snow. It is connected with the lowland by way of the valleys of the rivers Enguri and Tskhenistzkali, and with North Caucasia by means of mountain range paths.



## მიწის კარნახით

მცირემიწიან სვანეთში, მესაქონლეობის გვერდით, წამყვან დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა და გარკვეული განვითარების დონესაც მიაღწია. თაობიდან თაობისათვის გადაცემული სვანი მეურნის გამოცდილება მიუთითებდა მიწის თითოეული ნაკვეთის ნიადაგობრივ თავისებურებაზე, ნიადაგის ხვნის, სათესლე მასალის შერჩევის, თესლბრუნვის, მარგვლის ემპირიულ გამოცდილებაზე, რაც მოსავლის ზრდას ემსახურება. ამას ემატება ტრადიციული წესებიც: ხვნის დაწყების წინ „ლემზირის" - პატარა შესალოცი სეფისკვერების - ღმერთისათვის ნახნავ-ნათესის ბარაქიანობის შეთხოვნა.

სვანეთში ითესებოდა ხორბალი, ქერი, ფეტვი, სიმინდი, ჭვავი. გავრცელებული იყო ადგილობრივი პურის ჯიში. პარკოსანი კულტურებიდან მოდიოდა ლობიო, მუხუდო, ცერცვი, ოსპი. XX საუკუნეში ძირითადად ითესებოდა კარტოფილი. უძველესი დროიდან იყო განვითარებული კანაფის წარმოება. მისგან ამზადებდნენ ძაფს, ქსოვდნენ ტილოს, კანაფის ბოჭკოსგან მზადდებოდა თოკები, მარცვლიდან - ზეთი. ქერისა და ჭვავისგან ხდიდნენ არაყს.

მიწათმოქმედებაში გამოიყენებოდა თოხი, ცელი, ნამგალი, კევრი, გუთანი - „ღენწუიში". საპალნე ტრანსპორტი და მარხილი სვანეთში აუცილებელი საშუალებაა ტვირთის გადასაზიდად, შეშის მოსატანად.



## AS IT WAS PROMPTED BY THE LAND…

Agriculture is a leading activity along with livestock breeding and it even reached a certain level of development in Svaneti where cultivable land is sparse. The knowledge through experience of a Svan farmer handed down from generation to generation contains information about the peculiarities of soil of each plot of land, about proper plowing, choosing of right material, crop rotation, weeding, etc. Traditional customs are added to all of this as well: before plowing begins, they say a "lemzuri", a short prayer to the Sepiskveri gods for the fertility of crop.

They sow wheat, barley, millet, corn and rye here. There are local species of wheat, too. Among the legumes, beans, peas, horse beans and lentil are cultivated. In the XX century basically potatoes were cultivated. Production of hemp has been developed since ancient times. It was used to manufacture thread and knit canvas. Ropes were made from hemp fiber and oil was produced from hemp seeds. Barley and rye were used to distill moonshine.

A hoe, a scythe, a sickle, a threshing board and a plow called "ghentzuishi" are used in agriculture. Pack transport and a sledge are necessary means of transportation of loads and carrying firewood in Svaneti.







## ოჯახის მარჩენალი

სვანეთის ბუნებრივი გარემო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მესაქონლეობის განვითარებისათვის. მსხვილფეხა მესაქონლეობა სვანეთის მეურნეობის უმთავრესი ტრადიციული დარგია. საუკუნეების მანძილზე მოშენდა საქონლის ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც შეეგუენ ადგილობრივ მაღალმთიან პირობებს და მაღალი ცხიმიანობით გამოირჩეოდნენ. ამასთან, აქ გავრცელებას პოულობდა დიდტანიანი ყარაჩაული და ბალყარული საქონელი. საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, სვანეთში ძროხა ფულადი საცვლელი ღირებულების ექვივალენტს - მარცვლეულის, ყანის, სათიბი მინდვრის საფასურს წარმოადგენდა. დიდი ყურადღება ექცეოდა მეწველი საქონლის მოშენებას და ოჯახის შეძლებასაც სწორედ მისი რაოდენობით განსაზღვრავდნენ.

მესაქონლეობის პროდუქტებიდან განსაკუთრებით ფასობს რძის პროდუქტები, რომლის დამზადება მრავალსაუკუნოვან ხალხურ ტრადიციებს ემყარება. რძისგან ამზადებენ ყველს (თაშ), სულგუნს, საზამთროდ დამარილებულ გადაზელილ ყველს (კაზალ), კარაქს (ლეცმი), მაწონს (მარწვენ), ნადუღს. ასევე - ხაჭაპურს (ქუთ), ფეტვის ან სიმინდის ფქვილს ყველში აზელილს (ჭიშვდარ-ჭიშდარ), ყველი მოხარშულ ფქვილთან (შუშა ელარჯი) და სხვა. სვანეთში ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ხორცის პროდუქტების დამზადებისა და კონსერვირების მრავალფეროვანი ხალხური წესები.

განვითარებული იყო ტყავის დამუშავება. კარგად დამუშავებული ტყავისაგან მზადდებოდა სხვადასხვა სახის ნაწარმი: მოკლე ქურქები, ფეხსაცმელ-ქალამანი, ცხენისა და ხარის აღკაზმულობა, გუდა, მათრახი და სხვა. საქონლის რქისაგან ამზადებდნენ ცხენის ბორკილებს, ხანჯლის ტარებს, ყანწებს, კოვზებს და ა.შ. ცხვრის მატყლი გამოიყენებოდა შინა საფეიქრო წარმოებაში: იქსოვებოდა მაღალი ხარისხის შალი, რომელსაც ხმარობდნენ საჩოხედ, საშარვლედ, პაჭიჭებად, თელავდნენ ნაბდებს, ნაბდის ქუდებს, წინდებს.



## FAMILY BREADWINNER

The natural environment of Svaneti created favorable conditions for the development of livestock breeding. It is the main traditional branch of the economy of Svaneti. Local breeds, used to the mountainous conditions and notable for their high fat content, have been reared for centuries. In addition to that, the large Karachai and Balkar breeds are very popular here. Like other regions of Georgia, in Svaneti a cow equaled money in value; they traded it for grain, arable land, hayfield. Considerable attention was paid to the breeding of milk cattle, and the financial situation of a family was also evaluated in accordance with the number of cattle.

Dairy is especially valuable among livestock breeding products. Its production is based on centuries-old national traditions. They produce “tash” cheese, sulguni, “kazal”: a type of cheese salted and worked up for winter, butter “letzmi”, matzoni, nadughi, as well as khachapuri “kut”, millet flour or corn meal mixed with cheese and calles “chivshdar” or “chishdar”, cheese boiled with flour: “shusha elarji”, etc. Diverse authentic ways of meat production and preservation were also widespread in Svaneti.

Leather production was highly developed, too. Different articles were made from well treated leather: short sheepskin coats, shoes and bast sandals, horse and ox harnesses, leather sacks called “guda”, lashes, etc. Horse fetters, sword handles, drinking vessels, spoons, etc. were made from animal horns. Sheep wool was used in home weaving industry: high quality wool was knitted and used for production of Circassian coats, pants, “patchitchis”: woolen or leather piece of fabric worn on shanks. Felt cloaks and hats, mittens, etc. were fulled. Authentic practices of Svan livestock breeding and the role of sheep wool in the local economy and household activities point to the antiquity and traditional character of this branch.





## მურყვამები - სახლი ციხე-სიმაგრე

მესაქონლეობის განსაკუთრებულმა სამეურნეო ღირებულებამ და გეოგრაფიულმა გარემომ გარკვეული როლი ითამაშა სვანური საცხოვრებლის ჩამოყალიბებაში, რომლის ინტერიერი ზედმიწევნითაა შეხამებული სამეურნეო მოთხოვნილებებთან. სვანური სახლი („ქორ“) ქვის ოთხკუთხა ორსართულიანი შენობაა, რომლის პირველი სართული („მაჩუბ“) ორ ნაწილადაა გაყოფილი ფიცრის ტიხრით („ლეჭვინდერი“). ერთი ნაწილი კერიით ოჯახის საცხოვრებელია, მეორე კი საქონლის სადგომს წარმოადგენს. „ქორ“-ის მეორე სართული („დარბაზ“) ზაფხულობით საცხოვრებლად გამოიყენება, ხოლო ზამთარში - პირუტყვის საკვებისა და საოჯახო მარაგის შესანახად.

სვანურ სახლს მიშენებული ჰქონდა 4-5-სართულიანი კოშკი „მურყვამ“, თავისი დუროებით („შდურ“) და სათოფურებით. სვანური კოშკების არქიტექტურას ანალოგი არ მოეპოვება კავკასიაში. მას უმთავრესად ყოფითი, საბრძოლო და, როგორც ბოლოდროინდელი კვლევებით ჩანს, ზვავებისგან თავდაცვის ფუნქციაც აქვს. ეს უკანასკნელი დაადასტურა 1987 წლის ტრაგედიამ, როდესაც 46-დღიანმა განუწყვეტელმა თოვამ, დიდთოვლობამ და არნახულმა ზვავებმა დაიტანეს სახლები, სოფლები. მთლიანად დაინგრა სოფ. ჟამუში, გადარჩა მხოლოდ ნავერიანების კოშკი. ამ სტიქიურ უბედურებას მოყვა მასობრივი მიგრაცია. ამიტომაც მღერიან სვანეთში: „მიგვატოვებენ? არა მგონია; კოშკმა კოშკს გადაუძახა“. ათასწლეულებს უძლებდა სვანური კოშკი და მისი მკვიდრნიც ამ კოშკივით ურყევად იდგნენ სვანეთის სადარაჯოზე. „ნავერიანებს კოშკი უდგათ ცისა და მთის კაბადონზე, თეთრი კოშკი მაგარია, სვანეთი არ დაილევა“.



## MURKVAMI FORTRESS HOUSES

The special economic value of livestock breeding and the geographical environment have played a certain role in the formation of a Svanetian dwelling house whose interior is thoroughly adjusted to the demands of a household.  A Svan house called “kor” is a two story quadrangular building.  Its first floor “machub” id divided in two parts with a plank partition “letchvinderi”.  One part with a fireplace is the living quarters of the family and the second part represents a box stall  the first floor is called “darbaz” and is used for dwelling in summer and for storing cattle food and household supplies.

A four or five story castle “murkvam” with holes in its sides for firing guns was attached to a Svan house.  There is no architectural analogue of Svan castles in the Caucasus.  They mainly serve residential and defensive purposes, and as the latest researches show, they protect from avalanches.  The latter was proved by the tragedy of 1987 when, as a result of 46 days of excessive snowing, an avalanche swept houses and entire villages. The village of Zhamushi was completely destroyed, only the castle of the Naverianis survived.  This natural disaster was followed by mass migration.  That is why they sing in Svaneti, “Will they abandon us?  I don’t think so, cried one castle to another.”  A Svanetian castle has withstood centuries; and its inhabitants, too, stood like castles guarding Svaneti.  “The Naverianis castle stands reaching the border of the sky and the mountains. The white castle is strong and Svaneti will never perish.”









## საკრალური სვანეთი

სვანებმა ისტორიის ქარ-ცეცხლიან დღეებს უვნებლად გამოატარეს თავიანთი რწმენა, საეკლესიო საუფლო, უნიკალური ფერწერისა და მხატვრობის ნიმუშები, ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ხატები, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი აზარფეშები და ტყავზე დაწერილი საეკლესიო წიგნები. საქართველოს არცერთ კუთხეს არ შემორჩენია ამდენი ეკლესია: უშგულში 7 ეკლესიაა, კალაში - 8, მათ შორის ცნობილი კვირიკეს ეკლესია, ჭუბერში - 9, მულახში - 11, ადიშში - 9 ეკლესია და ა.შ. ქრისტიანული სამლოცველოების არსებობა სვანეთში, ერთი მხრივ, თვით ქრისტიანული სარწმუნოების ღრმა ფესვებზე მიუთითებს, მეორე მხრივ კი, ადამიანებში მორალის სიწმინდის, ხასიათის სიმტკიცის გაძლიერებას უწყობდა ხელს, ამკვიდრებდა ურთიერთსიყვარულს, ნათესაობის სიმყარეს, ერთგულებას. ამავდროულად, სვანი მტკიცედ იდგა მამა-პაპურ ტრადიციებზე, რაც სახალხო დღესასწაულებსა და საოჯახო რიტუალურ დღეობებზე ვლინდება: აკეთებს რიტუალურ თაფლის სანთელს, აცხობს სეფისკვერს „ლემზირს“, კლავს საკლავს და გამოქვს ნათავარი რახი.

სვანების სულიერი კულტურა ვლინდება ტრადიციულ სვანურ სიმღერებსა და ფერხულებში. სვანური სიმღერა სიძლიერის, ვაჟკაცობის, სიცოცხლის საგალობელია, ფერხულები კი აღიქმება როგორც სიმტკიცისა და ერთიანობის სიმბოლო („ლილე“ - მზის საგალობელი, „ბეთქილი“, „დედეშ-დედეშ მირანგულა“, „თამარ დედფალ“ და სხვა). სვანური სიმღერები არის საგმირო, ისტორიული, ლაშქრული, სანადირო ხასიათის, რომელთაც ასრულებენ მუსიკალური ინსტრუმენტის თანხლებით. სვანების არცერთი წეს-ჩვეულება არ სრულდება სიმღერის გარეშე.





## SACRAL SVANETI

The Svans have successfully carried through the calamities of history their faith, church traditions, unique artifacts, icons with golden and silver ornaments, silver bowls embellished with precious stones and religious books written on leather. There is no other region in Georgia with so many survived churches: there are seven churches in Ushguli, eight in Kala, including the famous Kvirike Ghurch, nine in Tchuberi, eleven in Mulakhi, nine in Adishi, etc. The existence of Christian churches in Svaneti, on the one hand, points to the deep roots of Christianity here and on the other hand, it sustained the moral, purity and strength of mind of people, established mutual love, firmness of bonds and loyalty. At the same time, the Svans have always strictly observed ancestral traditions; it is expressed in national festivals and ritual family festivities: they make bee wax candles, bake prosphora called "sebiaskver", sacrifice animals and distribute ritual vodka "rakhi".

Spiritual culture of the Svans is reflected in traditional Svan songs and round dances. A Svan song is a symbol of strength, courage, it is a code of life, and round dances are considered a symbol of firmness and unity. Among these songs and dances we should mention the hymn to the sun "Lile", "Betkili", "Dedesh-Dedesh Mirangula", "Tamar Dedpal" and others. Svan songs have a heroic, historic, martial and hunting character. They are performed to the accompaniment of musical instruments. No Svan ritual proceeds without a song.











## მთის სამართალი

ტრადიციულ სისტემაში სპეციფიკური ადგილი უჭირავს ჩვეულებით სამართალს, რომელშიც სამართლებრივი ნორმებია დაცული. მორალს საზოგადოებაში განსაზღვრავდა ვაჟკაცობის, პირიანობისა და თავისუფლების ფასი. ბილწსიტყვაობა სვანისათვის მიუღებელია, უფროსისადმი პატივისცემა ტრადიციითაა უკვდავყოფილი. სვანური ჩვეულებითი სამართალი ხატზე დაფიცებას ეყრდნობოდა. იგი კრძალავდა ქურდობას, გამოძალვას, ოჯახის დანგრევას და ა.შ. საზოგადოება ერიდებოდა ტრადიციებთან დაპირისპირებას, რის გამოც ქურდობა დიდ სირცხვილად ითვლებოდა და იშვიათი მოვლენაც იყო. ჩვეულებითი სამართლის სასამართლო პროცესს ხელმძღვანელობდა მსაჯულ-მედიატორი (მორვარ). მორვარად ყოფნა დიდ პატივად ითვლებოდა და სოფელში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. სვანებში სამართლიანობის დაცვასთან მჭიდრო კავშირშია ტრადიციით დადგენილი ნდობისა და რწმენის უზენაესობა, მისით იზომება ადამიანის ზნეობრივი სტატუსი.

## JUSTICE OF THE MOUNTAINS

Customary law with the observation of legal norms has a specific role in the system of traditions. The moral of a community was determined by courage, ability to keep one's word and freedom. Swearing is unacceptable for the Svans and respect for the elders is an undying tradition here. The Svan customary law was based on vowing an oath at an icon. Theft, racket, breaking up a family, etc. were prohibited. Society evaded opposing its traditions and as a result, theft was considered a shame and was very rare. A common court procedure of customary law was led by a lawyer/mediator "morvar". It was a big honor to be a "morvar" who was highly respected in the village. The superiority of trust and faith, established in accordance with traditions, is closely connected with the observance of justice. It determines a person's moral status.

## „ოქროს ვერძი“ და სვანეთის საგანძური

სვანეთში მაღალ დონეზე იყო განვითარებული ხელოსნობა. სვანები ცნობილნი იყვნენ, როგორც ლითონის დამუშავების შესანიშნავი ოსტატები, რასაც ხელი შეუწყო მდიდარმა წიაღისეულმა საბადოებმა: ოქრო, რკინა, სპილენძი, ტყვია და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სვანური ოქრომჭედლობის ნიმუშები: ხატები, ოქროსა და ვერცხლის სამკაულები (საყურეები, ბეჭდები, ქამრის ბალთები, „ჩაფრასტოლი“ და სხვა). ოქრომჭედლობა გარკვეული გვარების ოსტატობას შეადგენდა და მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე. ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ცნობილია, რომ სვანეთში ოქრომჭედლობას ქალებიც ეწეოდნენ.

უძველესი ცნობებით, აია- კოლხეთის სიმდიდრე და „ოქროს ვერძი“ სვანებთანაა დაკავშირებული. ამაზე ბერძენი ავტორებიც მიუთითებენ: სტრაბონი (ქრისტეშობიდან 64წ.) ოქროს საწმისიან ვერძს სვანეთს მიაკუთვნებს. პოლინიუსის (23-79 წწ.) ცნობით, აიეტის შთამომავალმა სავლაკემ მრავალი ოქრო და ვერცხლი მოიპოვა სვანთა ტომში - ოქროს საწმისით განთქმულ სამეფოში.

დასავლეთ საქართველოში ოქროთი მდიდარი მარტო სვანეთია. თვითნაბად ოქროს ბოლო დრომდე დახვრეტილი ვარცლებით, უფრო ადრე კი ცხვრის ტყავებით მოიპოვებდნენ სოფ. იელის მიდამოებში. ეთნოგრაფიული მონაცემებით, სოფ. იელში ოქროს მოპოვების მეურნეობა გვიანი შემოდგომიდან გაზაფხულამდე გრძელდებოდა: გადაკეტავდნენ მდ. ენგურს, რომელიც ამ ადგილებში ვიწრო კალაპოტში გადის და ვარცლებით ცრიდნენ მდინარის ქვიშას. ერთ სეზონზე 5-7 გრამ ოქროს მოიპოვებდნენ. ეს ისეთი მძიმე საქმიანობა იყო, რომ სვანეთში ასეთი გამოთქმაცაა გავრცელებული: „იელში კაცი სიბერემდე ვერ აღწევს“-ო.

ოქროს თემასთანაა დაკავშირებული სვანური ზეპირსიტყვიერებაც: ლეჟხვარას მთაზე მიწისქვეშა მთის სალოცავია, სადაც ოქროს ჯაჭვით ოქროს ვერძია მიბმული. სოფ. ჭუბერში, მთის ფერდობზე ოქროთი სავსე სასახლეა, ხოლო ენგურის წყალს სათავესთან ოქროს ქვიშა ჩამოაქვს...

## THEGOLDEN RAM AND THE TREASURY OF SVANETI

Craftsmanship was highly developed in Svaneti. The Svans were reputed to be excellent masters of metalwork and rich mineral deposits of gold, iron, copper, lead, etc. certainly contributed to their being such. Artifacts of Svanetian goldsmithery, such as icons, gold and silver jewelry: earrings, rings, belt buckles, "chaprastoli" are noteworthy. Goldsmithery was the craft of particular clans and it was handed down from generation to generation. Ethnographic literature shows that women also practiced goldsmithery.

According to the oldest sources, the wealth of the Colchis and "the Golden Ram" are connected with the Svans. This theory is supported by Greek authors: Strabo (64 B.C.) attributes the ram with the golden fleece to Svaneti; according to Paulinius, Salvake, a descendant of Aeetes, collected a lot of gold and silver from the tribe of the Svans in the kingdom famous for golden fleeces.

Only Svaneti is rich in gold in West Georgia. Gold nuggets were gathered with fleeces in ancient times; and up until recently, the same was done with sieves in the village of Lile. According to ethnographic data, excavation of gold in the village of Lile took place from late fall through spring: they blocked the Enguri River with narrow riverbeds and sieve the sand. In a season, they usually gathered five to seven grams of gold each. It was such a hard labor that there was a saying in Svaneti: "They all die young in Leli."

Svan verbal art is also connected with the theme of gold. There are legends about an underground chapel within the mountain of Lezhkhvara where a ram is chained with golden chain; or, a palace full of gold on a mountain slope in the village of Tchuberi; or, about the Enguri River flowing with gold sand…








GEORGIA

# აჭარა








# ADJARA

# ბათუმის ნავთობის ტერმინალი
# BATUMI OIL TERMINAL



# ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი















As we grow the world gets smaller...
TAV
DUTY FREE
ბათუმის საერთაშორისო

# BATUMI INTERNATIONAL AIRPORT



ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი "ტავ აეროპორტების ჰოლდინგის" მეორე პროექტია საქართველოში. იგი თურქეთისა და საქართველოს წარმატებული ურთიერთობის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია. თანამედროვე სტანდარტების ყველა მოთხოვნით აგებული აეროპორტი ემსახურება საქართველოსა და თურქეთის როგორც საერთაშორისო, ისე ლოკალურ რეისებს. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი ახალი ასაფრენი ბილიკებით, ბაქნითა და ტერმინალის შენობით 2007 წლის მაისში ამოქმედდა და მგზავრებს მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას გამგზავრების შესაძლებლობას სთავაზობს.

მგზავრებს ემსახურება 6 სარეგისტრაციო და 4 საპასპორტო კონტროლის პუნქტი.

აეროპორტი ყველა იმ თანამედროვე საშუალებას ფლობს, რაც უზრუნველყოფს მგზავრთა მაქსიმალურ კომფორტს აეროპორტში ყოფნის ნებისმიერ საფეხურზე.

ბათუმის აეროპორტში თბილისის მსგავსად მოქმედებს კომპანიები **BTA** და **ATЬ**. მგზავრებს, ვისაც სურს მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნოს თავი გამგზავრებამდე, ბათუმის აეროპორტში ასევე შეუძლიათ ისარგებლონ **CIP** მომსახურებით.

Batumi International Airport is the second project implemented by TAV Airports Holding in Georgia. This airport, built in full compliance with all the requirements of modern standards, serves both international and domestic flights. Batumi International Airport and its new runway, taxiway, apron and the terminal building started functioning in May, 2007. Batumi International Airport aims to serve both international and domestic flights of both Georgia and Turkey, thus offering passengers the possibility to reach any destination on the globe easily and at desired prices. Batumi International Airport has 6 check-in desks and 4 passport control cabins which provide services to the passengers.

Different types of restaurants and bars look after passengers' comfort, meeting their differing tastes. In Tbilisi, **BTA** and **ATЬ** offer services in Batumi International Airport. Passengers looking for exclusive comfort in their pre-flight hours are given the "primeclass" **CIP** Services.





Email: fids.bus@tav.aero
tel: +995 222 351 01   fax: +995 222 351 00



# ბათუმის საზღვაო ნავსადგური

შპს **ბათუმის საზღვაო ნავსადგური** გარდა ნავთობის ტერმინალისა, შეიცავს კიდევ 4 ტერმინალს: საკონტეინერო ტერმინალს, სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელს, მშრალი ტვირთის ტერმინალსა და სამგზავრო ტერმინალს.

წარმატებული ინვესტირების შემდეგ, **გრინოუქ ჯგუფმა**, საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდის მიზნით, გადაწყვიტა უცხოელი ინვესტორების მოზიდვა. აქციონერებს შორის არიან: საფრანგეთის ბანკი BNP Paribas, ასევე დიდი ბრიტანეთის კომპანია Thames River Capital და შვეიცარიული  ENR Russia Invest.

2006 წლის დეკემბერში **გრინოუქმა** და მისმა პარტნიორებმა სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობა დაამყარეს **ყაზტრანსოილთან**, რომელიც ყაზახეთის სახელმწიფო ნავთობკომპანიის **ყაზმუნაიგაზის** ფილიალს წარმოადგენს

2007 წლის თებერვალში **გრინოუქ ჯგუფს** აქციონერის სახით შეუერთდა შვედური კომპანია Addax & Oryx Group (AOG). აღნიშნული ჯგუფი კასპიის რეგიონში 2003 წელს გამოჩნდა და მის პროფილს ნავთობის წარმოება წარმოადგენს.

2008 წლის თებერვალში **გრინოუქ ჰოლდინგმა** და მისმა პარტნიორებმა **ბათუმის საზღვაო ნავსადგური** და **ბათუმის ნავთობის ტერმინალი ყაზმუნაიგაზს** მიჰყიდეს. ეს გამომდინარეობდა იმ სტრატეგიული ალიანსიდან, რომელიც **ბათუმის ნავთობის ტერმინალსა** და **ყაზმუნაიგაზს** შორის 2006 წელს დამყარდა.

ყაზახეთის მთავრობა, თავისი უზარმაზარი ნავთობის საბადოებით, შესანიშნავ სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს კომპანიის სამომავლო განვითარებისა და ზრდის უზრუნველსაყოფად. ყაზახეთის მონაწილეობით შესაძლებელი იქნება სატრანზიტო კორიდორზე ნავთობის სტაბილური დინება და შესაბამისად, **ბათუმის ნავთობის ტერმინალისა** და **ბათუმის საზღვაო ნავსადგურის** 2.000 თანამშრომელის გარდა, დამატებით საქართველოს 20.000-ზე მეტი დასაქმებული მოქალაქის მხარდაჭერა.










# BATUMI SEA PORT LIMITED

In addition to the oil pier, Batumi Sea Port consists of four dry-bulk cargo berths: a rail ferry terminal, a passenger terminal with two berths, and a multi-purpose container terminal with two berths.

Following its successful investments, Greenoak Group decided to attract major foreign investors to Georgia in order to popularize the country's profile on international capital markets. The company’s shareholders include the French bank BNP Paribas, British Thames River Capital andSwiss ENR Russia Invest.

In December, 2006 Greenoak and its partners established strategic partnership with KazTransOil, the oil transportation subsidiary of Kazakhstan's state oil company KazMunayGas.

In February, 2007, Greenoak joined the Swedish company Addax & Oryx Group (AOG) as an equity partner. AOG has been involved in oil production and trade in the Caspian region since 2003.

In February, 2008, Greenoak Holdings and its partners have sold Batumi Oil Terminal Limited and Batumi Sea Port Limited to KazMunaiGas, the state oil company of Kazakhstan. This step was dictated by the strategic alliance created in 2006 between Batumi Oil Terminal and KazMunaiGas.

The Kazakh government with its huge oil reserves is an excellent strategic partner in securing the company’s future growth and development. With Kazakh involvement it will be possible to have a stable flow of oil via the transit corridor, thus supporting more than 20,000 Georgian workers on this route in addition to more than 2,000 employees in Batumi Oil Terminal and Batumi Sea Port.





# დღეს აჭარაში ძირეული ცვლილებებია

# THERE ARE SOME BASIC CHANGES IN ADJARA TODAY

ამ პროექტის მნიშვნელობა და დატვირთვა ჩვენი ქვეყნისათვის, მისი ეკონომიკური განვითარებისა და ინფორმაციული ვაკუუმის გარღვევის საქმეში მართლაც დიდი და დასაფასებელია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სახელით მადლობას მოგახსენებთ ამ მნიშვნელოვანი ინიციატივისა და აჭარის ასეთი დიდი დოზით გაშუქებისათვის.

დღეს აჭარაში მართლაც ძირეული ცვლილებებია. ახლებური მიდგომებითა და მენეჯმენტით ბევრი ძველი და ახალი ორგანიზაცია, ქართული თუ უცხოური ბიზნეს ჯგუფები ერთმანეთის მხარდამხარ აშენებენ აჭარის, საქართველოს ეკონომიკას.

The importance and value of this project for our country, its economic development and the cause of filling up the information gap is in fact huge and valuable. On behalf of the Government of the Autonomous Republic of Adjara, I express my gratitude to you for such an important initiative and presenting Adjara to such an extent.

There are really some basic changes in Adjara today. Many old and new organizations, Georgian and foreign business groups are side by side building the economy of Adjara and Georgia by means of a new approach and management.

ლევან ვარშალომიძე
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე**

**Levan Varshalomidze**
**CHAIRMAN OF THE GOVERNMENT OF THE AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARA**

# საქართველოს მზიანეთი
# SUNSHINY CORNER OF GEORGIA



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შავი ზღვის სანაპიროზე. მისი სამხრეთი საზღვარი ემთხვევა თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარს და მიჰყვება შავშეთის ქედს; ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება მესხეთის ქედი, აღმოსავლეთით - არსიანის ქედი, დასავლეთით - შავი ზღვა. აჭარის ფართობი 2,9 ათასი კვ.კმ.-ია, რაც შეადგენს საქართველოს ტერიტორიის 4,2 %.

აჭარის მოსახლეობა 411 ათასია. ამათგან 137 ათასზე მეტი ცხოვრობს აჭარის ადმინისტრაციულ ცენტრში - ბათუმში.

აჭარა მოიცავს ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულს: ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებს.

გეოგრაფიულ რელიეფს ქმნის მესხეთის, არსიანისა და შავშეთის ქედები, რომელთა საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 2000-2500 მეტრია. აჭარის უმაღლესი მწვერვალია ყანლის მთა (ზღ. დ. 3007 მ.), რომელიც არსიანის ქედზე მდებარეობს; ამავე ქედზეა გოდერძის ულამაზესი უღელტეხილი (ზღ. დ. 2027 მ), რომლის მშვენიერებაც აჯადოებს მნახველს. აჭარას მთიან და ზღვისპირა ზონებად ყოფს  ქობულეთ-ჩაქვის ქედი. აჭარის მრავალფეროვან კლიმატურ ზონებში დღემდეა შემორჩენილი ბუნების პირველქმნილი მედიდური სახე, რაც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს თანამედროვე მნახველზე.

მიჩნეულია, რომ აჭარის ბუნება წარმოადგენს კოლხური ფლორისა და ფაუნის ცოცხალ მუზეუმს. ამ მხრივ გამოირჩევა კინტრიშის ნაკრძალი, რომელშიც ამაყად დგანან საუკუნოვანი მუხები, წიფლები, წაბლები, ფიჭვები, ნაძვები, ათასწლოვანი ბზები; ისპანის ხავსიანი ტორფნარი, რომელიც მსოფლიო მასშტაბის უნიკალურ ჭაობს წარმოადგენს. დამთვალიერებლების თვალწინ იშლება თითქოს ნიადაგის ზედაპირს ზევით წამოწეული ტბა, რომელსაც საბანივით ახურავს 25-45 სმ. სისქის ცოცხალი სფაგნუმი.

აჭარის ულამაზესი ფლორითა და ფაუნით ტკბობის კიდევ ერთი ობიექტია მტირალას ეროვნული პარკი და მისი მშვენება მთა მტირალა, რომლის უმაღლესი წერტილის სიმაღლე 1334 მეტრს აღწევს. მტირალა მუდამ ნისლშია გახვეული, მისი მიკროკლიმატი განსაკუთრებული სინოტივით გამოირჩევა. ბუნებაში ძნელად მოიძებნება ისეთი უნიკალური ბიომრავალფეროვნება, როგორსაც მტირალას ეროვნულ პარკში იხილავთ. აქ ხარობს უძველესი ენდემურ-კოლხური ჯიშის მცენარეები. აქვე ბინადრობენ: მურა დათვი, გარეული ღორი, არჩვი, შველი და სხვა ცხოველები. მდ. ნამწვავისწყალში, რომელიც მტირალას ფერდობზე მოედინება, გვხვდება თევზის ისეთი იშვიათი ჯიშები, როგორებიცაა მთის კალმახი და მდინარის ქაშაყი.

აჭარის სანაპირო ზოლის სიგრძეა 54 კმ. მის გაყოლებაზეა განლაგებული ულამაზესი ზღვისპირა კურორტები და საკურორტო ადგილები: ფიჭვნარი, ქობულეთი, ბობოყვათი, ჩაქვი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, ბათუმი, გონიო, კვარიათი და სარფი.

The Autonomous Republic of Adjara is located on the Black Sea coast in the southwestern part of Georgia. Its southern border concurs with the Turkey-Georgia frontier, extending along the Shavsheti mountain range; it is bordered by the Meskheti range on the north, by the Arsiani ridge on the east, and by the Black Sea on the west. The area of Adjara comprises 2,9 thousand sq. km., which makes up 4,2% of the territory of Georgia.

The population of Adjara constitutes 411 thousand people, more than 137 thousand of whom live in the administrative center of Adjara, Batumi.

Adjara is composed of five administrative regions: the Kobuleti, Khelvachauri, Keda, Shuakhevi and Khulo municipalities.

The geographic relief is created by the Meskheti, Arsiani and Shavsheti mountain ranges, the average height of which is 2 000-2 500 m above sea level. The Kanli Mountain, located on the Arsiani mountain ridge, is the highest peak of Adjara (3 007 m above sea level); The magnificent Goderdzi Pass (2 027m above sea level) is situated on the same ridge, charming the viewers with its beauty. The Kobuleti-Chakvi mountain range divides Adjara into the mountain and sea zones. Primeval, majestic nature has been preserved in the diverse climatic zones of Adjara till today, profoundly impressing modern viewers.

There is a common belief that the nature of Adjara represents a live museum of flora and fauna. From this point of view, the Kintrishi State Nature Reserve is notable for its centuries-old oaks, beeches, chestnut trees, pines, firs and millennial box-trees that grow proudly; and the Ispani moss peatbog, which represents one of the unique mires of the world. There appears a lake before the viewers that seems to be elevated above the ground; it is covered with a blanket of 25-45 centimeters-thick live sphagnum.

One of the objects for admiring the glamorous flora and fauna of Adjara is the Mtirala National Park and its beauty,  the Mtirala Mountain. Its height reaches 1 334 meters. The Mtirala Mountain is always wrapped in mist and its microclimate has always been distinguished for its extreme dampness. There can hardly be found such a unique biodiversity of nature elsewhere as it is in the Mtirala National Park. Ancient endemic Colchic species of plants flourish here. Brown bear, wild pig, chamois, fallow-deer and other animals inhabit the Mtirala National Park. In the Namtsvavistskali River flowing down the Mtirala slope there are such rare species of fish as mountain trout and mountain herring.

The length of the coastline of Adjara is 54 km. Along the coastline, the most beautiful seaside resorts and health-resort zones: Pitchvnari, Kobuleti, Bobokvati, Chakvi, Tsikhidziri, the Green Cape, Makhindjauri, Batumi, Gonio, Kvariati and Sarpi are located.





## ისტორია

აჭარა ყოველთვის იყო საქართველოს „შავი ბედის“ ცოცხალი მატიანე, აჭარელი კი - სულიერი სიძლიერისა და სიმტკიცის მაგალითი, რომელმაც 300 წლის განმავლობაში ცეცხლში გამოატარა ქართული სული და დღემდე შეუბღალავად მოიტანა. სამშობლოდან იძულებითმა დაცილებამ ვერ შეძლო ამოეძირკვა აჭარელის თვითმყოფადი კულტურა, მისი ფანატიკური სიყვარული საკუთარი გენისა და მამაპაპური ადათ-წესების მიმართ, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

ქართულ მატიანეში აჭარა პირველად ძვ. წ.აღ.-ის III საუკუნეშია მოხსენიებული, როგორც ქართლის სამეფოს ნაწილი. საქართველოში პირველად აქ დაირწა ქრისტიანობის აკვანი. ეს უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა უკავშირდება ქრისტეს მოციქულს - ანდრია პირველწოდებულს, რომელიც შემოვიდა აჭარაში და იქადაგა ქრისტიანობა.

საკუთარ თავს აჭარაში მცხოვრებნი „აჭარელს“ უწოდებდნენ, თუმცა ზოგიერთ რაიონში შემორჩენილია თვითწოდება ტერიტორიული ნიშნით, როგორც სხალთელი, ღორჯომელი, ჭვანელი, ქობულელი და სხვ. ქვემო აჭარაში მცხოვრებნი თავიანთ თავს აჭარელს, ზემო აჭარის მაცხოვრებლები კი - ზეგნელს (მთის პლატოზე მცხოვრები) უწოდებენ. აჭარლები მუდმივად მეტყველებენ ქართული ენის აჭარულ კილო-კავზე, რომელიც უახლოვდება გურულ და მესხურ კილო-კავს.

IX-X საუკუნეებში აჭარა უერთდება ქართული ტომების უძველეს კულტურულ-პოლიტიკურ მოძრაობას, რომლის ცენტრი ტაო-კლარჯეთი და შავშეთია. სწორედ აქ იშვა ერთიანი, მძლავრი და მტკიცე ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა-ჩამოყალიბების იდეა და არც ისაა შემთხვევითი, რომ ამ მხარიდან არიან წარმოშობით ქართული სამეფო დინასტიისა და შუასაუკუნეების ერთიანი ქართული სახელმწიფოს დამაარსებლები - ბაგრატიონები, რომელთა აქტიური თაოსნობით დაიწყო პროგრესული ძალების ფართო მოძრაობა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის.

XIII საუკუნის II ნახევრიდან აჭარა, ლაზისტანთან ერთად, სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაშია და ის დიდი კულტურულ-აღმშენებლობითი მოძრაობა, რაც საათაბაგოს ტერიტორიაზეა, ვრცელდება აჭარაშიც. მომდევნო საუკუნეებში აჭარას რიგ-რიგობით იერთებდნენ ხან გურია და ხან - თურქეთი. ეს უკანასკნელი ხანგრძლივი დროით მკვიდრდება აქ (XVII-XVIII სს). 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ აჭარა საქართველოს დაუბრუნდა.

1918 წელს კვლავ იყო მცდელობა თურქეთის მხრიდან „ბრწყინვალე პორტის“ დაპატრონებისა. აჭარა ჯერ თურქებმა დაიკავეს, შემდეგ - ინგლისელებმა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარა საქართველოს სსრ-ში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადდა.

## HISTORY

Adjara has always been a live chronicle of ,,the cruel fate" of Georgia and an Adjarian has become an example of its inner strength and firmness; he has carried his Georgian soul through the 300 years of fire and sword and has preserved it inviolate to this day. A compulsory parting with his homeland could not root out the distinctive culture of an Adjarian, his fanatical love of his gene and ancestral customs handed down from generation to generation.

Adjara was first mentioned in the III century B.C. in Georgian chronicle as a part of the Kartli Kingdom. It was here that the cradle of Christianity was first rocked in Georgia. This major historic event is connected with the Apostle Andrew the First Called,who came to Adjara and preached Christianity.

The residents of Adjara call themselves ,,Adjarians"; although, in some regions they use derivatives from the names of the places of their habitat: Skhaltians, Ghorjomians, Tchvanians, Kobuletians, etc. Those who live in Lower Adjara call themselves Adjarians, while those residing in Upper Adjara denominate themselves as ,,Zegnelis", or those who live on the plateau. The Adjarians always speak the Adjarian dialect of Georgian language, which resembles the Gurian or the Meskhian dialects.

In the IX-X centuries Adjara, joined the oldest cultural and political movement of the Georgian tribes with Tao-Klarjeti and Shavsheti as its center. It was here that the idea of the formation and establishment of the united, powerful and firm feudal Georgia was born. It was not accidental either that the founders of the Georgian royal dynasty and the united medieval state of Georgia, the Bagrationis, under whose active leadership a large-scale movement of progressive forces for the formation of the united state of Georgia began, come from this region.

Since the second half of the XIII century Adjara, along with Lazistan, belongs to the Samtskhe Saatabago, and the great cultural creative movement that took place on the territory of the Saatabago takes place in Adjara as well. In the following centuries, Adjara was alternately joined to Guria and Turkey. The latter's rule here lasted from the XVII century to the XVIII century. After the war between Russia and Turkey in 1877-1878, Adjara joined Georgia.

In 1918, another attempt was made by Turkey to take hold of ,,the Magnificent Port". Adjara was first occupied by the Turks, then- by the British. After the establishment of the soviet rule in Georgia, Adjara was pronounced the Adjar Autonomus Republic of the Socialist Republic of Georgia.











## ეთნოგრაფიული აჭარა
## ETHNOGRAPHICAL ADJARA







### სოფლის მეურნეობა

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა, მთისა და ბარის მცენარეების იშვიათი შეხამებით. აქ ერთიანობაშია წარმოდგენილი ზღვა, მთა და ბარი თავისი მრავალფეროვნებით. აკი ამიტომაც უწოდებენ „მზიანეთს“ მზისა და ზღვის შარავანდედში გახვეულ აჭარულ მიწას, სადაც მოსახლეობა უძველეს ქვის ხანაში ჩასახლებულა (ზღვის პირას, მდინარეებისა და ხეობების პირას და მთის ფერდობზე) და ბუნებრივ-კლიმატური პირობებისადმი მორგებული სამეურნეო ცხოვრება მოუწყვია. სწორედ აქ, ამ მცირემიწიან ხეობაში, ჩანს ქართველი კაცის უნარი და შესაძლებლობები საუკუნეობრივი შრომის შედეგებითა და კულტურული მონაპოვრით.

აჭარაში მესაქონლეობა ქართული ყოფისათვის სახასიათო მონაპოვრებითაა წარმოდგენილი. აქ გავრცელებულია მესაქონლეობის მთიური, ალპური და ბარული ტიპები, შესაბამისი სამეურნეო-ორგანიზაციული გაძღოლის ტიპოლოგიური ნიშნებით. სამომთაბარო მესაქონლეობის თავისებურებამ განსაზღვრა სეზონური დასახლების ტიპი: ზაფხული - ალპურ ზონაში, ზამთარი - სოფელში.

აჭარაში ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მევენახეობა-მეღვინეობას, რაც არქეოლოგიური მასალებითაც დასტურდება. სოფ. ნაღვარევში აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ზომის დოქები, სასმისები. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, სოფ. ჭვანაში, დასტურდება მევენახეობა-მეღვინეობასათან დაკავშირებული თიხისა და ხის იარაღ-ჭურჭელი, მარანი და საწნახელები. დასტურდება ვაზის უამრავი ჯიშის არსებობაც: სოფ. ჩაოში 28 ჯიშის ადგილობრივი და შემოტანილი ჯიშის ვაზია, ხოლო სოფ. მერისი ჩხავერის სამშობლოდ ითვლება. თურმე სოფ. ჭვანაში ისეთი დიდი ზომის ქვევრები არსებობს, რომ ბავშვები კიბით ჩადიოდნენ და შიგ „ხორუმს“ ცეკვავდნენ. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს მევენახეობის ისტორიულ სიძველეზე.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ტერიტორია, რომელიც აჭარას უჭირავს, ზღვიდან ამოიწია და ხმელეთად იქცა მესამეული პერიოდის დასასრულსა და მეოთხეულის დასაწყისში. საქართველოს სხვა მხარეებისაგან განსხვავებით, აჭარაში ჰავა სპეციფიკური თავისებურებებით გამოირჩევა, რასაც განაპირობებს მისი გეოგრაფიული მდებარეობა, შავი ზღვის გავლენა თვით აჭარის ტერიტორიაზე და მის გარშემო განლაგებული მთის სისტემები. ყოველივე ეს ქმნის პირობებს მრავალდარგოვანი მეურნეობრიობის ჩამოყალიბებისათვის. აქედან გამომდინარე, აჭარის მთაში განვითარებულია მეთამბაქოებისა და მესაქონლეობის საწარმოო ტიპები. ხოლო ბარში - სუბტროპიკული კულტურები (მეჩაიეობა-მეციტრუსეობა).

### AGRICULTURE

Adjara is one of the most beautiful regions of Georgia with a rare combination of the mountainous and lowland plants. It represents a unity of the diversities of the sea, the mountains and the plain. That is why the land of Adjara is called ,,the sunshiny corner”- wrapped in the radiance of the sun and the sea, which became populated in the ancient Stone Age (at the seaside, along the river banks and valleys, on the mountain slopes). Its inhabitants established economic life, which matched with the natural and climatic conditions. It is here, in this valley with insufficient land, that the aptitude and opportunities of the Georgians, with the centuries-old results and cultural achievements can be observed.

The cattle-breeding of Adjara is represented by the attainment peculiar to the Georgian way of life. Here the mountainous, alpine and plain types of cattle-breeding are popular, with the corresponding typological marks of economic-organizational guidance. The peculiarity of the migratory cattle-breeding has determined the type of the seasonal settling: in summer- in the alpine zone, in winter- in the village.

Historically viticulture and wine-making have been assigned great importance in Adjara, which is also evidenced by archaeological material. In the village Naghvarevi jugs of different sizes, bowls have been found. In the ethnographic reality, in the village Chvana, there have been discovered clay and wooden tools and vessels, wine-cellars and winepresses related to viticulture and wine-making. A great variety of vine species is also evidenced: there are 28 local and imported sorts of vine in the village Chao, and the village Merisi is believed to be the homeland of Chkhaveri. Some literary sources prove that there existed such ,,Kvevris” (large earthed wine jugs), which were so big that children would go down by stairs and dance ,,Khorumi” within. All the above-mentioned facts indicate historical antiquity of wine-making.

Scientists believe that the territory occupied by Adjara emerged from the sea and turned into mainland at the turn of the Tertiary and the beginning of the Quaternary Period. Unlike the other regions of Georgia, the climate of Adjara is notable for its peculiarities, which are due to the geographic location, the influence of the Black Sea on the very territory of Adjara and the mountain systems located around it. All this provides conditions for the formation of diversified economy. As a result, there are tobacco cultivation and cattle-breeding industry types developed in the mountains of Adjara.





## ადათ-წესები და ყოფა

აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ეთნოგრაფიულად ის ოდითგანვე ერთიან ქართულ სივრცეში მოიაზრება. შესაბამისად, აჭარის ხალხური კულტურა, ტრადიციები, ადათ-წესები, დიალექტი და ამ კუთხის ყოფის მრავალი სხვა დეტალი ერთიანი ქართული კულტურის მძლავრი შტოა. საქართველოს ამ კუთხის გარკვეული სპეციფიკურობა გამოწვეულია ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობით აჭარაში. დამპყრობლები ატარებდნენ იძულების წესით გამაჰმადიანების პოლიტიკას და მიზანმიმართულად ებრძოდნენ ქრისტიანობას. ცხადია, ქრისტიანული სამყაროსაგან სამასწლოვან იზოლაციაში ყოფნამ თავისი შედეგი გამოიღო: XX საუკუნის დასაწყისისათვის აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილი მაჰმადიანური აღმსარებლობის იყო. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ დღეისათვის სიტუაცია შეიცვალა და მოსახლეობის უმეტესი ნაწილი საქართველოსათვის ტრადიციული, მართლმადიდებლური აღმსარებლობისაა.

## აჭარული სახლი

აჭარის დასახლება წარმოდგენილია კარ-მიდამოების სახით. აჭარული სახლის ტიპები შეესაბამება გეოგრაფიულ პირობებს და კულტურულ-სამეურნეო ვითარებას. „ჩარხილი“ სახლი და „ორთა“ (2-3-სართულიანი) - ბარში, „ჯარგვალა“ სახლი (1-სართულიანი) - ფერდობებზე, „ხულა“ სახლი (2 სართულიანი) - მთაში. სამეურნეო ნაგებობებს განეკუთვნებოდა „ახორი“, „ნალია“, „საბძელი“, „ბეღელი“, „სამორჩვე“, „ფურნე“. სახლის კულტურული ტიპები შეესაბამებოდა მეურნეობის ფორმებს: ჯარგვალში ქვედა სართული წარმოადგენდა ბოსელს, ზედა - საცხოვრებელს. ზედა სართულის ერთი მონაკვეთი გამოყენებული იყო რძის პროდუქტების დასამუშავებლად და მას „სარძიეს“, „სამზამეს“ უწოდებდნენ. აჭარული ყველის ღირსებაზე ვახუშტი ბატონიშვილიც მიუთითებდა: „არაოდესვე წახდების, არცა დაობდების“, რაჟამს გნებავს, შემგბარი კეთილ სახმარ არს“, რაც მოწმობს აჭარელთა დაწინაურებაზე რძის პროდუქტების დამზადებაში. ასევე მაღალი თვისებებით ხასიათდება და ქართველი ხალხის სამეურნეო-კულტურულ მიღწევებში შედის აჭარული კარაქიც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აჭარაში არსებული ქართული ჯარგვალი გენეტიკურად უახლოვდება ვიტრუვიუსის მიერ აღწერილ ძველკოლხურ სახლს. ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადად ქართული საცხოვრებელი ნაგებობის განვითარების ისტორიისათვის.



## CUSTOMS AND WAY OF LIFE

Adjara is an integral part of Georgia. From the ethnographic point of view, it has been a common belief since ancient times that Adjara belongs to the united Georgian space. Accodingly, the national culture of Adjara, the traditions, the customs, the dialect and many other details of the way of life of this region constitute a powerful branch of the united Georgian culture. Certain peculiarities of this region of Georgia are caused by the reign of the Ottomans in Adjara, which lasted for many centuries. The invaders carried out a policy of obligatory conversion to Mohammedanism and purposefully fought against Christianity. It is obvious that the isolation from Christian world, which lasted for three hundred years, had its own result: by the beginning of the XX century most part of the population of Adjara was Moslem. However, it should also be mentioned that the situation has changed by today, and the most part of the population has Christian faith- a religion that is traditional for Georgia.

## ADJARIAN HOUSE

The settlement of Adjara is represented by country houses with yards. The types of Adjarian houses correspond to the geographic conditions and cultural-economic situation. The house ,,Charkhili" and ,,Orta"(2-3 storeyed) – in the plain, the house ,,Jargvala" (one-storeyed) on the slopes, the house ,,Khula"(two-storeyed)-in the mountain. ,,Akhori" (a box stall) , ,,Nalia" (a barn), ,,Sabdzeli"(a shed), ,,Begheli"(a granary), ,,Samorchve", ,,Purne" (a stove) belonged to household constructions. The cultural types of houses corresponded to the forms of farming. The ground floor of the ,,Jargvali" (a timber house) represented a cow-shed, the overstorey- was used for dwelling. One section of the overstorey was used for handling dairy produce, and it was called ,,Sardzie", ,,Samzame". Vakhushti Batonishvili also pointed out the merits of Adjarian cheese: ,,…never goes bad, never grows mouldy", is good to be used whenever one wants", which indicates that the Adjarians succeeded in the production of dairy produce. Adjarian butter is also notable for its high quality. It represents a part of the economic-cultural achievements of the Georgian people.

It should also be mentioned that the Georgian ,,Jargvali" existing in Adjara, is genetically close to the old Colchic house described by Vitruvius, which is considered to be important for the history of the general development of Georgian dwelling constructions.



## შინამრეწველობა

აჭარაში მაღალ დონეზე იდგა შინამრეწველობა. ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი აფასებდა აჭარელებს, როგორც „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“, რომლებიც გაწაფულნი იყვნენ თიხის, ხის, ქვის, რკინის მაღალ დონეზე წარმოებით; სამეურნეო და საომარი იარაღის დამზადებით; თაღოვანი ხიდებისა და სამხედრო-თავდაცვითი თუ საკულტო ნაგებობების მშენებლობით. XX საუკუნემდე ქვემო აჭარა (სოფ. მაჭახელა) განთქმული იყო კაჟის თოფების წარმოებით, რომელიც ცნობილი იყო „მაჭახელას“ სახელით. თაობიდან თაობას გადაეცემა სპილენძის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგია და მისი მოკალვის უნიკალური ხერხი. სოფლის მეურნეობასა და ხეზე მუშაობაში დღემდე აქტიურად გამოიყენება ძველებური სასოფლო-სამეურნეო იარაღები; შენარჩუნებულია აგრარული კულტურების მოყვანის უძველესი ტექნოლოგია.

გამორჩეულია ამ კუთხის მკვიდრთა ხელობა და ხელსაქმე. მაღალმთიან აჭარაში დღესაც ტრადიციული მეთოდით მზადდება ქსოვილები. ეს რთული და მრავალსაფეხურიანი პროცესია და მოიცავს მოქმედებათა მთელ ჯაჭვს, რომელშიც შედის ცხვრის გაკრეჭა და ამ გზით საქსოვილე მასალის მოპოვება, მისი დამუშავება, ძაფის დართვა, ნატურალური საღებავებით მისი შეღებვა და ბოლოს - ქალების მიერ ხელის დაზგაზე უშუალოდ ქსოვილის დამზადება.

აჭარაში მოპოვებულმა მასალებმა ჩაუყარა საფუძველი ხალხური ორნამენტების კვეთის განვითარებას. აჭარის მთიანეთმა ნაწილობრივ შემოგვინახა ორნამენტის უძველესი სახეობები, რომლებიც დასტურდება საცხოვრებელი ნაგებობების კარებზე, სვეტებზე, ჭერზე, აივნებზე: რელიეფური, ტვიფრული, აჟურული, რიკულებიანი. საკულტო ნაგებობებზე (ჯამეებში) ორნამენტები უფრო მეტად ინტერიერშია მოცემული - ხეზე კვეთილობად და მოხატულობად. ორნამენტში ჭარბობს სიმინდის, ვაზის, ბროწეულის სახეები. დადასტურდა ასტრალური მოტივიც, რომელიც მკვეთრად ავლენს მოსახლეობის უძველეს რწმენა-წარმოდგენებს. აჭარაში დიდი სიუხვითაა წარმოდგენილი ბორჯღალა (ბორჯღლიალა) - მზის სიმბოლო საკულტო ნაგებობებზე და ვაზი, ვაზის ფოთლები - ავეჯზე. აჭარელი ხელოსანი ჯვარს სტილიზებულ ფორმაში, შენიღბულად გამოსახავდა. ქართული ორნამენტებით იყო შემკული მუსლიმანური საკულტო შენობები (ჯამე), რაც ძირძველი ქართული ტრადიციების გამძლეობასა და ქართული ხასიათის სიმტკიცეს ადასტურებს. აჭარელთა ხის მხატვრული დამუშავების ტრადიციები, ერთი მხრივ, ადგილობრივ ოსტატთა დახელოვნებაზე, მეორე მხრივ, კი ორნამენტთა სახეობებში უძველესი მსოფლმხედველობის დამახასიათებელ დანაშრევებზე მიუთითებს.





## HOME INDUSTRY

There was a high level of home industry in Adjara. Vakhushti Batonishvili appreciated the Adjarians as ,,people who are masters of woodwork", who had excellent skills in the high level of clay, wood, stone and iron production; manufacture of household tools and arms; construction of arched bridges and military, defence or cultural buildings. Till the XX century the lower Adjara (the village Matchakhela) was famous for the production of flinty guns, known as ,,Matchakhela". The technology of the production of copper crockery and the unique method of its tinning passes from generation to generation. Old agricultural tools are still actively used in agriculture and woodwork even today; the oldest technology of growing agrarian cultures has been preserved.

The trade and handicraft of the inhabitants of this region are distinguished. Even today fabrics are manufactured in the mountainous Adjara by traditional method. It is a sophisticated and multi-stage process, comprising a whole chain of actions, including sheep shearing, and in this way getting the fabric material, its treatment, thread spinning, its dyeing with natural paints and, finally, the manufacture of the fabric itself on the manual machine by women.

The material gathered in Adjara paved the way for the development of folk ornamental design. The mountain regions of Adjara have partly preserved the oldest kinds of ornamental pattern, the evidence of which can be seen on the doors, columns, ceilings, balconies: relief, stamping, openwork, baluster. The ornamental patterns on the religious constructions (the Jame) are more concentrated in the interior- in the form of wood engraving and painting. In the ornamental pattern the images of maize, vine, pomegranate prevail. An astral motive, which distinctly reflects the oldest beliefs and ideas of the population, has also been evidenced. In Adjara there abound images of ,,Borjghala" (,,Borjghliala")- a symbol of the sun on cult constructions and vine, vine leaves- on furniture. Adjarian craftsmen depicted the cross in a formalized, disguised form. Muslim religious buildings (the Jame) were decorated with Georgian ornaments, which proves the endurance of ancient Georgian traditions and the firmness of Georgian character. The traditions of Adjarian woodwork, on the one hand, indicate the mastery of local craftsmen, and on the other hand, point to the trails peculiar to the oldest world view in the ornaments.







## რელიგია

წარსულში საქრისტიანოს მოწყვეტილი აჭარის მოსახლეობა, თავისი უძველესი რელიგიის გამალებული დევნის პირობებში, ცდილობდა შეენარჩუნებინა ქრისტიანული მრწამსი. სამშობლოდან დაცილება, ძალად თავს მოხვეული რელიგია, მარტოდ დარჩენა და დამპყრობელთან გამკლავება, წვეთ-წვეთობით ჩაღვენთილი ისლამური სარწმუნოება, რაც საუკუნეების მანძილზე საწესჩვეულებო რიტუალებს უყალიბებდა, არ ცვლიდა ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათს. აჭარელი ყოველთვის ამაყობდა თავისი გენითა და სულიერი გამძლეობით; თავგამოდებით იცავდა ქართულ ენასა და იმ ფასეულობებს, რაც ხალხის ღირსებას განსაზღვრავს.

## ზნეობრივი ღირებულებები

აჭარის ეთნოგრაფიული სინამდვილე ავლენს მოსახლეობის პრაქტიკულ ცოდნა-გამოცდილებას და ზნეობრივ ღირებულებებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა ღორჯომის, ჭვანას და მერისის ხეობები, სადაც დღემდე შემონახულია უფროს-უმცროსობის, სტუმარ-მასპინძლობის, ურთიერთდახმარების, ქალისადმი პატივისცემის ნიშნად თავდახრის და დამშვიდობებისას ფეხზე ადგომის, ასევე, მხარზე ამბორის, თავზე ხელის დადებით დალოცვის, სუფრასთან ჯდომის წესები და მრავალი სხვა. დასტურდება დედის კულტიც: თეთრ ლეჩაქში გახვეული აჭარელი დიდ-ნენე, თავისი სათნოებით, მოკრძალებითა და ქართული კდემამოსილებით აჭარელისათვის ყველაზე ძვირფასია. „ჩემი ნენე“ - უზენაესი სიტყვაა, ხატზე საფიცარი, რომლისადმი პატივისცემა უწყვეტად გადაეცემა თაობიდან თაობას. იგი იმ დიდ-ნენეს მემკვიდრეა, რომელმაც ჯვარცმით მოიტანა ჩვენამდე ქართული ენა, შთამომავლობას შეუნახა ქართული „დედაბრული ანბანი“, ანდერძად დაუტოვა „ჯვრიანი ჭადი“, ხოლო თავისი ხელით გამოძერწილი „ჯვრიანი კეცი“ საქორწილო მზითვად აქცია, რათა შთამომავლებს არ დაეკარგათ თავისი ვინაობა და დედა-სამშობლოს სითბო. სწორედ ამ ნენეს გაზრდილია აჭარელი - სტუმართმოყვარე, შრომისმოყვარე, მამა-პაპის მოსიყვარულე და ქართული ტრადიციების დამცველი.

საქართველოს მუსიკალური ფოლკლორის საგანძურში შედის უძველესი აჭარული ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერები. ქართული პოლიფონიური სიმღერები იშვიათობაა, რომელთა ანალოგი ძნელად თუ მოიპოვება მსოფლიოში. ისინი ნათლად გვაგრძნობინებენ ქართველთა გამორჩეულ სიამაყესა და შინაგან კეთილშობილებას. ქართული ფოლკლორის ამ ოქროს ფონდს ამშვენებს „აჭარული ნადური“ და „ხასანბეგურა“, „აჭარული მაყრული“, „შვიდკაცა“ და სხვ.

ძირძველი ადათ-წესები და ყოფა, გრაცია, პლასტიკა, სილაღე, შემართება, მოკრძალება - ყველა ეს ნიშან-თვისება გარკვევით და ნათლად იგრძნობა აჭარულ საცეკვაო ფოლკლორში, რომლის მრავალსახეობა უკვე დიდი ხანია, დამკვიდრდა ქართულ ქორეოგრაფიაში, ხოლო უძველესმა რიტუალურმა ცეკვებმა - „ხორუმმა“ და „განდაგანამ“ მსოფლიო აღიარება მოიპოვეს.



## RELIGION

The population of Adjaria, which was cut off from the Christian world in the past, was trying to preserve its Christian faith in the conditions of severe persecution of its oldest religion. A parting with homeland, a forcedly imposed religion, being alone and having to overcome the invaders, Islamic religion, obtruded bit by bit, which for centuries established traditional rituals, could not change the character of the local population. The Adjarians have always been proud of their gene and spiritual firmness. They have heartily defended Georgian language and those values that determine the dignity of people.

## MORAL VALUES

The ethnographic reality of Adjara reflects practical knowledge, experience and moral values of the population. From this point of view, of interest are the Chvana and Merisi valleys, which have preserved the traditions of the youth respecting the old, hospitality, mutual aid, demonstration of respect to a woman by way of hanging one's head or standing up when taking leave, as well as a kiss on the shoulder, blessing by way of putting one's hand on somebody's head, the rules of behaving at table, and many more. There is an evidence of a mother's cult as well: the image of Adjarian ,,Did-Nene"(grandmother) muffled in a white scarf, with her virtue, deference and Georgian modesty is the dearest for the Adjarians. ,,My nene" (My mother) – it is the most important word, a vow at an icon, respect of which is handed down from generation to generation. She is the successor of the ,,Did-Nene", who has brought for us Georgian language through crucifixion, has preserved Georgian ,,Dedabruli Anbani" (woman's alphabet), has bequeathed ,,a Mchadi with a cross on it" , and has turned the ,,Ketsi with an image of a cross" molded with her own hand into a dowry, so that her children do not lose their identity and the warmth of their motherland. It was by the ,,Nene" that a hospitable, hard-working Adjarian, loving his ancestors, the defender of Georgian traditions was brought up.

The Georgian folk music treasury includes the oldest Adjarian Georgian national polyphonic songs. The Georgian polyphonic songs are a rarity, hardly having any analogue in the world. They clearly make us feel exceptional pride and inner nobility of the Georgians. The golden fund of the Georgian folklore is embellished with ,,Atcharuli Naduri" and ,,Khasanbegura", ,,Atcharuli Makruli", ,,Shvidkatsa", etc.

Ancient customs and way of life, grace, plasticity, liberty, valour, modesty- these are the features which can be distinctly observed in Adjarian folk dances, the diversity of which has long ago found its place in Georgian choreography. The oldest ritual dances ,,Khorumi" and ,,Gandagana" have achieved world recognition.

## გადაუფურცლავი ოქროს ფოლიანტი

ტურიზმის საერთაშორისო შეფასების ინდექსით, 2007 წლისათვის ჩატარებული გამოკვლევით, საქართველო იმყოფება 66-ე ადგილზე, რუსეთის ფედერაცია 68-ე, სომხეთი - 74-ე, ხოლო აზერბაიჯანი - 78-ე ადგილზე. შეფასების კრიტერიუმები გახლდათ: კანონმდებლობა, ტურიზმთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა, ტურისტული ბიზნესგარემო, ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსები.

საქართველოს ესოდენ დიდ შეფასებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა აჭარამ, სადაც ტურიზმის სტრატეგიულად სწორად განვითარებას ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის მხრიდან სახელმწიფოებრივი დონის ყურადღება ეთმობა. ვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, სარეკლამო მარკეტინგული საქმიანობა, საინფორმაციო მხარდაჭერა, მზადდება კვალიფიციური კადრები, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ტურიზმის უპრეცედენტო ზრდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამ დარგს პრიორიტეტულ ეკონომიკურ მდგომარეობას ანიჭებს და მრავალი ქვეყნის ეკონომიკის ფუნდამენტურ საფუძვლად აქცევს.

ამ მხრივ, აჭარა ტურიზმის განვითარებისთვის ის ოქროს ფოლიანტია, რომელიც მსოფლიოს ჯერჯერობით ბოლომდე არ გადაუფურცლავს და შეუცნია. ტურიზმის ამ მომავალ მექას პრიორიტეტს ანიჭებს მისი გეოგრაფიული განლაგება მითოლოგიური გმირებითა და ლეგენდებით გამორჩეულ კავკასიაში, კოლხეთის ლეგენდარულ მიწაზე, სტუმართმოყვარე შავი ზღვის სანაპიროსთან, მოხერხებულ სატრანსპორტო არეალში - „დიდი აბრეშუმის გზის" გასწვრივ, სადაც ბრწყინვალე ეროვნულ, კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას იდეალურად ერწყმის სტუმრებისათვის მსოფლიო დონის შესაბამისი საჰაერო, საზღვაო, საავტომობილო და სარკინიზო მომსახურების შეთავაზება.

აჭარას გამოარჩევს მდიდარი ბუნებრივ-რეკრიაციული რესურსები, სიძველითა და ორიგინალობით გამორჩეული კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, მრავალსაუკუნოვანი არქეოლოგიური, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები, მდიდარი ფოლკლორი, ხალხური ეროვნული რეწვისა და მაღალი დონის ხელოვნების ნიმუშები, მსოფლიოში ცნობილი ბოტანიკური ბაღი და ეკოლოგიურად სუფთა გარემო - სუბტროპიკული (ნესტიანი) ჰავა, მომაჯადოებელი შავი ზღვა, ულამაზესი მთა-ბარი, შესანიშნავი ნაკრძალები ლამაზი რელიეფებითა და ბუნების უნიკალური ძეგლებით.

დღეისათვის ზემოაღნიშნული რესურსების ბაზაზე მიმდინარეობს ტურისტული ბაზრის შესაბამისი ახალი ტურისტული პროდუქტის ფორმირება, ძველის აღდგენა-განახლება. უკვე წლეულს აჭარაში ჩასულ დამსვენებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ განახლებული ბოტანიკური ბაღი, ზოოპარკი, ისპანის ჭაობის ახალი სადემონსტრაციო ნაწილი. 2007 წლის 22 სექტემბრისათვის აჭარაში დაისვენა 300 ათას 736 ტურისტმა (ადგილობრივმაც და უცხოელმაც), რაც წინა წელთან შედარებით დამსვენებელთა გაორმაგებული რაოდენობაა.

აჭარაში, საქართველოს ამ ულამაზესი ოაზისის მთასა და ბარში, დამსვენებელს ეგზოტიკურ ღირსშესანიშნაობებთან შეხვედრა ელოდება: ანდრია პირველწოდებულის მიერ აგებული, დღეს არქეოლოგების მიერ თავიდან აღმოჩენილი ეკლესიის ნაშთები, ბეშუმის (მაღალმთიანი აჭარა) მწვანე ტბა და უნიკალური კოლხური ტყე.









უძველეს ქალაქ ბათუმში დამსვენებელი იხილავს თავდაპირველი ქალაქის პრეისტორიულ ნაშთებს, რომელსაც ცნობილი ისტორიკოსნი „ბათუსს“ უხმობდნენ, ხოლო თანამედროვე ბათუმში, ზღვისპირეთის ძველ უბანში, XIX საუკუნის I ნახევრიდან წარმომართული სამხედრო ბატარეები და საზღვაო შუქურა წარსულ საუკუნეთა ზღვაოსნობის ხიბლს აცოცხლებს. ეს უტყვი მოწმე მრავალ ნაოსანს უნათებდა გზას ბათუმისაკენ და მათაც ქალაქი გულღიად ხვდებოდა. ამ ქალაქს ახსოვს მის ქუჩებში მოსეირნე დიდი გალაკტიონ ტაბიძე, აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე, სერგეი ესენინი, მაქსიმ გორკი, ანტონ ჩეხოვი, ლესია უკრაინკა, მიხეილ ბულგაკოვი, იმპერატორი ალექსანდრე III, ალექსანდრე დიუმა, ჯონ სტეინბეკი...

თანამედროვე ბათუმის განვითარების კონცეფციაში XIX საუკუნის არქიტექტურულ-კულტურული ნაწილის დაკონსერვება, XX საუკუნის არქიტექტურაში მცირეოდენი კორექტივების შეტანა და თანამედროვეთა მიერ ახალი, XXI საუკუნის ბათუმის აგებაა ნაგულისხმევი.

თანამედროვე ბათუმს შენარჩუნებული აქვს ის გამორჩეული ტოლერანტული სული და მიმზიდველობა, რომლის მეოხებითაც აქ საუკუნეთა მანძილზე გვერდი-გვერდ მშვიდობიანად თანაარსებობდნენ ქართული მართლმადიდებლური ტაძრები, ებრაული სინაგოგა, კათოლიკური ტაძარი და მეჩეთი. ქალაქსა და მის დასახლებებს გამოარჩევთ მცხოვრებთა საუკეთესო მეზობლური დამოკიდებულება. დღევანდელი საქართველოს სახეს წარმოადგენს აჭარისა და ბათუმის ინტელიგენცია: მეცნიერები, მხატვრები, მწერლები, ჟურნალისტები და მსახიობები. ისინი პატივს მიაგებენ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს: სამშობლოს სიყვარულს, ოჯახისადმი ერთგულებას, საზოგადოების წინაშე მოვალეობის გრძნობას, სტუმართმოყვარეობას, ტრადიციებისადმი ერთგულებას და წესიერებას.

აჭარაში შექმნილია სტუმართა შინაარსიანი დასვენების სასიამოვნო ატმოსფერო, ვითარდება ტურიზმის ინფრასტრუქტურა. ამ კუთხით გამოირჩევა აჭარის ზღვისპირა საკურორტო ზონა და განსაკუთრებით ბათუმისა და ქობულეთის მონაკვეთები. 2009-2011 წლისათვის აჭარის ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში შევა ობიექტები, რომელთაც უცხოელი ინვესტორები (ყაზახეთისა და თურქეთის წარმომადგენლები) აშენებენ.

ბათუმს დღესაც, როგორც XIX საუკუნის ბოლოს, იგივე გეოპოლიტიკური სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს – მოქმედებს ნობელების მიერ გაკვალული ნავთობის გზა, მათ მიერ დაარსებული ტერმინალი, კვლავ საუბრობენ მილსადენებსა და ენერგომატარებლებზე და ამჟამადაც მთელი კავკასია ისევ და ისევ ამ ქალაქზეა ფოკუსირებული – ნავთობი კვლავ აქედან მიედინება მთელს მსოფლიოში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აჭარაში შეიძლება მძლავრი ტურისტული ინდუსტრიის განვითარება, რომელიც ჰარმონიულად შეავსებს კუთხისა და ქვეყნის აღმავლობის გზაზე მდგარ ეკონომიკას.

**GOLDEN VOLUME THAT HAS NEVER BEEN LOOKED THROUGH**

In accordance with the research carried out by 2007 and the rating of the international evaluation of tourism, Georgia occupies the 66th place, the Russian Federation the 68th place, Armenia- the 74th, and Azerbaijan - the 78th place. The evaluation criteria were: legislation, salvation of problems related with tourism, tourism business environment, infrastructure and human resources.

The central and local government of Adjara pays a state level attention to the correct strategic development of tourism, which has played a significant role for such high esteem. There is observed a development of tourism infrastructure, advertising marketing activity, infotainment, preparation of qualified stuff, close cooperation with international organizations.

An unexampled growth of tourism provides this branch with a priority economic state worldwide, turning it into a fundamental base for the economy of many countries.

From this point of view, Adjara is a golden volume for the development of tourism which has never been looked through and studied. This future Mecca of tourism gains priority due to its geographic location in the Caucasus, notable for mythological heroes and legends, on the legendary land of the Colchis, on the hospitable Black Sea coast, in the convenient transport area-along the ,,Great Silk Road', where the splendid national, cultural and natural heritage is ideally combined with the offer of air, maritime, automobile and railway service, complying with the world standards.

Adjara is notable for its rich natural recreational resources, historical and cultural points of interest, distinguished for their antiquity and originality, centuries-old archaeological, historical and architectural monuments, rich folklore, pieces of national craftsmanship and high level of art, a botanical garden which is well-known all over the world and ecologically clean environment – subtropical (humid) climate, the bewitching Black Sea, magnificent mountains and plains, glamorous reserves with beautiful reliefs and unique monuments of nature.

By now a relevant new tourism product on the basis of the above-mentioned resources is formed, rehabilitation-revival of the old takes place. Already during the current year the holiday-makers had an opportunity to view a renovated botanical garden, the zoo, a new demonstration part of Ispani mire. By September 22, 2007 in all 300 736 (both local and foreign) tourists had a holiday in Adjara, which is a doubled number as compared to the previous year.

In the mountains and plains of Adjara, this glamorous oasis of Georgia, holiday-makers will get acquainted with an exotic place of interest: the remnants of the church erected by St. Andrew the First, discovered by archaeologists nowadays, the Beshumi (mountainous Ajaria) green lake and the unique Colchis forest.

In the oldest city Batumi holiday-makers will see the prehistoric remnants of the original town, which the famous historians called ,,Bathus", and in the modern Batumi, in the old district of the seaside visitors can observe the sights of the military batteries built in the first half of the XIX century and the lighthouse reviving the charm of the navigation of the past centuries. This mute witness would light the way towards Batumi for many sailors, and the city would meet them with open heart. This city remembers the great Galaktion Tabidze and Sergei Jesenin, John Steinbeck and Maxim Gorki, Anton Chekhov and Akaki Tsereteli, Lesia Ukrainka and Ilia Chavchavadze, the emperor Alexandr III, Alaxandr Djuma and Mikhail Bulgakov walking along its streets . . .

The concept of the development of modern Batum means laying up of the architectural-cultural part of the XIX century, introducing slight changes in the architecture of the XX century and building of a new Batumi, a city of the XXI century by our contemporaries.

Modern Batumi has preserved its distinctive tolerant soul and attractiveness, due to which here for centuries side by side existed a Georgian orthodox cathedral, a Jewish synagogue, a catholic cathedral and a mosque. The city and its settlements are notable for the best neighborly relations among the residents. The intellectuals of Adjara and Batumi: scientists, painters, writers, journalists and actors, represent Georgia of today. They respect the values that are common to all mankind: love of one's homeland, devotion to one's family, a feeling of responsibility in respect of the society, hospitality, devotion to traditions and decency.

There has been created a pleasant atmosphere for the interesting rest of the visitors in Adjara, tourism infrastructure is developing. From this point of view the Adjara seaside resort area, and especially the sections of Batumi and Kobuleti are distinguished. The objects that are under construction today, built by the foreign investors (representatives of Kazakhstan and Turkey), will be placed in operation on the territory of Adjara by 2009-2011.

Batumi has the same geopolitical strategic importance as it did at the end of the XIX century. The oil road, paved by the Nobels, the terminal created by them are still active, they still talk on pipelines and energy carriers, and nowadays, as before, the whole Caucasus is again and again focused on this city- it is from here that oil still flows to the whole world. This once more proves the fact that there is an opportunity of building a powerful tourism industry in Adjara, which will harmoniously contribute to the economy of the region and the country on the road of its development.















რესტორანი

# მეგრულ-ლაზური

კუთხის ტრადიციული სამზარეულო

ქართული სამზარეულოს უნიკალურობა, მრავალფეროვნება, ეზო-გარემოს, ინტერიერისა და ძირძველი მეგრულ–ლაზური ყოფის კერძით გაცხადებული საიდუმლო..

გარემო, რომელიც დიდი ხნით "გატყვევებს" და ხელახლა გიხმობს...

მასპინძელი - ქართული ყოფის ისტორია;

- ტრადიციული კერძები;
- დაუვიწყარი გემო;
- აჭარული ოდა;
- კახური მარანი;
- მეგრული ჯარგვალი;
- გულიანი მასპინძლები;



მახინჯაური. თბილისის გზატკეცილი 14. 899 51 37 22

RESTAURANT

# MEGRUL-LAZURI

*A secret revealed in a dish*

Originality and diversity of Georgian cuisine; a secret revealed in the interior, homestead and the ancient Megrelian-Lasic cuisine
An environment that fascinates you and calls you back again and again...
Your host is the history of the Georgian way of life

- Traditional dishes
- Unforgettable taste
- Adjarian hut "oda"
- Kakhetian wine cellar
- Megrelian cabin "jargvali"
- Cordial hosts



Makhindjauri. Tbilisi Highway 14. 899 51 37 22










სასტუმრო
www.hotelsputnik.com



# HOTEL SPUTNIK













- კომფორტული დასვენება
- საქმიანი შეხვედრები
- ზღვისა და მთის  ჰავის საოცარი შეზავება
- სასტუმრო მთაზე - ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე

**მომსახურება:**

- დახვედრა
- ავტომანქანა
- საუნა
- კორტები
- ექსკურსიები
- ტურისტული ვიზები
- ბილეთების დაჯავშნა
- გამგზავრება

ბათუმი. ბათუმის მთა
ტელ +995 222 76063 / 76066
ფაქსი +995 222 76396

- Comfortable rest;
- Business meetings;
- Miraculous mix of the sea and mountain climate;
- Hotel on the mountain/service rendered on the territory of balneotherapeutic health resort

**SERVICE**

- Meeting at the place of arrival
- Auto transport
- Sauna
- Tennis courts
- Excursions
- Tourist visas
- Ticket reservation
- Departure

Batumis Mta (Batumi Mountain), Batumi
tel.: +995 222 76063/76066
Fax: +995 222 76396



## ისტორიული ძეგლები

ბათუმის სამხრეთით, 12 კმ. დაშორებით, მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრე, რომელიც ნამდვილი სამოთხეა ისტორიულ-კულტურულ სიძველეთა მოყვარულთათვის.

დღეისათვის გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრეში მიკვლეული უძველესი არქეოლოგიური ფენა III-V საუკუნეებს მიეკუთვნება. გონიოს სამხრეთ კედლის გარეთ აღმოჩენილია V საუკუნის სამარხები. საქალაქო ცხოვრების აღმავლობა აქ ელინისტური ხანიდან შეინიშნება. არაერთი იმდროინდელი ისტორიკოსის ცნობით, გონიოს ციხე რომის აღმოსავლეთი საზღვრის სტრატეგიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი იყო. I-III საუკუნეებში აქ ფუნქციონირებდა თეატრი და იპოდრომი. აფსაროსშია დაკრძალული ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული – მატათა.

გონიო-აფსაროსის ციხის არქეოლოგიური გათხრები XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. 1974 წელს ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩნდა ახ. წ. აღ. II-III საუკუნეების შესანიშნავი საიუველირო ნიმუშებისგან შემდგარი განძი. 1994 წლიდან აქ მიმდინარეობს სისტემატური სამეცნიერო სამუშაოები. გონიო-აფსაროსის ციხე მუზეუმ-ნაკრძალადაა გამოცხადებული.

ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის ტერიტორიაზე მდებარეობს უძველესი ისტორიული ციხე-ქალაქის - პეტრას ნანგრევები. ეს ტერიტორია ისტორიულად ერთ-ერთი ქართველური ტომის - ლაზების სამოსახლო იყო. თავდაპირველად აქ ლაზების მიერ იქნა აგებული მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში თავისი უნიკალური სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური მდებარეობის გამო ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ ქალაქად გადააკეთა.





## HISTORIC SITES

The Gonio-Apsaros fortress on the left bank of the Tchorokhi River twelve kilometers south of Batumi is a real heaven for the lovers of historical and cultural antiquities.

The oldest archeological layer found in the fortress belongs to the I-III centurie. Tombs of the V century were discovered outside the southern wall of Gonio. The upheaval of urban life of the Hellenistic period can be observed here. More than one historian of that time noted that the Gonio fortress was a strategic, political, economic and cultural center of the eastern frontier of the Roman Empire. A theater and a racetrack functioned here in the I-III centuries A.D. The Apostle Mathias is buried in Apsaros.

Archeological excavations of the Gonio-Apsaros fortress began in the 60s of the XX century. In 1974, they accidentally discovered a treasury of excellent pieces of jewelry of the II-III centuries A.D. on the territory of the fortress. Systematic scientific research has been carried out here since 1994. The Gonio-Apsaros fortress has a status of a museum-reserve.

The ruins of the oldest fortress city Petra are located on the territory of the village of Tsikhisdziri, Kobuleti region. This territory was once populated by the Laz Georgian tribes. They built an important fortress here which due to its unique military, strategic, trade and economic location, was turned into a city by the Byzantine Emperor Justinian in the VI century A.D.



## მუზეუმები

აჭარის ტერიტორიაზე მდებარეობს ბუნების, არქიტექტურისა და კულტურის მრავალი ძეგლი, მათ შორის უმნიშვნელოვანესია: გონიოს ციხე, ციხისძირი, სხალთის ეკლესია, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ფიჭვნარის ნაქალაქარი.



უნიკალური და საინტერესოა ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, სადაც დამთვალიერებლები გაეცნობიან აჭარის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებულ უნიკალურ მასალას. არქეოლოგიის მუზეუმის ექსპონატთაგან უძველესი ნიმუშები ქვის ხანითაა დათარიღებული. აქ ინახება 400-300 ათასი წლის წინანდელი ნივთები; ძვ. წ. აღ.-ის VIII ს-ის კომპლექსური ძეგლები, რომლებიც, ასევე, მუზეუმის ექსპოზიციის ნაწილია. ძალზე საინტერესოა შუა საუკუნეებით დათარიღებული მასალები, რომლებიც ზემო აჭარაშია ნაპოვნი. მუზეუმში უხვად არის წარმოდგენილი ანტიკური ხანის ბერძნული და რომაული ჭურჭელი. აქვე ინახება ანტიკური ხანის ბერძნული, რომაული და კოლხური მონეტები. ექსპოზიციებისა და ისტორიულ მასალათა მრავალფეროვნებით ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმი უდავოდ დგას ევროპულ მუზეუმთა რიგში.

ასევე, საინტერესო ექსპოზიციაა წარმოდგენილი აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. ბუნების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ისტორიის განყოფილებებში გამოფენილია ოთხიათასამდე ექსპონატი, მათ შორისაა ბუნების იშვიათი ძეგლები (ფლორა, ფაუნა, მინერალები), გონიოს, ფიჭვნარის არქეოლოგიური კოლექციები, ეთნოგრაფიული ნივთები, უნიკალური ფოტოები, ხელოვნების ნიმუშები, ხელნაწერები. ექსპონატებს შორის გამორჩეულია ოქროს ფონდი, რომელიც შედგება გონიოს და ფიჭვნარის ნაქალაქარში ნაპოვნი განძებისაგან. მუზეუმში, ასევე, დაცულია სოფ. მახოში (ხელვაჩაურის რ-ნი) ნაპოვნი ქართული ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუშები (შემკული გულსაბნევი ძეწკვი, სამაჯური და სხვა). სპეციალისტების ვარაუდით, აქ მოპოვებული განძი ძალზე ძველია და ის ჩვ.წ.აღ-ის პირველი საუკუნეების ქართული საიუველირო ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.





თანამედროვე ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერაა აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, რომელშიც ექსპონატების სოლიდური კოლექცია ინახება. მუზეუმში წარმოდგენილია გენიალური ქართველი მხატვრების - ნიკო ფიროსმანის, ლადო გუდიაშვილისა და სხვა გამოჩენილი ფერმწერების ტილოები. ხელოვნების მუზეუმის მშვენებაა XX საუკუნის რუსი რეალისტებისა და ბრწყინვალე მარინისტების ნამუშევრები.

## MUSEUMS

There are a lot of natural, architectural and cultural monuments located on the territory of Adjara, among which the most important are: the Gonio fortress, Tsikhisdziri, the Skhalti church, the Batumi Botanical Garden, Pitchvnari Nakalakevi: the site of ancient settlement.

The Batumi Archaeological Museum is unique and interesting. At this museum the viewers will get acquainted with the unique material obtained as a result of the archaeological excavations carried out on the territory of Adjara. The oldest of the exhibits of the Batumi Archaeological Museum date back to the Stone Age. Here are kept articles as old as 400-300 thousand years, as well as complex monuments of the VIII century B.C. also representing part of the museum exposition. Of particular interest are materials belonging to the Middle Ages, discovered in Upper Adjara. There are also numerous ancient Greek and Roman crockery artifacts represented at the museum. Ancient Greek, Roman and Colchic coins are also kept here. Due to the diversity of the expositions and historical materials, the Batumi Archaeological Museum is undoubtedly on a level with European museums.

The exposition represented at the Adjara State Museum is also extremely interesting. There are up to 4 thousand exhibits in the departments of nature, archaeology, ethnography, history, including rare monuments of nature: flora, fauna, minerals, archaeological collections of Gonio and Pitchvnari, ethnographic articles, unique photos, pieces of art, manuscripts. The Gold Fund, consisting of the treasures found in Gonio and Pitchvnari Nakalakevi, is notable among the exhibits. There are also the best samples of Georgian goldsmithery discovered in the village of Makho, Khelvachauri region: an ornamented necklace, a bracelet, etc. kept at the museum. Specialists believe that the treasure discovered here is very old and it represents an excellent example of the art of jewelry of Georgia of the first centuries A.D.



The Adjara State Museum of Arts, with a solid collection of exhibits, is an important center of modern Georgian culture. Paintings by great Georgian artists like Niko Pirosmani, Lado Gudiashvili and others are represented at the museum. The works of the Russian Realists of the XX century and the excellent painters of seascapes embellish the Museum of Arts.









## სამლოცველოები

ბათუმის არქიტექტურულ ანსამბლში გასაოცარ იდილიას ქმნის გოთური სტილის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის ქალაქის იერსახეს. ტაძარი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ააგეს მეცენატმა ძმებმა ზუბალაშვილებმა განსაკუთრებული წარმოშობის სამშენებლო ქვით, რომელიც ამინდის ცვალებადობის მიხედვით იცვლის ფერს და იზიდავს მნახველს. საკათედრო ტაძრიდან რამდენიმე კვარტალში მდებარეობს წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, რომელიც ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის ხანაში 1870 წელს არის აგებული. ამავე პერიოდს განეკუთვნება ბათუმის მეჩეთი.

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში მცხოვრებმა ებრაელებმა უშუალოდ მიმართეს იმპერატორ ნიკოლოზ II-ს სინაგოგის აშენების თხოვნით. ეს თხოვნა დაკმაყოფილდა და ასე გაჩნდა ქალაქში ჰააგისა და ამსტერდამის სინაგოგათა მსგავსი არქიტექტურის ფორმის ტაძარი, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში დგას სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის შენობა – სუბმკრტიჩი, რომელიც პარიზში არსებული ერთ-ერთი ეკლესიის არქიტექტურულ იერს იმეორებს.

XIX საუკუნის მიწურულს ინგლისელთა მიერ აგებული იქნა წმ. ბარბარეს ეკლესია. დღეს ის რესტავრირებული და მოქმედი მართლმადიდებლური ტაძარია.

## CHAPELS

The Gothic Cathedral of the Mother of God harmonizes with the view of the city and represents a marvelous part of the Batumi architectural complex. The cathedral was built by patrons, the brothers Zubalashvili at the end of the XIX century and the beginning of the XX century with stone of special origin that alters its color according to changes in the weather and attracts the viewers. The St. Nicholas Church built as early as the reign of the Osmans in 1870 stands several blocks away from the Cathedral. The Batumi Mosque was built in the same period.

In the beginning of the XX century, the Batumi Jews directly petitionad the Emperor Nicholas II to allow them to build a synagogue. Their request was granted and thus a cathedral of an architectural style similar to the synagogues of the Hague and Amsterdam appeared in the city; it is still functioning today. In the central part of the city there is the Armenian Gregorian Church of Submkrtich that duplicates the architecture of one of the churches in Paris.

At the end of the XX century, the English built The Saint Barbara Cathedral. Today it is a restored and functioning Orthodox church.





## მშენებლობა

აჭარაში შექმნილია სანაპირო ზოლის საინვესტიციო ტერიტორიებისა და შენობა-ნაგებობების მონაცემთა ბაზა, რომლის მიზანსაც აჭარის დასახლებული პუნქტების, სანაპირო და საკურორტო ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირება წარმოადგენს.

აშენდა ბათუმის აეროპორტი, რკინიგზის სადგური, საცხოვრებელი კომპლექსები, საზოგადოებრივი და გასართობ-გამაჯანსაღებელი ობიექტები. მოეწყო ახალი სკვერები, არსებული პარკები აღიჭურვა თანამედროვე ატრაქციონებითა და გასართობი ობიექტებით, მოწესრიგდა პლაჟები, მოეწყო ათეულობით სპორტული მოედანი როგორც ბათუმის ცალკეულ უბნებში, ისე რაიონულ ცენტრებში, მოწესრიგდა საერთაშორისო მაგისტრალი, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ხიდები და გადასასვლელები. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სასტუმროებს, კინოთეატრებს, ბათუმის ცირკის უნიკალურ შენობას, ქობულეთის რკინიგზის სადგურს.

ამჟამად შენდება საერთაშორისო სტანდარტების თანამედროვე სასტუმრო კომპლექსები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, საზოგადოებრივი ობიექტები, საცურაო აუზები, სკოლები, სამედიცინო მომსახურეობის ობიექტები, საკურორტო, სარეკრიაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტები, აგრეთვე, საწარმოო, სამრეწველო და გადამამუშავებელი ფაბრიკა-ქარხნები.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა საქალაქო მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარებას. გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება ქ. ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის წყალსადენ-საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციის პროექტი, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) მეშვეობით მიმდინარეობს ქ. ქობულეთის წყალსადენ-საკანალიზაციო სისტემების არსებული მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის საპროექტო სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოთა მოცულობების მნიშვნელოვანმა ზრდამ განაპირობა ამ ინდუსტრიის განვითარება. ხანმოკლე პერიოდში აშენდა სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების მწარმოებელი რამდენიმე ქარხანა. ხორციელდება არსებული საწარმოების გადაიარაღება-მოდერნიზაცია, რაც ხელს უწყობს ბაზარზე სამშენებლო პროდუქციისადმი სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.







## CONSTRUCTION

A database for the investment territories, buildings and constructions of the coastline has been created in Adjara. The aim of the database is the regulation of the use and construction of the settlements, seaside and resort territories of Adjara.

Batumi Airport, a railway station, communities and public and recreation-health objects have been built here; new public gardens have been arranged; the existing parks have been equipped with modern attractions and entertainment objects; beaches have been put in order; dozens of sports grounds have been arranged in certain districts of Batumi as well as in the regional centers; international highway, roads, bridges and passages of state and local importance have been put in order. Hotels, movie theaters, a unique building of Batumi Circus, the Kobuleti railway station have been reconstructed.

Construction of modern hotel complexes of international standards, multifamily housing, public objects, swimming pools, schools, medical service buildings, resort, recreation and tourist infrastructure objects as well as enterprise, industrial and reprocessing plants and factories is under way.

Considerable attention is paid to the development of municipal service infrastructure. A rehabilitation project for the study of the plumbing and collecting systems of Batumi municipal infrastructure is carried out with the financial support of the Credit Bank for the Reconstruction of Germany (KFW). Design works for the study and further reconstruction-modernizaton of Kobuleti plumbing and collecting systems are realized with the support of the European Bank for the Reconstruction and Development (EBRD).

Considerable growth of the volume of construction work has given rise to the development of construction industry. Several plants, producing construction material and goods, have been built in a short period. The reequipment and modernization of the enterprises of the existing construction industry is carried out, which contributes to the satisfaction of the growing demand for construction production on the market.












## მომავლის ბათუმი

ბათუმში დღეს გრანდიოზული მშენებლობა მიმდინარეობს

- სასტუმრო კომპლექსი RADISSON - „მედეა“
- სასტუმრო კომპლექსი SHERATON
- სასტუმრო კომპლექსი „მესხეთი“
- სასტუმრო კომპლექსი Belle-Vue
- სავაჭრო ცენტრი - „ელიტ ელექტრონიქსი“
- სასტუმრო კომპლექსი „ბათუმი“
- სასტუმრო კომპლექსი – სამშენებლო კომპანია „არსი“
- სასტუმრო კომპლექსი „ბენზე“
- საცურაო კომპლექსი „ბათუმი პლაზა“
- დელფინარიუმი.

## FUTURE BATUMI

There are numerous construction works carried out in Batumi

- Hotel Complex RADISSON - Medea
- Hotel Complex SHERATON
- Hotel Complex MESKHETI
- Hotel Complex Belle-Vue
- Trade Centre – Elit Electronics
- Hotel Complex Batumi
- Hotel Complex – Construction Company Arsi
- Hotel Complex Benze
- Swimming complex Batumi Plaza
- Dolphinarium





# „ვისოლი“ აჭარაში

„ნავთობპროდუქტების სექტორი საკმაო დინამიზმით გამოირჩევა, შესაბამისად, ჩვენ სწრაფი ტემპებით ვვითარდებით რეგიონებში, ისევე როგორც დედაქალაქში. ჩვენი კორპორატიული სტრატეგიაა შევინარჩუნოთ ფასების ერთნაირი დონე ყველა ავტოგასამართ სადგურზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ნავთობპროდუქტების ხარისხსა და მომსახურების დონეზე. რაც შეეხება აჭარას და კონკრეტულად ბათუმს, ძალიან მიყვარს ბათუმი და უკანასკნელ პერიოდში ხშირად ვსტუმრობ მას. დღეისათვის ბათუმის განვითარება სწრაფი ტემპებით ხდება და იგი არაფრით ჩამორჩება დედაქალაქის განვითარების ტემპებს, რაც, ბუნებრივია, როგორც ბიზნესმენისთვის მისასალმებელია და ბიზნესის განვითარების დამატებით სტიმულს იძლევა“.

სოსო ფხაკაძე
ვისოლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

2008 წლის დასაწყისში კომპანია „ვისოლმა“ ბათუმში მომსახურების პირველი ცენტრი გახსნა. „ჩვენ ვუფრთხილდებით ჩვენი მომხმარებლის დროს და ვცდილობთ მაქსიმალურად პროფესიული და დროული მომსახურება შევთავაზოთ მათ“. – აცხადებს რამაზ ხინთიბიძე, „ვისოლის“ ბათუმის სერვის ცენტრის ხელმძღვანელი. ამჟამად ვისოლის ხუთი ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებს აჭარაში. დაგეგმილია ქსელის შემდგომი გაფართოვება.

სერვის ცენტრის გახსნა ბათუმში კლიენტების სიმრავლემ და იმან განაპირობა, რომ აჭარა კომპანიისთვის პრიორიტეტულ რეგიონად ითვლება.

სერვის ცენტრი კორპორატიულ კლიენტებს პლასტიკური ბარათებითა და ტალონებით მომსახურებას სთავაზობს და საბუღალტრო დოკუმენტაციის მიღებაც ადგილზევეა შესაძლებელი.

„ვისოლის“ სერვის ცენტრში გაცემული ტალონებით, ვისოლის ნებისმიერ ავტოგასამართ სადგურში შეიძლება შესაბამისი სახეობის საწვავის ჩასხმა, ქვეყნის მასშტაბით. ვისოლს საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელი აქვს საქართველოში. სერვის ცენტრის მომხმარებელი ავტომატურად სარგებლობს ყველა იმ შეღავათითა და ფასდაკლებებით, რასაც კომპანია მომხმარებელს ზოგადად სთავაზობს.

ვისოლი რამდენიმე თვეა ავტომობილის რეცხვით მომსახურებასაც სთავაზობს ბათუმელ მომხმარებელს. ბათუმში, თამარ მეფის გამზირზე და ქალაქის შესასვლელში (სოფელი ანგისა) არსებულ ავტოგასამართ სადგურზე, მომხმარებელს თავად შეუძლია შეარჩიოს მისთვის სასურველი სერვისი და პროდუქტი მანქანის რეცხვითი მომსახურების სხვადასხვაგვარი პაკეტებიდან. სერვის ცენტრის ტერიტორიაზე ასევე ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების CASTROL–ის PIT-STOP–ი.

# Wissol in Adjara

"The oil market is developing dynamically in Georgia and we are keeping pace with it. We are quickly developing in the regions as well as in the capital. Our corporate strategy is to maintain equal pricing at all gas stations and deliver the same quality of products and services.î As for Adjara and Batumi, I love it very much and often visit the city. Today Batumi is developing very fast and does not fall behind Tbilisi s pace of development, which provides additional stimulus for business development"

Dr. Samson Pkhakadze,
Head of Wissol Supervisory Board

In the beginning of 2008 Wissol has launched its first service center in Batumi. "We are taking care of our customers and trying to offer them the most professional and timely service," Ramaz Khintibidze, Head of the Service Center said. There are five gas stations in Adjara at present and the company plans further expansion in the region.

A swell in customers made the company decide to open a service center in Batumi, along with the fact that it sees Adjara as a priority region.

